

659
1965 /3 .

ଓଡ଼ିଆବ୍ୟାକ୍
ବ୍ୟାକ୍ ପରିଚ୍ୟା

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

କବିତା

19265

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

კავკა

საქართველოს მფრიდა
კავშირის პარტია
განცოლების ორგანო

შ ი ნ ა კ ა რ 6 0

ვ. ი. ლეინის დაბადების

95 წლისთავი

ვ. მახარაძე — ილიი კრემლში	3
ს. ანტონოვი — მუზეუმში (მოთხ- რობა, თარგმნა ტ. ხინიძიძემ)	9
ნ. მალაზონია — ლექსები	14
პ. ლორია — თავმჯდომარე (მოთხ- რობა)	16
შ. მავია — ლექსები	32
ნ. ჩხაიძე — დედის გული (მო- თხრობა)	34
ი. უგვერიძე — ლექსები	45
პ. პაშია — ეკიზები	47
ნ. ვირევთი — დამეა და თოვლი მოდის (ლექსი, თურქულიდან თარგმნა მ. ვარშანძემ)	50
არაბული კომიტიდან — ალერსის	
ბალი (ფრანგულიდან თარგმნა ჭ. ხუნდაძემ)	53
3 7 8 ლ 0 კ ა ც 0 5	
ვ. რურუა — ლექსები	59
ი. რურუა — ცოტა რამ მამაჩრემე	61

9792.

2

1965

მარტი
კარიბი



ଲୋକୀରାତ୍ଶରୁଣ୍ଡି ପାଇଁକଣ୍ଠାରି	—
ଅଳ. ହାତଲେଖିଶବ୍ଦି — ନ୍ୟୂନ ଲ୍ଲ-	65
ମନ୍ଦରିଳି	
କଣିତିକବ ଓ ପୁଷ୍ଟିଗତିକବ	
୩. କାନ୍ତିକବ — ଗାନ୍ଧିଲୀଲି ଗଢା	74
୫. ବାଲାକପରିବା — ଲୋକୀକୁଣ୍ଡି ଶାନ୍- ରିଲ ସବ୍ରତିକାଳି ଶଙ୍କରିତିର ସା- କିନ୍ତିଲି	86
୬. ବାରାମିଦି, ଧ. ଶୁରଗଲ୍ଲାମି — ଗା- ମନ୍ଦିରିନ୍ଦି ଜାରତପ୍ରେଷି ମେଫନ୍ଦିରି	92

ର୍ଯ୍ୟାଜ୍ଞତିରି ଶମତା କ୍ଷୁରିଦେ

ସାରର୍ଯ୍ୟାଜ୍ଞତି କରିଲେ ଗଠା:

- ୬. ଏତ୍ତିକାଳିନ୍ଦି, ୮. ଗ୍ରାମିଶ୍ଵରିଲି, ୧୦. ପାରଶାନିଦେ (୩/ଥି. ମଦ୍ଦିଗାନ୍ଧି)
- ୩. ଲୋକିରା, ଅଳ. ହାତଲେଖିଶ୍ଵରିଲି, ଯୁଧ. ଶାଲଙ୍ଗାଶି.

ର୍ଯ୍ୟାଜ୍ଞକାଳି ମିଶମାରିବା: ବାତୁମି, ଗନ୍ଧେଶବିଶ୍ଵିଲି ଫ୍ର. № 24.

ର୍ଯ୍ୟାଜ୍ଞକାଳି ର୍ଯ୍ୟାଜ୍ଞକାଳି — 33-71, ୩/ଥି. ମଦ୍ଦିଗାନ୍ଧି — 33-72.

გულენის ცეკვაზე 95 წლის მიზანი

ფილიპე მახარაძე

ილიჩი პრემიზი

1918 წლის 11 მარტს, საღმოსა 8 სა-
მთხუა პეტროგრადიდან მოსკოვში სპეცია-
ლური მატარებლით ჩამოვიზნენ რკპ(ბ)
დანწრალური კომიტეტისა და საბჭოთა
შთავაზობის წარმომადგენლები ვ. ი. ლენინ-
ის მეთაურობით. ამ დღიდან მოსკოვი იქ-
ცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური
სახელმწიფოს დედაქალაქად.

პირდაპირ საღვურიდან ვლადიმერ
ილიას-ძე მივიდა სასტუმრო „ინტერნა-
ციონალში“ და ერთხანს იქ ცხოვრობდა
(ოთავი № 107). ეს იყო ლენინის პირვე-
ლი საცხოვრებელი მოსკოვში რევოლუ-
ციის შემდეგ. 12 მარტს ვლადიმერ ილიას-
ძემ კრემლში დათვალიერა ყვილა თახი,
საჯაფ უნდა მოთავსებულიყო. საბჭოთა
შთავაზობა. ლენინს თან ახლდნენ ნ. კ.
კრუპსკიანი, ი. მ. სევერდლოვი და სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვ. გ. ბონჩ-ბრუევიჩი. 1918 წლის ბოლოს
ვლადიმერ ილიას-ძე საცხოვრებლად კრე-
მლში გადავიდა.

დღეს ექსკურსანტები მდელვარებით
ათვალიერებენ ლენინის სამუშაო კაბი-
ნეტს, სადაც ყველაფერი ისეა, როგორც
ცე 1922 წლის 12 დეკემბერს, როდესაც
ჰელაზი უკანასკნელად მუშაობდა იქ.
მნახველები მოკრძალებითა და პატა-

ცცსცემით უასლოვდებიან ლენინის სამუ-
შაო მაგიდასა და სკამს. მაგიდის მარჯვე-
ნა კუთხეში ტელეფონის აპარატებია.
ერთ-ერთ მათგანს გამაძლიერებელიც ახ-
ლავს. აქვე მაგიდის ელნაოურა. იმ ხანებ-
ში ელექტრონერგიის ნაკლებობის გამო
ხშირად გამორთავდნენ ხოლმე შუქს. ასე-
თი შემთხვევისათვის ვლადიმერ ილიას-
ძის მაგიდაზე ყოველთვის იდგა სანთლია-
ნი შენდლები. საღმოობით მის კაბინეტ-
ში მხოლოდ მაგიდის ნათურა ენთო. ჭალს
გლავიმერ ილიას-ძე მხოლოდ მაშინ აა-
თებდა, როდესაც სტრმერები ჰყავდა.

მაგიდის ცენტრში დებს სამელნე მოწ-
ყობილობა: კალმისტრები, მახვილად წათ-
ლილი ფანქები, დანა, რომლითც ილი-
ჩი წიგნის გვერდებს ჭრიდა. ერთ-ერთ
მათგანზე ამჟავეთილია წარწერა: „ზღა-
ტოუსტი. იარაღების ფაბრიკა. მხანაგ
ლენინს“. იქვე აწყვავა წებო, მაკრატელი.
მაგიდასთანა ვენური სავარებლი ღმე-
ნული საზორებითა და საჯაომით. მაგიდის
გასწევრივ დგას ორი კონტორულა. ერთ-
ერთ მათგანზე დებს უამთა სელისაგან გა-
ხუნებული კონვერტები და სწერი ქა-
რალი, ბლანკები წარწერით — „რუსე-
თის სოციალისტური ფედერაციული საბ-
ჭოთა რესპუბლიკა. სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე. მოსკოვი, კრემლი; მეორეზე — „რუსთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევკების) პროგრამა“, ბრძანებული „დაიცავთ საბჭოთა რესპუბლიკის კანონები“ და რკინგზების მაჩვენებელი.

მმ მაგიდაზე 1918 წელს დაიწერა საპროგრამო სტატია „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, რომელშიც ლენინმა დასახა ჩვეს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დაიდა გვემ. აქვე დაიწერა სხვა ბეჭედი ბრძანებულა, წერილი, სტატია.

მაგიდაზე დევს ბლოკოტი ჩანაწერებისათვის და კალენდარი კრემლის ხედით.

სამუშაო მაგიდასთან მიღებულია წოთველმაულიანი მეორე მაგიდა, სადაც მომსვლელთავის დგას ტყავგადაკრული ოთხი სავარძელი.

მაგიდის ორივე მხარეზე ორი მოძრავი ეტაჟერია, რომლებიც სპეციალურად ლენინის დაკვეთით დამზადეს. ისინი სავსეა საცნობარო ლიტერატურით, რომელთაც ბელადი იყენებდა მუშაობის დროს.

დამთვალიერებულთა ყურადღებას იპყრობს წიგნების სიუხვე. წიგნებია კარადებში, თაროვაზე, მაგილებზე. მნახველები წიგნებში ამჩნევენ მრავალრიცხოვან ჩანაშენებს, რაც მიუთიხებს ვ. ი. ლენინის დიდ შრომისმოყვარებობაზე. აქ არა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ტომებია, წიგნები ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიკის საყითხებზე, ენციკლოპედიები და ენციკლოპედიური ლექსიკონები, დასის განმარტებითი ლექსიკონი, პარტიული მუშავის ცნობარი, უკრაინული ლიტერატურა, პლეხანვის, ჩერნიშევსკის, გრეცენის, იონაროლუბოვის, ბელინსკის, გოგოლის, ბუჟკინის, ტოლსტოის, გრიბოედოვის, რადიშჩევის, ტურგნევის, ნეკრასოვის, ჩეხოვის, გორევის, ისტორიკების ნაწარმოებები. წიგნები ხელოვნებაზე, მრაწველობასა და სოფლის მეურნეობაზე.

კადლებზე ჭიდო გეოგრაფიული და რუსეთის ეკონომიკული და აზიური ნაწილების სარკინგზო ქსელის რუკები, მსოფ-

ლიო ატლასი, აქვეა აიერკავკაზიურუსულებული რეალ რაიონების რუკა, რომელიც მიმდინარეობს ან ანგიშვნაა, პირადად ილიჩის მიერ გაეცემული..

ოთახში ღუმელია, ღუმელზე კი მუსაოს ატრა წარწერით — „მოწევა აკრალულია“. მასთან დაკარგირებით ე. ლ. სტასოვა იგონებს: „მოწევა ვლადიმერ ილია-ძის კაბინეტში არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით მის მიერ 1918 წლის ვადა-ტანილ ჭრილობის შემდეგ, სხდომიდან რას გასვლა მით უმეტეს არ შეიძლებოდა. რას შვრებოდნენ ჩვენი მწეველები? ვლადიმერ ილიას-ძის კაბინეტში... იყო დიდი პილანდიური ღუმელი ვენტილაციით. მწეველები ეფარებოდნენ ღუმელს და იქ წევდნენ, უშვებდნენ ბოლს სავარგოლაციო ხერელში. საინტერესოა, რომ როდესაც დგებოდა კენჭისკრის მომენტი, ელია-ლიმერ ილიას-ძი ეშმაკურად მოჭურავდა. თვალებს და მმბობდა: „აბა, რას შევბან ღუმელსუკანა საქმის სტატები?“

თუმცა ლენინის კაბინეტში ეყიდა ატრა წარწერით „მოწევა აკრალულია“, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძესთან მიმკვლელები მმ წესს ყოველთვის როდი იცავდნენ. მწევლის წასვლის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძი ყოველთვის აღებდა სარკმელს, რაგვანაც ეერ იტანდა თაბაქისა სუნს. ერთხელ მან მდიდან უთხრა: „საჭიროა მოეხსნათ ეს პლაჟატი. საჭიროა ისეთი პლაჟატების გამოყიდება, რომელთა შესრულებაც არ შეგვიძლია, ეს მხოლოდ ზისციპლინის დარღვევის გვაჩვევს.“

ვ. ი. ლენინის ახლო მეგობრებმა და თანამებრძოლებმა, როდესაც გარგებს ლენინის გადაწვეტილება, შეწყვიტეს პაპიროსის წევა მის კაბინეტში. როგორც ივნინებნ, ამ მმბავმა ძალზე ააღელვა მგრძნობიარე ილიჩი.

კაბინეტში ბევრი საჩუქარია, რაც ბელადისადმი ხალხის დიდ სიყვარულს ადასტურებს. ა. ბულგარულ-რუსული ლექსიკინი, რომელიც ლენინს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა

ዕስወንደሚገኘው የሚሸጠውን ቀን ነው፡፡ ይህንን ስምምነት እና የሚከተሉት ደንብ መካከል የሚያሳይ

საგარელის თავზე ჰკულია კარლ ბარქ-
სის სურათი წარწერით „დგორგას ამხანაგ-
სა და მასწავლებელს პეტროგრადის საბ-
ჭიათურაში“. გვერდით არის სტეფანე ხალ-
ტურინის ბარელიეფი თაბაშირში, მაგიდა-
ზე — ალბომი აზერბაიჯანის ფილოგრა-
ფიული ხელებით. ეს აზერბაიჯანელი
შეძლომელების საჩუქრაზა; აქედა კავკას-
ური ნაკვთობის საწერი მოწყობილობა,
მცენარეების ქანდაკება — ურალელი მეფო-
ლადების საჩუქრი და სხვ.

სარქმელთან დგას ეტაჟერი გაზიერებით. აქ არის კომპლექტები გაზიერებისა, „პრავდა“, „იზვესტია“, „ბელნოტა“.

ଲୁଣିନୀର ପାଦିନ୍ଦରଶୀ ଚିପଳେଖନାରୁ ମହିରୁ
ଫଳକିରୁ ଏବଂ ଅମିଳ ସାଜିତକେବଳ, ଧାର୍ତ୍ତିନୀରୁ ଏବଂ
ସାକ୍ଷେଳମିଶ୍ରିତ୍ତୁରୁ ଉମନୀଶ୍ଵରେଲ୍ଲଙ୍ଗାର୍ଥୀରୁ ଢରନ୍ଦି
ଲୁଗ୍ଭବଳୀ. ଏହି ଲୁଣିନୀର ରତ୍ନକଟିକ, ଧାର୍ତ୍ତିନୀର
ପିନ୍ତୁରାଲୁହରି କରିଯିରୁଥିଲି ଶ୍ଵେତରେତାର ଗ୍ରହ-
ତାର, କଶିରାଙ୍ଗ ବ୍ୟାକରଣର ମୁଖ୍ୟତା ଏବଂ କ୍ଷେତ୍ର-
ଅଳ୍ପକ୍ଷର ଗୁରୁତ୍ବନୀରୁ ଗଲେକତା ଡେଲୋଗା-
ର୍ତ୍ତେବୁ. ବ୍ରାହ୍ମଦ୍ଵାରୀ ଲିଙ୍ଗିବେ-କ୍ଷେତ୍ର ବାନଗରିଲୋଗାର
ଏବଂ ଦୀର୍ଘ ଗୁରୁଲିପିଶ୍ଵୀରିତ ସାହରନ୍ଦରଦ୍ଵାରା ମାତ୍ର-
ତାନ୍. ଏହି ଲୋକଙ୍କ ଏହି ସାହରାର୍ଗାର୍ଥେତ୍ରେଲ
ବ୍ରାହ୍ମଦ୍ଵାରୀର ମରଳାଶ୍ଵର୍ବନ୍ଧୁରୁ.

აქ, ამ კაბინეტში, შედგა ლენინის სამახსოვრო სუბარი მაქსიმ გორიუმითან იმ მიზნებით პირობების შესახებ, რომლებშიც აღმოჩნდნენ პეტროგრადის მეცნიერ მუშავები. ამ საუბრის შედეგად, ლენინის მათთვებით, შეიქმნა მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცენტრალური კომისია, ხოლო 1921 წლის 27 იანვარს ლენინმა მიიღო პეტროგრადის სამეცნიერო დაწესებულებათა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოსა და უმაღლესი სასწავლებლების დაწესებულებათა დალეგაცია. მ. გორიუმის მეთაურობით.

ექ გ. მ. კრეიიანოვსკისთან ერთად ლე-
ნინმა მოიფიქრა და განიხილა ქვეყნის
ელექტროფიზიის გეგმა.

აქ, ამ კაბინეტში, ვ. ი. ლენინი მომზადებული გამოჩენილი ინგლისელი მწერალი პერებერტ უელსი და ხანგრძლივი საუბარი ქვეით მასთან. ინგლისელმა მწერალმა გაოცებით მოისმინა ლენინისაგან რუსეთის მთლიანი ელექტროფიკაციის გეგმა. პერებერტ უელსი თვლიდა, რომ ეს გეგმა მხოლოდ ლენინის იცნება იყო და მან ლენინს „კრემლის მეოცნებე“ უწოდა. „ჩამოდით სევ თთ წლის შემდეგ და დაინახავთ რა გავთდება რუსეთში ამ ჩნის განვალობაზე“, — უთხრა ვლადიმირი ილიას-ძემ მწერალს მისი ეკვების პასუხად. ეს იყო 1920 წლის სექტემბერში, ხოლო როგორც 1934 წელს უელსი კვლავ ჩამოგიდა ჩემის ქვეყანაში, ნახა, რომ ლენინის „იცნება“ ხელშესახებად განხორციელი ბულვარ.

ଓ ପାଇଁନ୍ଦ୍ରଶୀଳ ଲେଖିବାକୁ ମହିନେ ନିରାକାର
ମୁଦ୍ରାତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘାତ୍ମକ, କର୍ମଚାରୀଙ୍କ ଅନୁଷ୍ଠାନିକ
ବାଲ୍ଯାନ୍ତରାଦ ହାନିଗୁଡ଼ା ଉପରେତଥି 1918 ଫେବ୍ରୁଆରୀ
ଉଲ୍ଲଙ୍ଘାତ୍ମକ ଚିତ୍ରରେଖା ଲେଖିବା ବିଷୟରେ ଏକାକିର୍ଣ୍ଣ
ନିରାକାରି ବାଲ୍କିନୀ ସହିତ୍ଯକାରୀ — ଶିଳ୍ପିଙ୍କର
ଦ୍ୱାରା ଉପରେତଥି ବାଦିଗୁଡ଼ା ଜନ୍ମିବାକୁ

ამ კაბინეტში შევიდა ლენინი მძიმე
კრილობის განკურნების შემდეგ და ხელ-
შეხვეულამ 1918 წლის 18 სექტემბერს
მისი ჯამზროლობის შესახებ გამოცემულ
საექიმო ბიულეტენზე გააკთია წარწერა:
„ამ ბიულეტენის საფუძველზე და იმის
გამო, რომ თაქვ კარგად ვგრძნობ, ჩემი
უმორიჩილესი პირადი ოხოვნაა ნუ აწუ-
ხებთ ექიმებს ტელეფონის რეკვიტ და კა-
ონაებით“.

აქ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გ. პ.
ორჯონიშვილსთან, ს. მ. კიროვთან, ფ. ვ.
მახარაძესთან, მ. გ. ცხავაიასთან ერთად
წყვეტდა საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარებისა და განმტკრცების
უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ხელმძღვა-
ნელობდა ამიერკავკასიის მშრომელთა
ბრძოლას სოციალისტური მშენებლობისა
და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვები-
სათვას.

კაბინეტიდან დამთვალიერებლები საჭ-
კომსაბჭოს სხდომათა დარბაზში გალიან.

ცირქ დარბაზი, საღაც სახალხო კომუნისტური სართა საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა, ჩვეულებრივ წარმადგრძნა მისაღებ ოთხს ელაზიმერ ილიას-ქერთაძ მიმპლელთავის. აქ, როგორც ისტორიული რელიგია, ინახება მინის ზეშაფრიო დაცული საგარეოლი, დაწნული სწორი საჩურგო. ზესტრი ისეოთვე, როგორც დგას ლენინის კაბინეტში სამუშაო მავიდასთან. ლითონის აბრაზე ვეთხულობთ წარწერა: „სავარებელი, რომელშიც ჯდა ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს, შორმენა და თავდაცვის საბჭოს და პოლიტიკუროს სხდომების დროს 1918 წლიდან 1922 წლის ბოლომდე“.

ମେଲିଶ୍ଵର୍ଲେବ୍ରୋ ଡାର୍ଜାନୀସ, ହାତ୍ପାଇଁଖାଦିତା
ଓ ମଦ୍ରାସାର୍କ୍ଷେତ୍ର ସାଙ୍ଗାନ ଦାର୍କାନୁଶୀୟ, ସିନ୍ଧୁର୍ଲେ
ଏ ଲେନିନ, ତାପିସ ତାନାମେଧରକାନ୍ଦୁଗ୍ରହତାନ୍
ଶ୍ରତାଳ, ପାଇସା ପାଇସାର୍କ୍ଷେତ୍ର ଉଚ୍ଚର୍ଲଙ୍ଘ ମତଳ-
ଅନ୍ଦାନୀସ, ଶ୍ରୀପାତ୍ରିତା ବର୍ଜେନ୍ଦ୍ରାଶ୍ରୀଶ ଶ୍ରୀପାତ୍ରି,
ଶ୍ରୀପାତ୍ରିତା ବର୍ଜେନ୍ଦ୍ରାଶ୍ରୀଶ ଶ୍ରୀପାତ୍ରିତା

სახეომსაბჭოს სხდომათ გარბაიღან
ექსურსანტები გადიან დერეფანში და
დერეფნის ბოლოს ჩერტვებიან კართან.
საღაც ლენინს სიცოცხლეში იყო ცობი-
ლი საგუშავო № 27, რომელიც ყველაზე
მეტად უყავრდათ კრემლის მცველ კურ-
სანტებს.

— ერთხელ, — ჰყავბა ექსპურსის
მძღოლი, — № 27 საგუშავოზე დაინიშნა
ახალგაზრდა კურსასწორი, რომელსაც აღრე
არასოდეს არ ენახა ვლადიმერ ილიას-ქ-.
მას მიცემული პერნდა მყარი ბრძანება:
კრემლის კომენდანტის მიერ ხელმოწერა-
ლი საშვის გარეშე არავინ შეეშვა ოთახ-
ში. მოხდა ისე, რომ ვლადიმერ ილიას-
ქს ამ დღეს თავისი საშვი ითახში დარ-
ჩა. დღისით მას მოულოდნერებად დაჭირი-
და რაღაც დოკუმენტი და გაუაწყვიტა
შესულიყო თოახში მის გამოსატენად, მა-
გრამ გუშაგმა გზა გაუაუღობა.

— აი, ჩემი ოთახის კარები, — ღიმი-
ლით თქვა ილიჩმა.

— არაფერი ვიცი, უსაშობო ვერ გა-
გიშვებთ, — უპასუხა გუშაგმა. ვლადიმერ
ილიას-ძეს კამათი არ დაუწყია, იმწიმსვე

წავიდა კრემლის კომენდანტთან და თბილი
ღრუებით საში.

ନୁହା କୁର୍ରିଶାନ୍ତି ଶ୍ରୀପଦାଳା ସାଗରିଶ୍ଵର-
ଶ୍ରୀ, ମେଣାକୁରମା ମାନ୍ ମନେଲୀ ଧାରିଦାରିବା
ଅନ୍ତରୀକ୍ଷା:

— თქვენ იცით, ვინ არ გაატარეთ? ეს
ხომ თვით ლენინი იყო!

ყაზარილმა თავში წითელ ხელი და გა-
იქცა ვლალიმერ ილიას-ძესთან ბოდიშის-
მოსახლელად.

— არა, ბოლუშის მოხდა არაა საჭირო. —
უთხრა მას ლენინმა, — ვალდებული ხართ
ყოველგვარ შემთხვევაში დაიცვათ კანონი
და საფუძველი სამსახურის წესების მოთ-
ხოვნები. როგორ შემიძლია მე, სახალხო
კომისართა საბჭოს თანამდებობაზე, დავ-
როვოთ კანონი? ოქვენ მართალი იყვით,
მე კი არა.

ଏହିପ୍ରକାଶକାନ୍ତରେ ଥିଲାବିନିମୟ ଲେଖନିରେ ଅନନ୍ତ-
ଶବ୍ଦରେ ଏହି ପରିଚୟ କାହାରୁଠିଲେବେ. ଆ, ଯାତ୍ରାରୁ
ମିଳାଗେବାର, କେବେଳତାର ରୂପ ଉକ୍ତବ୍ୟାକରିତାରେ
ହାମିଲାଗୁଥାର, ହାମେଲାଗୁଥାପ ଲେଖନିରେ ଅଣିବ
କିମ୍ବର ଓ ନାଦ୍ୟରେ କାନ୍ତିକାନ୍ତିରେ ଅଶ୍ଵଲିଙ୍ଗ
ଜୀବନା କ୍ଷେତ୍ରରେ. ଯାତ୍ରାରୁ ମଧ୍ୟବିନ୍ଦୀ ନାମ
ଦ୍ୱାରାଫଳନି ଦେଖୁ. କୁଟକେଶି କାମନନ୍ଦିନୀ
କିମ୍ବା, କେବେଲତାର ନାରୀଙ୍କୁ ଦେଖୁ. ଅଣିବ
ମନୁଷୀ, ହାମଲିତାପ ରୂପରୁକ୍ତିରେ ଦେଖୁ
ଲାଲମା ମେଘରାଜୀଶି କାନ୍ଦିରିଲିଙ୍ଗର ଦେଖୁ
ଦ୍ୱାରାତ୍ରାର.

၁၀, လျော်စိန်စဲ တော်ဝါဒ၊ ခဂ္ဂ ပုံတုရှူ၊ ပျော်
လုပ်စွေးနီမူ ကြော်လုပ်ဖူး မြေတိရှိ၊ ဤနေ့
အနေဖြင့်၊ လုပ်မြေဝါဒ အကျော်လုပ်စဲ ဖြေနောက်-
သွေးကြ ဂာဇ္ဇား၊ တော်ဝါဒ မြေပို့ပြုပို့လုပ်မာ ဖြူ-
လုပ်လွှား၊ ချိဖြေား တော်ဝါဒ ဖုံးလုပ်ရပါတဲ့
မား ဒုပ္ပလိမ္မား လောင်း-၅၂ ဤတွေရှုံးလွှားလွှား
ပြုပို့ပြုနေ စာ၏။ တော်ဝါဒ မြေပို့ပြုပို့လုပ်မာ ဖြူ-
လုပ်လွှား၊ မားလိမ္မား၊ ဘုံးလုပ်ရပါတဲ့
မား ဒုပ္ပလိမ္မား လောင်း-၅၃ ဤတွေရှုံးလွှားလွှား
ပြုပို့ပြုနေ စာ၏။ တော်ဝါဒ မြေပို့ပြုပို့လုပ်မာ ဖြူ-
လုပ်လွှား၊ မားလိမ္မား၊ ဘုံးလုပ်ရပါတဲ့
မား ဒုပ္ပလိမ္မား လောင်း-၅၄ ဤတွေရှုံးလွှားလွှား

რები კალმებით, წიგნების გასაჭრელი
დანა...

ყურადღებას იძყორდს „მეცნიერება და
დემოკრატია“ — კ. ა. ტიმირაზევის სტა-
ტიტების კრებული, რომელსაც ტიმირაზე-
ვის ხელით აწერია:

„ଲ୍ରହମାଦ ଶତୀଓପେଟ୍ରୋଲ ଗ୍ଲାସମ୍ବେଳ ଲୋକଙ୍କ ଲ୍ଲେନ୍ଡିନ୍‌ସ ଜ. ଏ. କ୍ରିମିନର୍କିଷ୍ଣପାଣ୍ଡାଙ୍କ, ଖୁବ୍ରମ୍ଭଲ୍ଲାଙ୍କ ଦେବନାନ୍ଦରୂପାଙ୍କ ମାହିନୀଙ୍କ ପ୍ରକଳ୍ପ ବିଶିଷ୍ଟ ତାନାମେଲ୍ଲାର୍କାଙ୍କ ରୁ ମଧ୍ୟ ଦେଇବାପ୍ରକଳ୍ପ ମନ୍ତ୍ରାଳ୍ୟଙ୍କରେବିଳି ମନ୍ତ୍ରିତ୍ବରେ”।

როდესაც ვლაბიძეებ ილიას-ძის ჯანმრთელობა მდებარ გაუარესდა, რომ ალაზანებრ თავის სამუშაო კაბინეტში კლობა და და მუშაობა, აյ, ამ ოთახში, ქვენიდადა კარნათობდა ისეთ წერილებს, როგორიცაა „წერილი ყრილობისადმი“, რომელიც „ანდერძის“ სახელმწიფებითაა ცნობილი, წერილები: „სახელმწიფო საგვარეულო კომისიისათვის საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭების შესახებ“, „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის შესახებ“ და სხვ.

“ ဒေသ ဖူးရန်ဆာ လျှောက်ဆာ တာဂေါစာ ဖူးအာန်-
ကြံ့ခြာ ပုံစွဲ ပုံစွဲအား အွေးဖူးဖြော လောက်-
ရှိလောင်၊ ” အကြောက်ရှာပြုစာ ဖူးဆောင်ပြီး၊ “ ဘိုးမှိုး
ရှာဒေသလျှောက် ဖူးဆောင်ပြီး၊ ” ရှာကြောက်စာပြု၊
“ မြှုမြင်လောက် ဖူးဆောင်ပြီး၊ ရှာကြောက်စာပြု၊ ”
“ မြှုမြင်လောက် ဖူးဆောင်ပြီး၊ ရှာကြောက်စာပြု၊ ”

ଏହି କ୍ଷତ୍ରାଳୀଗ୍ରହଶିଖ ଲ୍ୟାନିକର୍ମା ଶେଖାମା ସାଙ୍ଗେନମ୍ବିନୀ ପାଇଁ ଉପରେ ଆମ୍ବିଶାଂକବି ଶ୍ଵେତାଗ୍ରହବି, କାନ୍ଦିରୁକ୍ତିଶିଖବି, ରୂପର ଶତ୍ରୁଵାରୀବି ଓ ସାଧକନାଥ ଶ୍ଵେତାଗ୍ରହବି ପାଇଁ ଶତ୍ରୁଵାରୀବି ପାଇଁ ଶତ୍ରୁଵାରୀବି ପାଇଁ

გვერდით არის ნაღვედა კონსტანტინეს
ასულ ქრისტიანისა და ლენინის დის მარია
ილიას ასულ ულიანოვს ოთაში. მოწყო-
ბილობა აქ ისევე უზრულოა, როგორც
ლენინის ოთაში. ნაღვედა კონსტანტინეს
ასულის პირადი ნივთებიდან აქ არის გა-

ପ୍ରେତୀଲୀ ଦ୍ୟାଗିଲେ କାନ୍ତରତ୍ନୀଙ୍କୁ, ଶାତରାଜୁଙ୍ଗ
ପାତ୍ରାଳୁ ଶାନ୍ତିମ୍ବେ ନେମିବେଳିତ, ଦାନ୍ତିମା ଓ ଉତ୍ତରିତିରୁ
ଲେଖିଥିଲା.

მნახველთა ყურადღებას იქცევს ლენინის ოჯახის სურათი.

უქსურისანტები შეღიან სამზარეულოში.
საბჭოთა ხალხმა იცის ეს სამზარეულო კი-
ნოფილმიდან „ლენინი 1918 წელს“. ფი-
ლმის ერთ ეპიზოდში ამ სამზარეულოში
ვ. ი. ლენინი ესუბრება ი. გ. სეერდ-
ლოვს.

აქ სადილობდა ვლადიმერ ილიან-ძე,
ხშირად თვითონ იცხელებდა ღუმელზე
განხშავს ან ჩაის.

ଲୁହା 1918 ଫ୍ଲୋ ଅଗ୍ରିକୁଲ୍ଚରାଲ୍ ଏଣ୍ଟରେ ପ୍ରଦାନ କରାଯାଇଥାଏ ଏବଂ ତାଙ୍କୁ ପରିମାଣ କରାଯାଇଥାଏ ।

Հըլածոյնք օլովս-եց և ձլոյն շպարզ
Տըունմա կը թմլու և թմլու զախշուն.
Ցիսո պայլաչի Տապարցլու Տալունն օ-
գոլու Առանցքն ծալու ուղ. Եյ Եթործ Շ-
եցլցեցնութ Վլագոմիր օլովս-եց զան-
դամուաց Կո, Մշատին օդամուարցն Շեմ-
ուի.

1918 წლის 23 სექტემბერს ვლადიმერ
ილიას-ძე მიმდე ჭრილობისაგან განკურ-
ნების შემდეგ პირველად გამოვიდა სასე-
ირნოდ კრებილში. მოსსფალტებული გზით
„მეფეზარისაგენ“ მიმავალი გადაიღეს კა-
ნოთარზე.

თავის შრომაში „დღიდი თაოსნობა“
ლენინი წერდა: „კომუნიზმი იწყება უ-
სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავაგან-
წირული, მძიმე შრომის დამტკიცი ზრულ-
ვა შრომის ნაყოფიერების გაღიაღებაზე,
თვითოული ფუთი პურის, ქვანანშირის,
რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე“.
ან იჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას კო-
მუნისტურ შაბათობებს, ლენინს მიაჩნდა,
რომ კომუნისტური შაბათობების დიღა
ისტორიული მნიშვნელობა უძირველსად
ის არის, რომ გვიჩვენებენ მუშათა შეგ-
ნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას
შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, ახალ
შრომის დისკიპლინიზე გადასვლაში.

როგორც ცნობილია, 1920 წლის 1 მაისს მოწყობილი პირველი სრულიად რუსეთის შაბათობა, რომელშიც მონაწილეობდა ვლადიმერ ილიას-ძე.

შაბათობა მოწყობილი კრემლის დრაგუნის მოულის გასასუფთავებლად (მოედანზე ეყრდნობა ბოძები).

შაბათობის მონაწილე, მოსკოვის ქარხნის „პოსტკუშჩიკი“ ყოფილი მუშა, ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო იმის მონაწილე თელორე მაშესმებელი სოლოდოვი ასე იკონებს ამ შაბათობას:

„1920 წლს მე გამგზავნეს კრემლის სამეთაურო კურსებზე. ამ კურსების მსმენელები იცავდნენ კრემლს და ი. ი. ლენინის ოთახს. ისინი ჩეირად ხვდებოლოენ ლენინს და ესაუზრიებოლოენ მას. მე განსკუთრებით დამამასხლოებლა 1920 წლის 1 მაისი — სრულიად რუსეთის პირველი შაბათობის დღე. კრემლში შედგა შაბათობა. სამჭშაონე გამოვიდა ვლადიმერ ილიას-ძეც..

მე წილად მხვდა ბედნიერება მემუშავა ერთ ჯგუფში ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად. მუშაობა მხიარულად მიღიოდა. ბევრს ვიცინდით, ვხუმრობდით. პირველად ზავიწყეთ ბოძების გადაზიდვა. ბოძები დიდები იყო და ვეზტდებოდით ორინი, ხოლო ზოგჯერ ოთხ-ოთხნიც კა. ელადიმერ ილიას-ძე მუშაობდა კურსანტ კერძიაკოვთან ერთად. მუშაობის დროს კურსანტი იღებდა მსხვილ და შედარებით მძიმე თავს, ლენინს კი ასწევი რჩებოდა მსუბუქი თავი. მაგრამ ლენინმა ეს მყისე შეამჩნია და თვითონ დაწყობ ბოძების მძიმე თავების აწევა. კურსანტი არ დაუთანხმა და განაცხადა, რომ ის ილიაზე ორჯერ ახალგაზრდაა. ლენინ შეიჭმუხნა და უთხრა: „რაჯი მე უფროსი ვარ, თქვენ ჩემთან ნუ კამათობთ.“

შემდეგ გვრი ვეებერთელა მჟახის კუნძულზე მიღვა. ამაგრებდნენ ბორებშეც და მეტონდათ ექვს-ექვსი. ეს სამუშაო კიდევ უფრო მძიმე იყო. ამასთან ერთად ვლადიმერ ილიას-ძეს არ სურდა ჩვენ ჩამოგვრჩეონთა და ჩვენი გაუფის ხელმძღვანელი მივიდა ლენინთან და უთხრა:

— ვლადიმერ ილიას-ძე! თქვენ უკვე საქმიანდ გაისარჯეთ... დაისვენეთ... დარჩენილ საქმეს ჩვენ თვითონ გავართმევთ თავს.

ილიას უწყინა და განაცხადა:

— ძმობილო, ტყუილად ფქრისობთ გამგდოთ აქედან. სულ ერთია მაინც არ წავალ.

შესვენების დროს კუნძებზე ჩამოვჭეჭით. ჩამოჭდა ვლადიმერ ილიას-ძეც. ჩვენ გავაბოლეთ. ლენინმა შემოგვხედა და გვითხრა: „აბა, რას პოულობთ მაგაში კარგს? თბილაქ ხომ საწმლავი! იგი ანადგურებს ვანმრთელობას“. ჩვენც ჩვენის მხრით კითხეთ ვლადიმერ ილიას-ძეს: „თქვენ კი, ვლადიმერ ილიას-ძევ, როდისმე ეწეოდით?“ მან გვიპასუხა: „დიახ, ახალგაზრდობაში ცოტი ხანს ვეწეოდი, მაგრამ შემდეგ მივატოვე და აღარც მივბრუნებივარ“.

დასვენების შემდეგ ისევ საქმეს შევუდექით. ასე შრომობდა ლენინი იმ სამახსოვრო დღეს და ჩვენ, შაბათობის მონაწილეებს, შრომისმოყვარეობის მაგალითს გვაძლევდა“.

1922 წლის დეკემბერში ლენინის გამორთელობა გაუარესდა. ექიმების მოთხოვნით, იგი გადავიდა გორგაში. 12 დეკემბერს ვ. ი. ლენინი უკანასკნელად მუშაობდა თავის კაბინეტში.

ქ. მოსკოვი.



სიახლი ენგონოვი

გ უ ზ ე უ მ ა შ ი

ვაგონში მტვერი იდგა და ცხელოდა, როგორც ეს ქუჩაში ჭექა-ჭუხი-ლის წინ იცის.

აქსინია, უკვე მოხუცი ქალი, რომელსაც უბრალო ჩითის კაბა ეცვა და ჭრელი თავსაფარი ეხურა, ყურადღებით იცქირებოდა ფანჯარაში. იგი ხშირად ყოფდა ვაგონიდან თავს და თვალს ვერ აცილებდა რაღაცას, რა-საც მისი ყურადღება მიეცყრო.

ოდესაც ძლიერ ლამაზსა და გამომწვევ მის სწორ მსხვილნაკვთებიან სახეს ახალგაზრდობის შემდეგ მკაცრი გამომეტყველება მიეღო და, ოც-თუ ხშირი, მაგრამ ღრმა ნაოჭებით დაღარულიყო.

მის თვალებში, ყველაფერს გულმარტლად რომ უყურებდნენ, კიაფობდა სიმშვიდე და რწმენა, მათ იშვიათად თუ დანისლავდა ნაღველი.

აქსინია მინდვრებს გაპყურებდა. ეჩვენებოდა, რომ ქარს მოჰქონდა უგრეხელის ყრუ ხმაური, სელის მოალერსე შრიალი, ჭვავის წყნარი დროვინა და შშრალი ბიბინი... ეჩვენებოდა კიდევ, რომ ვაგონიამდე აღწევ-და მოუცელავი მდელოების ტკბილი სურნელი, აგრეთვე მარწყვისა, რო-მელსაც ჭალა გადაეწითლებინა, და სოკოებისა, ხავსიდან რომ დაუკებ-ლად ამოდიოდნენ ამ ძველ ტყეებში.

— უგრეხელი, შეხედე, რამდენი უგრეხელია! — მეზობლებს მიუბ-რუნდა და ოქვა აქსინიამ.

მაგრამ საუბრით გართულმა მგზავრებმა არ უპასუხეს. აქსინია უკვე არავის აღარ მიმართავდა, ისე ხარობდა:

— რი, რა პურია... მაგრამ იქ რა არის? ის ტიალი... აი-აი, დაუსეტ-კვავს? თუ გაუთელავთ? — აქსინია სრულებით აღარ აქცევდა ყურადღე-

ბას, რაზე ლაპარაკობდნენ ვაგონში, ხმამალლა ფიქრობდა და ჭრილებული თავის აზრებს.

ორი ქალი ერთმანეთისაკენ დახრილიყო, აქსინიას არ უსმენდნენ და წყნარად საუბრობდნენ შვილებზე. უცებ ერთმა მათგანმა ფრაზა გაწყვიტა: აქსინია ნაღვლიანად შესცემოდა მათ.

აქსინიას თვალები ახლა ისე ნაღვლიანი იყო, ვერც კი იფიქრებდით, თუ როდისმე, თუნდაც ხანდახან, მათში გაიელებდა ხალისის ნაპერშკალი. ის-ის იყო მან დაინახა კაცი, რომელიც მდელოზე ცაცხვთან ცელავდა. იგი ფართოდ იქნევდა ცელს, მუშაობდა მსუბუქად, მარჯვედ, თითქოს ერთობით. თმები შუბლზე ეშლებოდა და თავის აქნევით უკანვე ყრიდა მათ. აქსინიას მოეჩვენა, რომ ასეთი იქნებოდა მისი პავლე.

ქალებმა, რომლებიც ვერ მიხვდნენ აქსინიას ასეთი შემოხედვის მიზეზს, კუპეს მეორე მხარეს გაიხედეს, მაგრამ იქაც რომ ვერაფერი შენიშვნეს ისეთი, რასაც შეეძლო აეხსნა, რამ შეუცვალა აქსინიას განწყობილება, უცებ ტუჩები მოკუმეს, ერთმანეთს გადახედეს და გაჩუმდნენ.

ქალებს დაბნეულობა რომ შენიშნა, აქსინია კვლავ ფანჯრისაკენ შეპარუნდა და შემდეგ, თვით მოსკოვიმდე, სულ ფანჯრაში იხედებოდა, ხედავდა მინდვრებს, მაგრამ ენა არ დაუძრავს.

...ჭერ კიდევ წინათ, რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე აქსინია ზაფხულობით მკიდა, შემოდგომაზე ბოსტნებში მუშაობდა, ზამთრობითა რთავდა და ყოველ შაბათს, მთელი წლის მანძილზე, წვიმასა თუ ქარბუქში, სიცხესა თუ სიცივეში, მიღიოდა ექიმის დიდ მრავალფანჯრიან სახლში იატაკის მოსარეცხად. აქსინია ყოველთვის ელოდა, რომ ოდესალაც იცხოვრებდა სხვაგვარად, უკეთესად...

ადრე გათხოვდა. ბოლოს და ბოლოს, თითქოს ნამდვილი ცხოვრება უნდა დაეწყო. მადლობა ღმერთს, კარგი ყაზახი და შესანიშნავი მშრომელი შეხვდა. მაგრამ ქმარი გარდაიცვალა და იმ დროისათვის ახალგაზრდობა დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა.

ბავშვები დაუსნეულდა და დაეხოცა, გადარჩა მხოლოდ ერთი. გაიზრდება, ფიქრობდა აქსინია, და მაშინ დაიწყება ის ნამდვილი, აღამიანური ცხოვრება.

როცა სოფელში ჭერ რევოლუციამ, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომში შემოაღწია, აქსინიამ იმედით ამოისუნთქა: ის ისიც იცხოვრებს ბედნიერად. მიწა, ქარხნები — ყველაფერი ხალხს! მაგრამ ახალი უბედურება დაატყდა თავს: ოც წელს უგზოუკვლოდ დაიკარგა აქსინიას შვილი, პაშკა.

მეზობელი ბოროტი დედაკაცი ლაყბობდა, პავლეს უნდოდა დედას დახმარებოდა, მარილზე წავიდა და დაიკარგა; ვიღაცას იგი ფრონტზე დაუნახავს, მაგრამ ნამდვილი ამბავი ხეირიანად არავინ იცოდა, საღ არის იგი?

რა მოუვიდა? დაიღუპა ფრონტზე, ადამიანებს რომ მართალი ცხოვრება მოეპოვებინათ, თუ, ვინ იცის, ცოცხალია?

წლების მანძილზე ეს მწუხარება თუმცა დავიწყებას ეძლეოდა, იმიმბოდა, მაგრამ მაინც არ ტოვებდა აქსინის. და ა ახლა იმ კაცმა, მდელოზე რომ ცელავდა, ქალების საუბარმა შვილებზე...

ოდესმე უცებ ყველაფერს გაიგებს. მაგრამ როდის და სად? — მან თვითონ არ იცოდა.

როდესაც მატარებელი ვოგზალში შევიდა, მის წინ გადაშლილი ქალების ფუსფუსით, გრუხუნითა და გრანდიოზულობით დაბნეულმა აქსინიმ მიმოიხედა და მილიციონერთან მივიდა. შიშით, იმის შეგნებით, რომ ტყუილ-უბრალოდ აწუხებდა ამ საპატიო კაცს, მან იკითხა, როგორ მისულიყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სტუმართა საერთო საცხოვრებლამდე.

* * *

გავიდა ერთი კვირა. გამოფენის დათვალიერება დამთავრდა. ხვალ შინ უნდა წავიდეს.

შთელ დილას ულიმღამოდ ცრიდა თბილი წვიმა. დიდი, დაუდევრად მიმოფარტული სახლები ბუნდოვნად ისახებოდნენ წყიმის ბურუსში. ქუჩას თავისებურად ნესტიანი და უმყუდრო ჩანდა, როგორც არასოდეს. კალმშებიანი და გაშლილქოლგიანი მავალები ფანჯარასთან გაიღლებდნენ და სადღაც ქრებოდნენ. გაირბინა ახალკალმშიანმა ბავშვმა, რომელიც ცდილობდა გუბეში ჩაებიჯებინა ფეხი. ჩაირა ავტომობილმა და ააშეფა ჩამტვრეული ასფალტის ორმოს წყალი. ნელა ჩაირეს ბიჭმა და გოგონამ. ისინი ხომ წვიმას არც გრძნობენ? ახლო გაიარა მოხუცმა გაზეთებით ხელში. ყველას თავისი საქმე აქვს.

ვიღაცამ თქვა, ლენინის მუზეუმში შევიაროთო. ყველანი დაეთანხმნენ.

დიდხანს უცდიდნენ ორსართულიან ტროლეიბუსს — ახალგაზრდებს. სურდათ უთუოდ ორსართულიანით წასულიყვნენ — ზედა სართულით.

როდესაც მივიღნენ, აქსინიამ ცნობათა ბიუროს ჯიხური დაინახა. „ვინ იცის, იქნებ... — გაიფიქრა აქსინიამ, — იქნებ იგი მოსკოვშია?“ მან გაიხსნა, როგორ ეძებდნენ მოსკოვში ნაცნობ ადამიანებს, დიდი ხნის დაკარგულ ნათესავებს, ბავშვებს... „ვინ იცის, იქნებ...“ აქსინის შეეშინდა, გაბედულება არ მეყოფა, ეს მოგვიანებით რომ გავაკეთოო და სწრაფად განდა ჯიხურთან.

— ქალიშვილო, — მიმართა მან, — შვილი დამეკარგა... მე ყველაფერს მოგიყვები. იგი შვილია იგანე პეტრეს-ძე ნეხაევისა, პავლე ივანეს-ძე ნეხაევი, დაიბადა ცხრას ორ წელს, ზაფხულში, ივნისში...

— ნეხაევი?

— პავლე ივანეს-ძე, დაიკარგა უგზოუკვლოდ. ცხრაას რომ შეტანა
იძალა ორლოვის ოლქის პეტროვსკის რაიონის სოფელ შილეუკიში...

ქალიშვილმა ტელეფონის მიღავი აიღო. აქსინია გაჩუმდა და ბავე
მოიკვიტა. მას მოეჩვენა, რომ ქალიშვილი ყველაფერს ძლიერ ნელა აკ-
თებდა: ზანტად აიღო ტელეფონის მიღავი, სევე ზანტად გაუშეორა ვი-
ლაცის აქსინიას ნათქვამი. მაინც რა ნელა იმეორებდა!.. შემდეგ საშველი
არ დაადგა მდუმარე მოლოდინს, როცა ქალიშვილი სულ ერთსა და იმავეს
იმეორებდა: დიას, დიას, დიას...

ქალიშვილმა ბოლოს პასუხი მიიღო, უხმოდ დადო ტელეფონის მიღა-
ვი აპარატზე, მოძებნა კალმისტარი, გამოწერა ქვითარი და 20 კაპიკი მო-
ოხოვა. აქსინიამ სჭრაფად ამოიღო ათმანეთიანი და შეეხვეწა:

— წაიღეთ, წაიღეთ, წაიღეთ...

ქალიშვილმა ფული აიღო. აქსინიამ მხიარულად გაიღიმა და ფრთხი-
ლად გამოართვა ქვითარი. თვალი მოხუჭა, მერე ერთბაშად გაახილა და
ქვითარი თვალთან მიტანა. გაოცებულმა შეხედა ქალიშვილს. მან ხურ-
და გამოუწოდა. აქსინია გაშეშდა. გულმა რაღაც ცუდი უგრძნო.

— მთლად, მთლად წაიღეთ...

— ასეთი არავინ ცხოვრობს, — უთხრა ქალიშვილმა. — არ ცხოვ-
რობს, — გაიშეორა მან, თან აქსინიას სახეში ჩახედა და ხურდა წინ
დაუდო.

„არ არის... მერე რა, რომ არ არის...“ ახლა აქსინიას არაფერი აღარ
უნდოდა: არც წასვლა, არც დგომა, არც გამგზავრება.

მაგრამ მუზეუმში მაინც წავიდა.

შველაზე მეტხანს იგი ჩერდებოდა ნივთების ვიტრინასთან. გულდას-
შით ათვალიერებდა ამოქარებულ პირსახოცს, რომელიც ლენინს გლეხის
ქალებმა მიართვეს, ხან პატარა შაშხანას, გემოვნებით რომ გაუკეთებიათ
ოსტატებს. მას იმდენად ფოტოსურათები და ქალალდები არ ინტერესებ-
და, რამდენადაც ლენინის ნივთები, რომლებსაც იგი ხელს ჰყიდებდა და
ხმარობდა. აქსინიას ეჩვენებოდა, რომ ისინი აქამდე ინარჩუნებდნენ ლე-
ნინის ხელების სითბოს და შეუძლიათ ბევრი მოუხტონ მასზე.

მაგრამ ერთ ფოტოსურათს აქსინია სხვებზე მეტხანს ათვალიერებდა.
იგი თავის ჯგუფს ჩამორჩა და დიდხანს უცქირა პატარა არც თუ მკაფიო
სურათს „მიტინგი ფრონტზე გამგზავრების წინ“. წინგადახრილ ლენინს
ერთ ხელში კეპი ეჭირა და მიმართავდა ადამიანებს, რომელთაც გაცვეთი-
ლი მაზარები და ზიჯაკები ეცვათ, ადამიანებს, რომლებიც აგრეთვე მიის-
ჭრაფოდნენ მისკენ, ესოდენ ჩვეულებრივი და უდიდესი ადამიანისაკენ.

„როგორ უცქერებ მას! თვალს არ აშორებენ და პიჯაკებში არიან ბი-
ჭები, ერთს კი, როგორც ჩანს, სხვისი აცვია — დიდია პიჯაკი, მამისეულია,
ალბათ“.



აქსინია კედელს მოშორდა, მაგრამ ფოტოსურათს თვალს შაინც ჩატარებდა.

„დაკერძებულიც კი აცვიათ. დედებმა ან პატარძლებმა თუ დაუკი-
რეს... ეხ, შვილები...“

უცებ მას მოეჩვენა, რომ ყველანი, ვინც ფოტოსურათზე ლენინის-
ირგვლივ იდგნენ, ერთის გარდა, გაქრნენ, და ბუნდოვან-რუს მასად გადა-
ქცნენ. აქსინია ნათლად ხედავდა მხოლოდ ერთ კაცს, რომელსაც მხარზე
შაშხანა ეკიდა და ყველაზე ახლოს იდგა ტრიბუნასთან. და ეს კაცი იყო
მისი პაშვა. თუმცა ფოტოსურათი არც ისე მყაფიოა, ტრიბუნის ირგვლივ.
ადამიანთა ფიგურები სულ ბუნდოვანია, მაგრამ მაინც... მაინც ეს კაცი
პაშვაა. პაშვაა... ეს აქსინიას არ ეეჭვებოდა.

აქსინიას ეს არც კი გაკვირვებია, არც განძრებულა და კრინტიც არ და-
უძრავს. ქალი ფოტოსურათს უცქეროდა მანამდე, ვიდრე უნებლიერ არ
დაახამხმა თვალი.

მაგრამ სახე არ გამქრალა. მან მზერა ლენინს გარშემოხვეულ ადამია-
ნებზე გადაიტანა, შემდეგ ისევ ტრიბუნასთან მდგომ შაშხანიან კაცზე —
და დაინახა პაშვა.

ამჯერად აქსინია შიშისაგან გახევდა: ვაითუ ახლა, აი ახლა, როცა სუ-
რათს მივარდება, პაშვა გაქრეს და ფოტოსურათზე მის მაგივრად უცხო-
ვინმე ნახოს?

დარბაზში მყოფნი გაოცებით შესცქეროდნენ ქალს. ექსკურსიაშძლო-
ლი გაჩუმდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

აქსინიამ, რომელმაც არც იცოდა, რას აკეთებდა, კედელთან მიირბინა,
საღაც სურათი ეკიდა.

მან ხელი გაუწოდა შვილს, ფეხის წვერებზე შედგა, მთელი ტანით
გაიწია ფოტოსურათისაკენ.

— შვილი, ჩემი შვილი, — წყნარად წარმოქვეა მან და მიუთითა პი-
გაჟიან კაცზე, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ლენინთან...

* * *

რევოლუციის მოედნიდან შეიძლებოდა წაკითხვა: „ვ. ი. ლენინის მუ-
ხეუმი“. თავაწეული აქსინია შენობის ფასადს უცქეროდა და გონებაში და-
სხენდა: „ლენინისა და ჩემი შვილის... და ბევრი სხვისა...“

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.

ნესტორ მალაზონია

ფერად-ფერადი

თუ ხელთა გაქვს, არ აფასებ,
რომ შენია, არც კი იტყვი.

თუ დაკარგე, ვეღარ ასწევ —
ოქროა და მარგალიტი.

* * *

დიდი საქმე სასწორზეა,
არ გაზომო ვარა უდით.
ყველა ცვარში თითო მზეა
და არც ერთი მზეს არ უდრის.

* * *

თუ კი არ ყივის,
არც მამალია.
ზღვა, თუ არ ღელავს,
მხოლოდ წყალია.

* * *

უთქმელი კაცი ბრალია,
ყბელი ყბელობამ დალია.
თუ ენის ზომა არ იცი,
აბა, ვისი რა ბრალია!

* * *

ციცხვი სახელს ვერ ელევა,
მაგრამ მცოდნის იწვევს სიცილს.

ქოთნის ფსკერი მკეთებელმა
ყველა ციცხვზე უკეთ იცის.

* * *

რამდენად ნაკლებს დაიტევს ყანწა
იმდენად უფრო სიამით დაცლი,
რამდენად უფრო დიდია განძი,
იმდენად ნაკლებ აფასებს კაცი.

* * *

იქნებ ავკაცი ბევრსაც აშავებს,
მაგრამ არ კმარა ეჭვით ნათქვამი.
სჯობს აპატიო ას დამნაშავეს,
ვიდრე დასაჭო ერთი მართალი.

* * *

ვისაც კარგი ომზრდელი ჰყავს,
ამას ეტყვის შინ და გარეთ:
შენი დედა თუ არ გიყვარს,
სხვისას როგორ შეიყვარებ?

* * *

უთქმელობას თუ ვერ იტან,
ნუ აურევ სწორს და მრუდეს.
უადგილოდ თქმული სიტყვა
სიმართლესაც გაამრუდებს.

* * *

სიბრძნეს დინგი ქცევა ამკობს,
ჰერა ცოდნას აგროვებს.
კაცი ბევრს თუ ლაპარაკობს,
მაშინ ცოტას აზროვნებს.

* * *

პირველად თქმული სიახლით ვარგა,
სხვა რომ არ იყოს, შაბლონს შორდება.
პირველ სიყვარულს უფრთხილდი კარგად,
თორემ ყალბია, თუ მეორდება.

* * *

პოლარეთს ღამითაც ანათებს მზე,
მაგრამ ის ღამე არ არის დღე. —
ხე მუხლმაგარი, მინდორში მდგარი —
ვეება მუხაც არ არის ტყე.

* * *

ჩამოგათოვა? არ შეუდრკე იმ ფიფქებს,
ჭილარითაც ათას მაღლობს გადახვალ.
სიკვდილზედაც უფრო ცოტა იფიქრე, —
ფიქრი სიკვდილს აახლოებს თვალდათვალ.



პარმენ ლორია

თ ა ვ ა ჯ დ ო მ ა რ ე

ოჯახში ჯერ კიდევ ყველას ეძინა, მაიამ რომ სახელდახელო საქმე პოათავა და კოლმეურნეობის კონტორისაკენ გაიძია.

სამური დილა იდგა. ლალი ბუნება ნამისქვეშ განაბული სუნთქვავდა. სოფელში შემოდგომის სურნელება შემოპარულიყო და ნაყოფით დატვირთულ ხეხილის ბალებს მოსდებოდა.

მაიამ სწრაფად აირბინა მაღლობი და ხის ძველ სახლთან შეჩერდა. იქ იყო ამ სოფლის ადმინისტრაციული ცენტრი: სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის კონტორა და დამხმარე სათავსოები.

კოლმეურნეობის კონტორაში მარტო თავმჯდომარე იჯდა. იგი ისე იყო თავჩარგული ქალალდებში, რომ კართან მისული ქალი არც შეუნიშნავს.

— შეიძლება? — ნელა შეაღო კარი მაიამ.

— ჰო, შეიძლება! — თავი არ აუწევია, ისე უთხრა თავმჯდომარემ.

მაია ფრთხილად შევიდა.

ოთახში თამბაქოს ლურჯი კვამლი იდგა. საფერფლე სავსე იყო ნამწვით, მაგრამ მისი ამვენები ახლაც სქლად შეხვეულ თამბაქოს აბოლებდა.

— დილა მშვიდობისა, ბიძია ასლან! — მიესალმა მას ახალმისული.

— გაგიმარჯოს! — ახლა წამოსწია თავი თავმჯდომარემ. — ააა, ეს შენხარ? გაგიმარჯოს, ბიძიკო, გაგიმარჯოს! რამ წამოვაგდო ამ უთენია? კარგია რომ მოდი, — ჩამწვარი თამბაქო საფერფლეში ჩატენა და სამაგიერო შეახვია. შემდეგ პირში ჩაიდო, გააბოლა და, საშინელი ხველა რომ აუტყდა, გულიანად მიაწყევლა. — ასე მკლავს ეს ძირგასახმობი და ვერ მიმიტოვებია.

— უთუოდ უნდა გადაეჩვიოთ, ბიძია ასლან, მიატოვოთ! — ქვეთილი ურჩია მაიამ.

— მართალი ხარ, მართალი, უნდა გადავეჩვიო, მაგრამ ხომ გაგიგონია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. რჯული აღვილად დავთმე და მივატოვე, ეს ოხერი კი... სამსონი რას შვება, უკლო სმას?

მაიამ ნალვლიანად ამოიხრა.

— თქვენი მტერი იყოს მის დღეში... ნეტავი სხვა სენით იყოს დაავადებული და... ალარ შევვიძლია, ბიძია ასლან! შეიწირა მთელი ოჯახი მისმა საქციელმა.

— ეჭ, შვილო! — თამბაქოს კვამლი ხელით გაფანტა თავმჯდომარემ. — თითო სენი ყველას გამოგვყვა იმ დასაქცევიდან. ლოთობა კი არა, უარესი არ გაემტყუნება იქიდან დაბრუნებულ ადამიანს. ცოცხალი რომ მოვიდა, ის რად ლირს.

— ჩვენც ამით ვართ ბედის მადლიერი. ცოცხალი დაგვიბრუნდა, ოჯახს პატრონი გაუჩნდა, მაგრამ... ეჭ, ბიძია ასლან, ის რომ ოდნავ ჩვენს მდგომარეობას უწევდეს ანგარიშს, ამ დღეში არ ვიქნებოდით.

— როგორ, გიჭიროთ რამე თუ? — ფანქრით რაღაც მოხაზა ასლანმა. მაიამ თავი ჩალუნა.

— იქნება სიმინდი არა გაქვთ! მჭადი გაკლიათ?

— პატარები, თორემ... — თავსაფრის ყურით თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა მაიამ.

თავმჯდომარემ თამბაქოს წევა შეაჩერა.

— გასაგებია. დამიწერე განცხადება და ხორბალს მოგცემ.

— მადლობელი ვარ, ბიძია ასლან! — სახე გაუნათდა ქალიშვილს. — როგორმე ციტრუსების შემოსვლამდე და მერე...

— კარგად ასხია?

— საკარმილამოზე უკეთესი არ მეგულება. — მიუგო მაამ.

— მართლა? ყოჩალ! კარგია, შვილო, კარგი. ასე უნდა... ჲო, ხორბალს თენგიზი მოგიტანს მანქანით. თუ სხვა რამეც გინდა, ნუ დაგერიდება. მითხარი, გმიშველით, დაგეხმარებით, მაგრამ შენც უნდა წამოგვიყრა ხელი. ხომ იცი, როგორ ვეძებთ შენისთანა ადამიანებს.

— მე თუ კი რამე შემეძლება, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, ბიძია ასლან. — გამხნევდა მაია.

— შეუძლებელს ჩვენც არ დაგავალებთ. — წამოდგა ასლანი. — თქვენი სკოლა ჩვენი კოლმეურნეობის მარჯვენა ხელი იყო. წელსაც დიდი დახმარება გაგვიწის მეთერთმეტეკლასელებმა, მაგრამ ამჟამად ძალიან ბევრი გამოგვეშალა. სწავლას ვერავის დავუშლით, ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, მაგრამ ვინც დაგვრჩია და ჩვენთან არის...



— უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ, ბიძია ასლან. — დასწრო მაინ

— ჰო, მეც ასე მინდოდა მეოქევი. უკეთესად უნდა ვიმუშავოთ უზუნ
ნაყოფიერად. მართალია, შარშან ცოტათი გული გატკინეთ, მაგრამ პირო-
ბა მითქვამს, რომ მსგავსი არ განმეორდება. სხვის ნაშრომს ვერავინ მი-
ითვისებს.

— ჰოდა, ჩვენც ეს გვინდა, ბიძია ასლან!

— არა, ნდომებით ბევრი რამე გვინდა. — მაგიდა შეარყია თავმჯდო-
მარებ. — ამას ხედავ, ასე მორყეულია ჩვენს კოლმეურნეობაში ყველაფე-
რი... მიცვალებულზე და სამსახურიდან მოხსნილ ადამიანებზე აუგის თქმა
სათაკილო და საძრახისია, მაგრამ... განა მოსათმენია ისეთი რამ, რაც აქამ-
დე ჩვენს კოლმეურნეობაში ხდებოდა? რატომ უნდა ვიყოთ ასე ხელვიწ-
როდ და ჩამორჩენილი, ასე ღარიბიდ და საწყლად, როცა უკეთესად ცხო-
ვრების საშუალება და პირობები გაგვაჩნია? თუ ჩვენი მეზობელი კოლმე-
ურნეობა ათვერ უკეთესად ცხოვრობს, მეტი მოსავალი მოჰყავს, ჩვენ რა
ღმერთი გავვიწყრა?

— ალბათ, რაღაც გვაკლია, ბიძია ასლან. — გათამამდა მაია.

— დიახ, დიახ, რაღაცა გვაკლია და ეს რაღაცა ხელმძღვანელობაა,
ჩემო კარგო. ხელმძღვანელობა გვაკლია, მოქნილი და საქმის ერთგული
ადამიანები გვაკლია. ათასზე მეტი მუშახელიდან ხუთისი კაცი ძლივს გა-
მოგვყავს სამუშაოდ. ლევან სილაძე მანქანების ყიდვა-გაყიდვაშია გართუ-
ლი, თხელაძეები საკუთარ ბალჩაში იჩხრიკებიან, ბელტაძეებიდან ორი დე-
დაკაცი გამოდის, კიკვიძეები სულ არ გვეკარებიან...

— მამაჩემიც ვერ გეხმარებათ, დედაჩემიც... — წმოიწყო მაიამ, მაგ-
რამ თავმჯდომარებ შეაჩერა.

— არა, არა, თქვენზე არ ვსაყვედურობ. მამაშენი ცოდვა კაცია, არც
დედაშენია უკეთეს მდგომარეობაში. ორივეს მკურნალობა და შველა ესა-
ჭიროება, მაგრამ შენ კი უნდა დაგვიტრიალდე, როგორც საჭიროა. დიახ,
შენი მოშველება წამალივით წაგვადგება.

— ჩემი?

— ჰო, შენი და იმ ბიჭისა პირველ ყოვლისა. შეძლებული ვაჟკაცია,
პირდაპირი და ენერგიული. ძალ-ლონით სავსე. მანქანაზე სხვა ვინმეს დავ-
სვამ, მას კი პირველი ბრიგადა მინდა ჩავაბარო. რას იტყვი?

— თქვენი ნებაა. — უთხრა მაიამ. — თენგიზს კარგად არ ვიცნობ,
მაგრამ...

— სწორია, სწორი. ბევრი ვერ იცნობს მას, მაგრამ მე ვიცნობ. ნამდ-
ვილი ჯარისკაცია, სალდათი... რა გეცინება? თავმჯდომარე სალდათი და
ნასალდათარი, ბრიგადირი ჯარიდან დაბრუნებული სალდათი... ერთი სი-

ტყვით, ნასალდათარმა ხალხში აიღო ხელში ძალაუფლება, არა?! არჭაშავსკის
სამოქალაქოდან შენ გვეყოლები და კველაფერი ჩიგზე იქნება. პირი მომდევ

— მე?

— მეორე ბრიგადა უნდა ჩაგაბაროთ. — სერიოზულად უთხრა ას-
ლანშა.

— მე?

— ცულლუტი ხალხია მაგ ბრიგადაში და უნდა აამუშაო.

— ბიძია ასლან! — თვალები გაუფართოვდა მაიას.

— ეს საკითხი გადაწყვეტილია! შეგიძლია ახალი მოვალეობის შეს-
რულებაზე იფიქრო.

— ბიძია ასლან, პატივცემულო ასლან ბიძია, ბატონო ასლან... — მო-
ულოდნელობისაგან სულ დაიბნა საწყალი გოგო.

— დიახ, ასეა, ამხანაგო ბრიგადირო! ჯერჯერობით ასე იყოს და შემ-
დეგში ვნახოთ, იქნებ უკეთესი თანამდებობა მოგინახოთ...

— ბიძია ასლან, ამხანაგო თავმჯდომარე... — ფერი ეცვალა მაიას. —
მე როგორ შევძლებ... მე როგორ...

— გეყოფა, გეყოფა! — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ. — ჩვენმა წინა-
პრებმა რევოლუცია მოახდინეს, მეფის ტახტი დამხეს, კაპიტალისტები
და მემამულეები გაანადგურეს, გამზადებული საქმე ჩაგვაბარეს და ველარ
უნდა მოვუაროთ?! — გაიღიმა და ისე დაუმატა: — მაგარი აგიტაცია კი
გამომივიდა... ფრონტზე აგიტატორობასაც ვეწეოდი და აქცი გამოვიყენე.
არა უშავს. კველაფერი რიგზე იქნება... ჩემთან თუ სხვა საქმე არა გაქვს,
შეგიძლია წახვიდე. საღამოს ბრიგადის კრება გვექნება და გავაფორმებთ.

მაიამ ბევრი ეხვეწა, ემუდარა, არ შემიძლიაო, ბრიგადას ვერ გავუძღ-
ვები, სხვა სამუშაო მომანდეთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

* * *

არასასურველ ბრიგადირ ქალიშვილს პირველ დღეებში თითქოს შეე-
გუნ ბრიგადის წევრები, კარგადაც წაიმუშავეს, მაგრამ შემდეგ თანდათან
უკლეს და...

— დღეს გონიგად ვარ, გოგო, და სამუშაოდ ვერ გამოვალ. — განუც-
ხადა ერთმა დედაკაცმა მოძალებული მუშაობის დროს.

— რაიონში ვაპირებ წასვლას და ვერ მოვალ. — იშოვა მიზეზი მეორემ.

— ბალანს უნდა ჩავაკითხო ინსტიტუტში. — უთხრა მესამემ.

— სტუმრებს ველოდები და არ მეცლება. — მეოთხესაც გაუჩნდა სა-
ქმე.

— კი, მაგრამ კოლმეურნეობაში ვინდა უნდა იმუშაოს?! — გაცხარდა
ახალგაზრდა ბრიგადირი.

— აბა, ჩემი საქმე მივატოვო და სხვისას შეველიო? — შეეკამათა უკანონებელი გაყოფილო დედაკაცი და სხვებიც აიყოლია.

მაიმ უპასუხოდ არ დატოვა ურჩი დედაკაცები, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველა. უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზარდა და...

ერთ დღეს კონტორაში ეახლნენ გუნთიაშვილს.

— პატივცემულო ასლან, მოგსწრიათ ასეთი? — შესჩივლეს მას. — ამ თითისიგრძე გოგომ არ აგვიჯლო და აგვაფორიაქა! ხომ მართალს ვამბობ, ქალებო?

— მართალია, მართალი! — დაუკრეს კვერი სხვებმა.

— რომელი თითისიგრძე გოგოა? — ვითომც ვერაფერი გაიგო, ისე იყითხა ასლანმა.

— რომელი და იმ ნასალდათარ სამსონიეს ციცაი. — წინ წამოიწია ტანდაბალი და სქელი დედაკაცი.

— რაო?! — შუბლი შეიკრა გუნთიაშვილმა. — ნასალდათარის შვილი რომ არის, იმიტომ არ მოგწონთ, თქვენ?! ნასალდათარი მეც კი ვარ, მაგრამ გამაგდეთ აბა აქედან!

სქელმა დედაკაცმა უკან დაიხია.

— რას ბრძანებოთ, ბატონო, — ახლა მეორე გამოესარჩელა ამხანაგს. — ნასალდათარი კაცი რავა დაიწუნება, სალდათად ჩემი ქმარიც კი იყო, მაგრამ...

— მაგრამ რა? — შესწყრა ასლანი. — მითხარით აშკარად, რა გინდათ?

— რა გვინდა, ბეჭა და. — ახლა ჩია ტანის დედაკაცმა გამოიჩინა თავ-ქალობა. — ბრიგადირი სხვაც კი გვყოლია, მაგრამ...

— ასე არ შევუჭამივართ...

— ამნაირად არ მოგვქცევია...

— ოჯახში არ მოგვხდომია...

— სამუშაოდ ძალად არ წაგუთრევიგორთ.

— დაიცათ, დაიცათ! — ხელის აწევით შეაჩერა ალაპარაკებული ქალები გუნთიაშვილმა. — რიგრიგობით ილაპარაკეთ, რა გინდათ, რას მოითხოვთ თქვენი ბრიგადირისაგან?

— რას მოვითხოვთ და ნუ შეგგჭამს და ნუ შეგვიყლავს ხელში...

— ცოტა შეღავთი უნდა მოგვცეს...

— აბა ასე გაგონილა! — ისევ სქელი დედაკაცი წამოიწია წინ. — ჩვენ ხომ ოჯახი გვაქვს და ქმარ-შვილის პატრონი ვართ, მუდამ თუ კოლმეურნეობაში ვიმუშავეთ, ჩვენს ოჯახს ვინდა მიხედავს?

— მართალია!

— სწორია!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — თამბაქოს კვამლში გაეცემა მჯდომარე. — თუ ასეა, მივიღებთ ზომებს. ჩვენ გვინდა კოლმეურნეობის სამუშაოებიც შესრულდეს და კოლწევრების ოჯახებიც მიხედული და ნა-ჟარტრონევი იყოს.

— აი, გიშველა ღმერთმა! — წამოიძახეს ქალებმა.

— აბა რას ვჩივი მე! — გული მოეცა სქელ დედაკაცს.

— ჰოდა, თუ მარტო ეს არის თქვენი სამდურავი, ამას როგორმე მო-ვაგვარებთ. თქვენ რომ ბრიგადირი შეგაწუხებთ, ისეთი ვინმე არც ჩვენ გვინდა. — და ყველაზე აქტიურად გამოსულ დედაკაცს მიუბრუნდა: — რამდენი შრომადღე გაქვს გამომუშავებული წელს?

— მე, პატივცემულო ასლან? — სხვებს გადახედა ქალმა.

— ჰო, პირადად შენ!

— სხვებზე ნაკლები არ გვეჭნება, ბატონო. — ამხანაგის მაგივრად მიუგო ჩია ტანის დედაკაცმა.

— მაგალითად, რამდენი?

— მე? — ლოყები შეუწიოთლდა ქალს. — რალა მაინც დამაინც მე და-მადგით თვალი...

— არა, მაინტერესებს ისე, როგორი მუშა ხარ!

— მე? — მიტრიალდ-მოტრიალდა ქალი. — რა ვიცი, სხვაზე ნაკლე-ბი არ მიმუშავია, მარა... ნახევარგერ ავად ვიყავი ლა... აბანოზე რომ არ მომწეოდა წასვლა...

— ერთი სიტყვით, კოლმეურნეობაში არ გიმუშავია.

— რაფერ ვიმუშავებდი, ბექა, ავადმყოფი ქალი...

— გასაგებია. — და ახლა მეორეს მიუბრუნდა თავმჯდომარე. — შენ რამდენი შრომადღე გაქვს?

— მე? მე, ბატონო... მეტი ვერ გამოვიმუშავე და ძალაზეა ეს კაცი? — შეწრიალდა ქალი.

— კარგი. — წამოდგა თავმჯდომარე. — ამ დღეებში საერთო კრება გვექნება. კოლმეურნეობის გამგეობის ანგარიშს მოისმენთ. შეგიძლიათ ილაპარაკოთ ჩვენს ნაკლზე, ბრიგადირების უხეშობაზე, ჩემს უმოქმედო-ბაზე, თქვენს აქტიობაზე... ერთი სიტყვით, ის კრება გადაწყვეტს ყველაფერს, უვარგისებს მოიშორებს, მათ ნაცვლად უფრო აქტიურებს წა-მოაყენებს. ასე, რომ შეიძლება თქვენი ბრიგადირი კი არა, კოლმეურნეო-ბის მთელი ხელმძღვანელობა მოხსნან.

— სხვასთან რა გააქვს სასაყვედურო და საჩივარი, ბატონო ასლან!

— დედა ბექა, სხვებს რას ვერჩით?

— თქვენ კი არ ერჩით, მაგრამ პარტია არ აპატიებს მათ უნიათობასა და დოკულაპიობას. კოლმეურნეობის რომ დავალება არ ექნება შესრულე-



ბული, პირველ ყოვლისა მე მომთხოვენ პასუხს, შემდეგ ბრძოლისას გენტი

ბოლოს კი თქვენ... ნუ დაგავიწყდებათ, რომ სავალდებულო ნორმა ყველას უნდა ჰქონდეს შესრულებული. თქვენ იცით, ილაპარაკებთ ბრიგადი-რის უვარგისობაზე, მის ნაკლებ და ოქვენს მიღწევებსაც არ დაივიწყებთ.

— დედა! ბერა, მერე როდის იქნება მაგი კრება?

— წლის ბოლომდე მაინც ეცლიათ. — შეწრიალდნენ ქალები.

— ასე დაუდგენიათ და... სხვა ხომ არაფერი გინდათ ჩემგან? — დედაკაცებს თვალი მოავლო თავმჯდომარებ.

— თქვენგან რაი უნდა გვინდოდეს, პატივცემულო ასლან. — სხვებს დაასწრო სქელტანიანმა. — წევიდეთ, ქალებო, იმ საწყალ გოგოს მივეშველოთ, თორემ ვინ იცის, იქნებ მას დააბრალონ ბრიგადის გეგმის შეურულებლობა და უსაყველურონ.

— მერე, ცუდი ხასიათის ბაღანე კი არ არის იგი საწყალი.

— რას ერჩი, ალალ-მართალი გოგო.

— თითო ნაკლი ყველას აქვს, ჩემო, დაია, მარა... მაიასთანა ერთგულო და მუყაითი გოგო მეორე არ გვყავს სოფელში.

— მაგას რომ ძალა და ენერგია აქვს...

— ყველაფერი იცის და გაეგება.

და დედაკაცები კონტორიდან ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

* * *

ის იყო თავმჯდომარებ გაისტუმრა ქალები და წასასვლელად მოემზადა, რომ კონტორაში ლევან სილაძემ შემოიხდა.

— მარტოდ ხარ? გამარჯობა შენი! — შორიდან გამოუწოდა ხელი და იქაურობა შეათვალიერა.

— აჲ, ლევანს გაუმარჯოს, მობრძანდი, დაბრძანდი! — ხელი ჩამოართვა და სკამი შესთავაზა თავმჯდომარებ.

სტუმარმა კვლავ მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და ჩამოყდა.

— ყოჩალ, შენ! გეტყობა არ ხუმრობ. თუ ასე იმუშავე, ჩვენს კოლმეურნეობას მოწინავეთა რიგებში ჩააყენებ.

— ეჲ, ჩემო ძმაო, ჯერჯერობით სახარბიელო არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ... — ასლანმა მაგიდაზე გაშლილი ქალალდები აკრიფა და უჯრაში ჩაალაგა.

სტუმარმა ახლა შენიშნა თავმჯდომარის ახალი მაგიდა და გაიღიმა.

— არა, არა, თავს ნუ იკატუნებ, გაკეთებული ძალიან ბევრია. ჯერ ის რად ლირს, აქაურობა წესრიგზე რომ მოგიყვანია. ყველაფრისათვის შნოდა ლაზათი მიგიცია. — მაგიდას შეუსვა ხელი. — ესეც კი ახალი შეგიძნია. მინისტრის საკალრისია... სად გააკეთებინე?

— მაგიდა? აქაურია. გაკეთებული შევიძინე. — თავმჯდომარებულის უწყებელი
ლა ეჩქარებოდა და საუბარში ჩაბმას დაერიდა. — მოგწონს?

სტუმარმა უფრო ბეჭითად შეუსვა ხელი მაგიდას.

— არა უშავს, მაგრამ... ბიჭო, მაგიდა თუ გინდოდა, გეოჭეგა ჩემთვის
და რიგიდან ჩამოგიტანდი. ამას წინათ ისეთი ავეჯი ჩამოვუტანე ვაშალო-
მიძეს, რომ მტერს გულს მოუკლავს.

— მე კი მტერი არ მყავს, ჩემო ლევან, და არც ვინმეს გულის მოკვლას
ვაპირებ. ნეტავ საქმეებს გავართმევდე თავს, ხალხის თვალში არ შევრცხ-
ვებოდე და სხვას არ დავეძებ. — კვლავ აგრძნობინა, რომ სამასლაათოლ
არ ეცალა, მაგრამ სტუმარმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

— პირში ქება არ მიყვარს, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ შენისთა-
ნა თავმჯდომარე ჩენს კოლმეურნეობას არ ღირსებია. მართალი გითხრა,
შენგან ამდენს არ მოველოდი, თუმცა ყველაზე აღრე მე დაგასახელე. —
და მოდგა ძველების ძაგებას. — ერთი იყო და მარტო თვისიანებისათვის
ზრუნავდა, მეორემ ხომ სულ არივ-დარია საქმეები. მესამეს არა უშავდა,
მაგრამ ქალების მაღევარი იყო და სოფელი შეარცხვინა.

ასლანს არ სიამოვნებდა ასეთი ლაპარაკი, არც ზედმეტი ქება უყვარ-
და, არც ვისიმე ძაგება და შეურაცხყოფა, მაგრამ ახლა თუ ხმას არ იღებ-
და, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდა ზედმეტი დრო დაეკარგა და კამია-
ში ჩაბმულიყო.

— რას იზამ, ადამიანი მრავალნაირია. — მოკლედ მოუჭრა და წამოდგა.

— ჰო, ესეც არის. — დაუდასტურა სილაძემ. — მრავალნაირია და
იმიტომაც ვამბობ, შენისთანები საძებარია-მეთქი. მარტო ის რად ღირს, ამ
მოკლე დროში ისეთი გზა გამოიყვანე, აბანო ააგებინე, ფერმის საკითხი
მოაგვაჩე... იმ გაჭირვებულებსაც სწყალობ და ეხმარები...

— რომელ გაჭირვებულებს? — გაუკვირდა თავმჯდომარეს.

— რომელს და ყველის. თუნდაც ბაკურიძის ოჯახზე ვოჭვათ. სახლი
თავზე ალპებოდათ, შიშველ-ტიტველი დაღიოდნენ... ხომ შენ მიხედე და
მიეშველე?

— ჰო, ცოტა რაღაც...

— ცოტა კი არა, ძალიან დიდი დახმარება გაუწიე. — ვითომი მართლა
მოუწინა სტუმარმა. — თუმცა ვინ დაგიმადლებს. იმ თხა გოგოს გინდ კა-
რგი გაუკეთე, გინდ ცუდი, სულერთია. აბა სამსონიე ლოთი. ხომ ერთ ჭი-
ქა არაყში გაგყიდის...

— არა, არა. იგი ალარ სვამს ახლა. — შეაწყვეტინა ასლანმა. — კარგა
ხანია არ დაულევიაო.

— არ დაულევიაო. — გაიმეორა ლევანმა. — მერე, გვერა შენ ასეთი
ზღაპარი? მაშ ვინ სვამს იმდენ არაყსა და ღვინოს, იმ ტუტუც გოგოსა და

მის საყვარელს რომ მიაქვთ სასადილოდან! ხალხს არაფერი გამოვაწერებუ
თავმჯდომარებ უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი. ეს კაოგად შენიშვნა
სილაძემ და კილო შეიცვალა.

— არა, ასე ამბობენ, თორემ მე სხვის საქმეში არ ჩავრევივარ და არც
ჩატერევი. რა ჩემი საქმეა გარყვნილ ყაზილარებს ვსდიო და ვუთვალ-
თვალო...

— მაინც რას ამბობენ იმ ყაზილარებზე?! — უფრო ეწყინა ასლანს,
ორმაგად სქელი პაპიროსი შეახვია და უფრო შავი კვამლი ააფუტა.

— ხომ გეუბნები, სხვისი საქმე არ მაინტერესებს. თუმცა არც ის ვარ-
გა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, სპეტაკ კომუნისტსა და კეთილშობილ
ადამიანს დაგიმალო ის, რაც შენს კოლმეურნეობაში გამიგია და ხდება,
რაც შენს პიროვნებას ჩირქს სცხებს და არცხვენს. — და სილაძემ განზრას
შეწყვიტა სიტყვა.

— რასაკვირველია, ცუდი საქმის დაფარვას არავინ მოგიწონებს, ჩე-
მო ლევან. — წასასვლელად მომზადებული თავმჯდომარე ჩამოჭდა. — მა-
გრამ მაის გარდა, ვინ გყავს მხედველობაში? შენ თქვი, საყვარელიო, ეს
ვის საყვარელზეა ლაპარაკი?

— გონიერი კაცი ხარ, ასლან. — გაიღიმა ლევანმა. — ვითომ შენ არა-
ფერი იცი?! ჩემგან გინდა მოისმინო ყველაფერი ის, რასაც ხალხი ლაპა-
რაკობს... არა, ჭვევიანი რომ არ იყო და საქმის გაძლოლა არ შეგეძლოს,
არც მე გადავდებდი თავს შენს დასაწინაურებლად. ხელმძღვანელ ამხანა-
გებს მოგაწონე შენი თავი იმდენი რამეები ველაპარაკე.

— და ახლა, ალბათ, ნანობ მაშინდელ საქციელს. — გაუღიმა თავმჯ-
დომარებ. — შეცდი, მოტყუფდი. ხომ მართალია?

— ისე ღმერთმა სხვა რამეში შემაცდინოს. — დაიფიცა სილაძემ. —
უნაკლო მზეც არ არის, ყველაფერი რიგზე ვარსკვლავსაც არა აქვს, მაგრამ
საქმე ის არის, რომ რა მოვალეობაც შენ გაისირია, იმას კეთილსინდისიე-
რად ასრულებ. რა ვუყოთ მერე, ადამიანი კი არა, ხანდახან ღმერთი შესც-
დებაო, ნათქვამია. შენ მისოთვის კარგი გინდოდა, დააწინაურე, დაეხმარე
და თუ ვერ შეიღირსა, ეს რა შენი ბრალია?

— გასაგებია, ვისზედაც ამბობ, მაგრამ ერთი ისიც მითხარი, ვინ არის
მისი შეყვარებული?! — უფრო და უფრო შეიკრა შუბლი თავმჯდომარებ.

— ბატონი ბრძანდები. მაგასაც გეტყვი. ბრიგადირი ქალიშვილია. რო-
გორ ფიქრობ, უბრალო ვინმეს ხომ არ აირჩევდა?! მართალია, შენი ნათე-
სავია, მაგრამ... ხომ იცი ნასალდათარია, შოთრად ნამუშევარია...

— რაო?! — შეაწყვეტინა სიტყვა ასლანმა. — ნასალდათარი ვინ არაა
ჩვენში? ჯარისკაცად რჩეული ვაჟკაცები მიჰყავთ და არა გაიძვერები! მაშ-

ექვსი წელი იმიტომ ვემსახურე სამშობლოს და მტერი ვანადგურებოდა
ნასალდათარი აგდებით მიწოდონ და გამქირდონ?

სილაძემ შეატყო, რომ ასეთი სიტყვებით ძალიან აწყენინა თავმჯდო-
მარეს და ახლა სულ სხვანაირი ნიღბის აფარება მოიწადინა.

— გეხუმრე, ბიჭო, გეხუმრე. ნასალდათარი ვინ არ არის! მეც კი ვი-
ყავი ჭარში ერთი წელიწადნახევერი, მაგრამ... არა, თენგიზე ცუდს ვერა-
ვინ იტყვის, თუმცა მის დაწინაურებაში რომ ავჩქარდით, ესეც ცხალია.

— მე მგონია, დევაძე ცუდად არ მუშაობს. — თქვა თავმჯდომარემ. —
თუ ვინმეს სხვა რამე აწუხებს...

— არა, კაცო, არა. — არ დააყოვნა ლევანმა. — მუშაობას არ უწუ-
ნებენ, მაგრამ ცოტა უხეში და გარყვნილია, მმბობენ. თუმცა გარყენილი
არ ითქმის მასზე. ვაჟი ვაჟია. თუ გოგო თავს დაუტებს... — მაგრამ არც
ასეთი ოხუნჯობა გამოუვიდა სილაძეს. ვერ მოახერხა თავმჯდომარის გუ-
ლის შემობრუნება. ახლა გასაგები გახდა მისთვის, რომ ეს ორი ახალგაზრ-
და ბრიგადირი ერთნაირად საყვარელი ყოფილა კოლმეურნეობის ხელმ-
ძღვანელობისათვის, რომ მათ შრომასა და ღირსებას პატივს სცემენ და
უფრთხილდებიან.

— აღმართ, ასე ზიხარ აქ დღე და.ღამ. — სხვა ვერაფერი მოახერხა
სილაძემ უსიამოვნო განწყობილების შესაცვლელად.

— დასაჯდომად სად მცალია, ჩემო ძმაო! — უკმაყოფილოდ ამოხე-
და ასლანმა. — დაჯდომა კი არა, ახლა კიყაურში უნდა ვიყო. — წამოდგა
და ჩანთა აიყოლია.

— ციტრუსების კრეფას ხომ არ აპირებთ? — სკამიდან არ წამოწეუ-
ლა ლევანი.

— უამინდობა, თორემ ნოემბერში მთლიანად დამთავრებული გვქონ-
და მანდარინების კრეფა. — მიუგო ასლანმა.

— ჰო, ძალიან დაიგვიანა წელს მანდარინის მოსავალმა. თუმცა არც
სხვა მოსავალი შემოსულა დროულად. ჩაის კრეფაც შეგვიანდა წელს. კი-
ნალამ ჩამოვრჩით. — ამას ისე მმბობდა სილაძე, თითქოს მართლაც გული
შესტკიოდა კოლმეურნეობაზე.

ასლანმა ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა სილაძის ნათქვამი და საათს
შეხედა.

— მგონია იდაროს. — წამოდგა ლევანი და ფანჯარას მიადგა.

— ჩვენი წამალი დარი და მუშახელია. — დაუმატა ასლანმა და ჩანთა
გადაიკიდა.

— კიდევ მუშახელზე ჩივით?

— ვჩივით რომელია! ეს ჩამოსული ხალხი რომ არ გვშველოდეს,

ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე... მაპატიე, უნდა წავიდე. ხომ არაფერობი გინდოდა ჩემგან?

- ცოტა საქმე კი მქონდა, მაგრამ...
- დავიცდი თუ საჩქაროა. — შეჩერდა თავმჯდომარე. — რა გინდა?
- არა, ისეთი საჩქარო არაფერია...
- მაინც?
- ლენინგრადში ვაპირებ წასკლას და...
- ლენინგრადში?
- მეუბნებიან, ყველაზე კარგი სპეციალისტები იქ არიანო და...
- არ მესმის. რის სპეციალისტებს ეძებ?
- ჩემი სნეულებისას. — ამოიხვენეშა სილაძემ.
- სნეულებისას? — გაუკირდა ასლანს. — რას იტკენ, კაცო? — შეებრალა ეს ვეფხივით ვაჟკაცი.

— რა არის, მე რომ არ მტკიცა, ჩემო ასლან! — მოისაწყლა თავი სტუმარმა. — აბა რომ არ მტკიოდეს და კარგად ვიყო, აქამდე უსამსახუროდ დამტოვებდნენ?! ერთი თვევა მეხვეწებიან. საოლქო კომიტეტში განყოფილების გამგის აღგილს მთავაზობენ, იქიდან კიდევ დაწინაურება მომელის... მაგრამ რა ვენა, თუ ეს სენი არ მოვიშორე...

— არ გადამრიო, — მაგიდაზე ცალი ხელით დაეყრდნო ასლანი. — რა სენია ასეთი?

— უბრალო სიმსივნეაო, მეუბნებიან, მაგრამ მე ხომ ვიცი რა სიმსივნეც არის. ვისაც ის გაჩენია, რომელი დაუტოვებია ამქვეყნად.

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ. — ფერი ეცვალა თავმჯდომარეს. — მითხარი რა გჭირდება! როდის აპირებ?

— რაღაზე უნდა დავიგვიანო, — თქვა სილაძემ. — ამ დღეებში უნდა გავემზიავრო... ცოტა მოხაზირებაც ხომ მინდა. ერთი და ორი ათასი არ მეყოფა. კიბეში ცალი გროშიც არ მომექვა. ხელვიწროდ ვარ. თუ რამე მჭონდა, ის სახლს შევალიე და ახლა ყველაფერი ოხრად მრჩება.

— ღმერთმა დაგიფაროს ასეთი სიავე. — გულწრფელად უთხრა თავმჯდომარემ. — საერთოდ ამჟამად ხელვიწროობაა, მაგრამ... აგერ ციტრუსების ფული შემოგვივა და... — უნდოდა ეთქვა გასესხებთო, მაგრამ ლევანმა დაასწრო.

— მანამდე თუ თავს არ მივხედე...

— მანამდე? მანამდე, ბევრი არა, მაგრამ საგზაო ხარჯები რომ დაგიფაროს, იმდენს კი მოგხიერებ. ჩვენებსაც ვეტყვი და... ერთი სიტყვით, ნუ გეშინია, არ დაგაბრკოლებო.

— შენგან მაინც მოველი დახმარებას. — გამოტყდა ლევანი.

— სინდისს გეფიცები, იმდენი არა მაქვს, თორემ ასეთ დროს...

— არა, არა, კაცო. ფულზე რავა შეგაწუხებ. — სახე გაუბრუყინდა
სტუმარს. — ფული დღეს ყველას უჭირს. ფული კი არა, შენ ეს ქალალდა
გამომიცვალე და...

— რა ქალალდა, კაცო? — შეჩერდა და მიბრუნდა თავმჯდომარე,
რომელიც ის-ის იყო წასვლას აპირებდა.

ლევანმა გულის ჭიბიდან დაკეცილი ქალალდი ამოილო და ასლანს გა-
უწოდა.

სლანმა ერთი თვალის მოვლებით ჩაიკითხა მოქლედ დაბეჭდილი სი-
ტყვები, მაგრამ თითქოს გაუჭირდა შინაარსის გაეგებაო, ისე დაუგვიანა პა-
სუხი. რამდენჯერმე აავლ-ჩავლო თვალი, მაგრამ ახლა იგი კი არ კითხუ-
ლობდა, არამედ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორი პასუხი გაეცა ამ ქალა-
დის პატრონისათვის.

— ვერ წაიკითხე? — მოთმინება გამოელია სილაძეს.

— როგორ არა, წავიკითხე.

— მერე?

— ასეთ მოწმობას ვერ გავცემ. — მტკიცედ მიუგო თავმჯდომარე?

— მე ხომ არ გთხოვ ახალი მომცე... ეს შემიცვალე, წლევანდელი რი-
ცხვი დაასვი და...

— ჰოდა, ეს იქნება ახალი.

— თუნდაც ასე იყოს, მერე რა მოხდება ასეთი?

თავმჯდომარემ თავი გაიქნია უარის ნიშნად.

— არა. ასეთ საქმეს ვერ გავაკეთებ. ასეთ მოწმობას ვერ გავცემ.

— ვითომ რატომ? — იწყინა ლევანმა. — ჩემი ოჯახი კოლმეურნეობის
წევრი არაა თუ შრომადღე გვაქვს სხვაზე ნაკლები?

— მაინც ვერ მოგცემ ასეთ მოწმობას. — უფრო, გაკერპდა ასლანი.

— ვითომ ახლა რომ კოლმეურნეობაში არ ვმუშაობ? — უკან არ და-
იხია ლევანმა. — ამის გასამართლებელი საბუთი წარმოდგენილი გვაქვს მე
და ჩემს მეუღლეს. მადლობა ღმერთს, ავადმყოფობა აქრძალული არაა
ჩვენს ქვეყანაში. ქაური ექიმების თუ არ გჯერა, წავალ ლენინგრადში და
იქიდან ჩამოგიტან. გამიშვით მხოლოდ, მომეცით საშუალება.

— წასვლას ვინ გიშლის, შე კაი კაცო! — მშვიდად მიუგო თავმჯდო-
მარემ. — წაბრძანდი.

— კარგი სიტყვაა, მადლობელი ვარ შენი. წაბრძანდი... რით წავბრძან-
დე, როცა ამის შესაძლებლობა არა მაქვს. გესმის? გროში არა მაქვს,
ყურგახვრეტილი გროში. — აღელვება დაეტყო სილაძეს.

— ხომ გითხარი, მოგეშველებით, მეზობლებში შეგიგროვებთ, ცოტა-
შეც გიშოვი.

— გადი ქედან! — წამოვარდა ლევანი. — ვის უნდა, ბიჭო, შენი სა-

შორისალო? ასეთ უბრალო რამეზე უარს მეუბნები და სხვა დანართების გა-
იმეტებ ჩემთვის?

— მასეთი უბრალო საქმის გაკეთებას მიღწევნია სახლ-კარზე ავილო
ხელი. როგორ, თავი შევიტოცებინ ამ ხნის კაცმა?

— მაშ ალფესიე ნადარაშვილი სულელი იყო, შეუხვეწებლად რომ
მომცა?

— ეს ჩემი საქმე არაა. მის გაცემულ საბუთზე ის იყო პასუხისმგებე-
ლი, ჩემსაზე მე ვარ.

— ასე გამოდის, რომ მე უფლებააყრილი მოქალაქე ვყოფილვარ, არ
შექნია ნება ვისარგებლო საკუთარი ნაშრომითა და ნაოფლარით. მივიღო
ის, რაც კანონით მექუთვნის... ამხანაგო ასლან! — ოფიციალური კილო
აიღო ლეგანმა. — ნუ მაიტულებ სხვა საშუალებას მივმართო, თორემ...

— თორემ რა?! — მკვახედ შემოხედა ასლანმა.

— არც შენთვის ივარგებს და...

— არც შენთვის! — დაასწრო თავმჯდომარემ. — მე კი მგონია, უფ-
რო შენთვის არ ივარგებს.

სილაძემ სიბრაზე დაიოკა და ნაძალადევად გაიღიმა.

— არც კი გრუხვენია, ბიჭო. რა საჭიროა ასე დაჭიმული საუბარი. გა-
დამთიელები ხომ არ ვართ ერთმანეთისათვის! ვილაპარაკოთ დინგად, მე-
გობრულად. ხომ გაგიგონია, კაცი კაცითაო, ლობე სარითაო. თუ ჩვენ ერთ-
მანეთს ხელს არ შევუწყობთ და არ ვუშველით, რა გამოვა! შენთვის სულ
ერთი არაა, ჩემს საქონელს სადაც წავიღებ და გავყიდი?

— რასაკვირველია, არაა ერთი. — თავისი დაიჩემა გუნთიაშვილმა.

— მითხარი, რატომ? — არ მოეშვა სილაძე.

— კაცო, ნუთუ ეს შენთვის გაუგებარია?! სანამ დამზადების გეგმა არ
შესრულდება, ჩემი კოლმეურნეობიდან ერთ ცალ ციტრუსსაც ვერავინ გა-
იტანს. გასაგებია?

— რას ჰქვია შენი კოლმეურნეობიდან?! — კვლავ გაცეცხლდა ლე-
ვანი. — მაშ, ჩვენ ბრიყვები ვყოფილვით, უგნურები! შენი ყმები და მო-
ნები! მე შენ წესისამებრ მოგმართე, თორემ ჩემს საქონელს სადაც მინდა,
იქ წავიღებ.

— თუ კი ასეა, ჩემგან რა გინდა! წაიღე, სადაც გსურდეს, მიბრძანდი,
სადაც გენებოს. — მშვიდად მიუგო თავმჯდომარემ.

— ეს მე ვიცი, რასაც ვიზამ! მაგრამ შენ, როგორც კოლმეურნეობის
თავმჯდომარე, როგორც ჩვენი არჩეული პიროვნება... დიახ, უფლება არა
გაქვს მოწმობა დამიკაო და...

— ჩემს საქციელში თუ დამახინჯებას შენიშნავენ, ალბათ, არ მომერი-
დებიან, შენიშვნას მომცემენ, ან დამსჭიან, მომხსნიან... ეს კი ყველამ იცო-

დეს, რომ სანამ ამ თანამდებობაზე ვიმყოფები, კანონს ვერ დავარდებული გამორჩეოდა.

— ახირებული კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! — ახლა მეორე მხრი-დან მოსინგა მისადგომი სილაძემ. — ბიჭო, კანონის მიხედვით რომ იარო, ხრამში გადაიჩეხები. შენ გინდა გაასწორო ქვეყანა? კანონი კანონია, მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ, სმა-ჭამა გვინდა, კეთილი ცხოვრება. თუ ყველაფერი ისე გაატარე, როგორც კანონშია ჩაწერილი, შენც მშერი მოვადები და შენი კოლმეურნეობის წევრებიც. გასაგება? ვინ მუშაობს ახლა კანონის მიხედვით? ცოტა შენ უნდა დასთმო, ცოტა შენს უფროსს დაათმობინო და...

— ესე იგი, ვითალლითო?

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! — მაცდურად, ჩაუკრა თვალი სილაძემ. — აბა პატიოსანი შრომით გინდა ააშენო, იმხელა სახლი რომ წამოგიწყია?

თავმჯდომარეს სიბრაზისაგან ფერი ეცვალა.

— ჯერ ერთი, რომ მე სახლი არ წამომიწყია, მაგრამ ასეც რომ იყოს, არამი და სხვისი კუთვნილი ღმერთმა ნუ მომცეს.

— ხა, ხა, ხა, — ბოროტად გადაიხარხარ სილაძემ. — არ მოძებნა შესაფერი სიტყვები! არამი, ალალი, ვარამი... გაღმონაშორი, ჩემო ძმაო, ეს სიტყვები, ძველთა-ძველი, დრომოჭმული, დახავსებული. ალალი და საკუთარი ის არის, რასაც მისწვდები და ხელში ჩაიგდებ! ვის სწამს დღეს შენისთანა მეოცნებე?

— ყველას, ყველა კეთილსა და პატიოსან ადამიანს! — ეწყინა თავმჯდომარეს.

სილაძემ ახლაც ნაძალადევად გადაიხარხარ.

— ნუ მაცინებ, თუ კაცი ხარ! მერე, არის ვინმე მასეთი? იქნება ყაისარა სარათძე გყავს მხედველობაში, სამი წელი რომ ფერმაში მუშაობდა და შიმშილო კვლებოდა, ან ბექირა ბუუაძე, დამზადებაში რომ იყო და სახლი თავზე ჩამოენგრა, ან იქნებ...

— გეყოფა, გეყოფა! — შეაჩერა თავმჯდომარემ. — შენ, ალბათ, საკუთარ თავსაც დაასახელებ მათ შორის?

— რასაკვირველია. არც შენ დაგივიწყებ. — უმიზეზოდ მომხიარულდა სილაძე. — ასეა, ჩემო ძმაო, ვისაც მოხერხება და შნო არა აქვს, იმის საქმე წასულია. ამას შენ გინდა სინდისი დაუძახე და გინდა უსინდისობა... შენ ეს საქმე გამიკეთე და... ისეთი ავეჯი ჩამოგიტანო ლენინგრადიდან, რომ ქვეყანას თვალი რჩებოდეს ზედ. — თვალი დაატანა მის მიერ მოტანილ ქალალდს, რომელიც ასლანს საფერფლის ქვეშ ამოედო. ეს შენიშნა თავმჯდომარემ, ქალალდი გამოიღო და უჯრაში ჩაკეტა.

- ჩემთან დარჩება.
 — ძალიან კარგი! — გულზე მოეშვა ლევანს. — ახლისათვის ნაკად მოვალ. ან შაბათ საღამოს მოგაყითხავ. პატივისცემა ჩემზე იყოს, ბევრს ნუ დამივინანებ, თუ ძმა ხარ.
- მე ხომ გითხარი, ასეთ მოწმობას ვერ მოგცემ-მეთქი! — სერიოზულად ახედა ასლანმა ლევანს.
- როგორ?! — შემოტრიალდა სილაძე.
 — ვერ მოგცემ მასეთ მოწმობას.
 — ასლან!
 — ვერავითარ შემთხვევაში!
 — რაისაბჭოდან რომ დავარექინო?
 — არ შემიძლია!
 — რაიკომიდან მოგიტან ქალალდე... საოლქო კომიტეტშიც მყავს კაცი...
- კაცო, გამიგე ერთი. — დარიგების ტონით მიმართა ასლანმა მოძალადეს. — რაისაბჭო, რაიკომი, ოლქეომი, ცეკა, მინისტრთა საბჭო უკელა ჩემი უფროსია. რად მინდა მათი დარეკვა და მითითება! გააუქმიან დადგენილება, მოგვიხსნან დამზადების გეგმა და მორჩა. ვიმოქმედებთ მათი დადგენილების მიხედვით.
- მაგრამ სანამ ასეთი დადგენილება არ მიუღიათ?
 — მანამდე არსებულ დადგენილებას ვემორჩილები და ასეთ მოწმობას ვერ გავცემ. მორჩა და გათავდა! ვინც უნდა, იმან დამირეკოს და დამავალოს. კანონი ყველასათვის კანონია.
- სილაძემ ერთხანს ბოროტად უცქირა კანონის მოყვარულ თავმჯდომარეს, შეატყო მისი მოდრეკა აღარ შეიძლებოდა და ხელი ჩაიქნია.
- ასე იყოს, შენგან სიკეთე არ გამოვა. ის ქალალდი დამიბრუნედა... — ბრძოლა წაგებულად ჩათვალა სილაძემ.
 — ვადაგასულია, რად გინდა, ჩვენთან დარჩება!
 — მე ჩემს მოტანილ მოწმობას გთხოვ! — ხმას აუწია სილაძემ.
 — მე კი ვერ მოგცემ!
 — ჩემს მოწმობას?
- დიახ. იგი ჩვენი გაცემულია თავის დროზე და ახლა, როგორც ვადაგასული, არქივს უნდა ჩაბარდეს. — ასლანი კარებისაკენ წავიდა, მაგრავ ლევანმა მაგაზე წაავლო ხელი და შემოატრიალო.
- დამიბრუნე ჩემი ქალალდი! — იელვარებული თვალები შეანათლევანმა თავმჯდომარეს.
 — არ დაგიბრუნებ! — ხელი გაითავისუფლა ასლანმა.

— არა, დამიბრუნებ!!!
— არა, არ დაგიბრუნებ!

და ორმა თანატოლი ძალ-ღონის ვაჟკაცმა ერთმანეთს თვალში ჩატედა.

სილაძეს არ სურდა პოზიცია დაეთმო, დამარცხებული წამოსულიყო, სხვასთან და სხვა ვითარებაში იგი საკუთარი მკლავის ძალის მიანდობდა სამართლის გაჩენას, მაგრამ ახლა ასეთი ძალა აღარ გამოადგებოდა. გუნდ-თიაშვილს დიდი უპირატესობა ჰქონდა ამ შემოხვევაში. გარდა იმისა, რომ იგი თანამდებობის პირი იყო, პარტიისა და ხალხის ნდობით აღჭურვილა, მკლავის ძალითაც იქებოდა და ლევანისთანა ვაჟკაცს ვალში არ დარჩებოდა.

— არ დამიბრუნებ?! — კვლავ თავიდან წამოიწყო სილაძემ.

— არა!

— არა?

— არა!

— არა? ძალიან კარგი, მაგასაც ვნახავ, როგორ არ დამიბრუნებ, კარგად დაიხსომე, კარგად! — მიტრიალდა, კართან მივიდა და ისევ შემობრუნდა: — გუნთიაშვილო, განანებ, თუ ვყოფილვარ ვაჟკაცი! მიფრთხილდი! — და მოჩვენებასავით გაუჩინარდა.

თავმჯდომარებ ერთი მკვახედ შეხედა სილაძეს და ისიც გავიდა კონტორიდან.



ქსენია მუკია

იქნებ შეგხვდეს


მხარში გიღგას შვილიშვილი, დიდო პაპავ,
 მოვლენილი თვალისჩინად;
 არ გიწიწინის თეთრ თმა-წვერებს,
 არ გთხოვს ზღაპარს,
 აღარ ცელქობს, როგორც წინათ.
 თითქოს გუშინ, მტირალს შენ ძლივს ამშვიდებლი...
 ოცნებები იღვიძებენ, ვერ ცხრებიან;
 უმღეროდი: „მალე მოვა მამაშენი“, —
 ყმაწვილს წარბებმერცხლებიანს.
 ვერ მოვიდა...
 ომი აბა რის ომია,
 თუ არ დაგწვეს,
 დაგაბნელეს,
 გაგაშავეს!..

გამარჯვება განა მოვა თავისთავად?
 ჩვენივ სუნთქვად,
 ჩვენივ ხორცად დაგვადომია,
 რაც მიეზღო დამნაშავეს...
 განა მოგსპეს, დაეცი და გატიალდი,
 მიწა ცრემლით დაასველე?
 შენს სახლკარში ჯარასავით დატრიალდი,
 სხვებსაც ხელი წაშველე.
 ბევრი ტკბილი მოგონების სადგურია
 შენი ეზო — შენივ ზრუნვით შემოსილი,

ეს ნაძვიც ხომ შენი შვილის დარგულია,
შორიდან რომ შემოგცინის,
ის აქედან გასცემოდა მზეს და ღრუბელს,
აქ ისმენდა დედის ნანას —
„ნანა, შვილოს“,
აქ დატოვა ოცნება და სიჭაბუკე,
იქნებ შეგვდეს და სიბერე გაგიტკბილოს!

* * *

მე მიყვარს ხეთა ჩუმი შრიალი;
ძარღვებს სიცოცხლის ურუოლად დაუვლის
ხან მხიარული, ხან ნაღვლიანი
ჩუმი პატარა ქუჩის ხმაური.
ხან ნაზად ახელს თვალებს ნაწვიმარს,
ხან კი ბრდლიალა მზისებრ გიზგიზებს.
და აღარ ვიცი, ქუჩა პაწია
როდის იძინებს, როდის იღვიძებს.
როგორც სასურველ სტუმარს დიდებულს
ხვდება და სალამს არ უგვიანებს
მგზავრს აღელვებულს,
მგზავრს დამშვიდებულს,
მგზავრებს უიღბლოს და იღბლიანებს.
...ქუჩის ღიმილის შუქი არ აკლდეს,
ღიმილი მგზავრის,
სახლის,
აიგნის...
და ვნატრობ, ბრაზით ალაპარაკდეს
მასზე, გულშავი გზად რომ ჩაიგლის.



ნერი ჩხაიძე

დ ე დ ი ს გ უ ლ ი

ხოშკალით შეფიფქულმა თმაგაწეწილმა ქალმა საავაღმყოფოს კა-
ხები ნიდაცვის კვრით შეაფეთა და აცრემლებული თვალები დაცარიცელე-
ბულ დერეფანს უიმედოდ მოავლო.

კარებში მალე მამაკაციც გამოჩნდა. შეფიფქული გულ-მკერდიდან სქე-
ლი ოხშივარი კვამლივით ასდიოდა, სქელ ხუჭუჭე თმაში ჩაყრილ ხოშკა-
ჯალს ადნობდა და თოვლის მღვრიე წვენი ძარღვიან მკლავებზე გადაწვე-
ნილ, უხეში მაუდის თავშალში გახვეულ ბავშვს წურწურით ეწვეოებოდა.

პატარა გოგონას სიცხისაგან წამოწითლებული ლოყები და გატეტკი-
ლი ბაგე-ტუჩი ძლივსლა მოუჩანდა.

შუალამეს გადაცილებული იყო. მიძინებულ პალატებში მხოლოდ ავა-
ღმყოფების დროგამოშვებითი წამოკვნესება გაისმოდა. კარ-ფანჯრებზე
მომწყდარი ქარიშხალი დაჭრილ ნადირივით ღმუოდა და დერეფანში შე-
ჭრას ლამობდა.

ჭერში ობლად გამოკიდებული მცირეძალიანი ელნათურა სრულ დერე-
ფანს მკრთალად ანათებდა.

— ბიძინა, ჩქარა ექიმი! — ძლივს გახსნა გათაშილი ბაგე ქალმა.

— ექიმი. — ხმამაღლა გაიმეორა კაცმაც და დალურსმული ჩექმები
იატაკზე დააბრახუნა.

„სამორიგეოდან“ თმაშევერცხლილმა ექიმმა გამოიხედა, თვალების
ფშვნეტით და თეთრი ხალათის სწორებით დერეფანში გამოვიდა, შემოსუ-
ლებს სახეზე მღელვარება შეატყო, შუბლი გახსნა და გამოცდილი ექიმი-
სათვის ჩვეული იმედით აღსავსე ღიმილით შეხედა:

— ხომ შშვიდობაა, შვილებო? ამ შუალამისას მარცხი ხომ არ შეგემთხ-
ვთ? — შორიდანვე იყითხა მან.

— მარცხი, არა... მარცხი არა, ექიმო, მარა, ბაღანა გაგვიხდა აჟართ მა ვერაფერო მოვუხერხეთ. გუშინ დილით ჩაღატა გულ-მკერდში გზუჭდა და სულს ლაფავს... აქანა უფრო მეტი საშუალებებია და აქეთ გამოვაფრინეთ. ჩვენს ჯინაზე დაყარა კისრამდე თოვლი. ცაი ფეხად ჩამოდის. მატარებელი ურემივით ძლივს მოგორავდა და დაგვაგვიანდა ჩამოსვლა. გვიშველუთ, ექიმო... გვიყვდება შვილი.. გვიყვდება ნათელიკა... — შეეველრა ქალი ექიმს.

— ხელიდან გვეცლება ჩვენი გვრიტი. ბევრი ვუწამლეთ, მარა აღარ იქნა მისი მობრუნება. ვერ უშველეს სოფლის წამლებმა. გულ-მკერდზე გასივდა და სიცხითაც იწვის... ეეჲ... — ამოიგმინა ბიძინამ და ბავშვით ექიმს მიუჳახლოვდა.

— გასივდა? სიცხე აქვს? სოფლის წამლებმა ვერ უშველეს?.. ოთახ-ში შემოიყვანეთ... — ხმა შეიცვალა ექიმმა და „სამორიგეოში“ შევიდნენ.

„სამორიგეოში“ მალე მედიცინის დაც შემოცქრიალდა და ბავშვს თავშალი შემოაძრო.

— ეს რა გიქნიათ?! ბავშვი ასე საზიზლრად რით დაგიწვავთ. — სახე მოელრუბლა ექიმს.

— ჯლარჯავას დედაბერმა უმკურნალა. დეიჩემა ღვიძლი ტკივა და მოვარჩენო. უწამლა, მარა ვერაფერს გახდა. ნიგვზის კანი დააკრა... სიცხეს გამოიტანს და ღვიძლის სიმსივნეს დააგდებსო.

— რაო... ნიგვზის კანი? ჰმ. ნიგვზის კანი და ღვიძლის ტკივილი... ჭკუა და თვალები რამ წაგართვათ! ბავშვი დაგიღუპავთ... — გაბრაზდა ექიმი და მედიცინის დას ანიშნა, სწრაფად უნდა ვიმოქმედოთო. გოგონა ტახტზე დააწვინა და დამწვარ-დახეთქილ სხეულს გულდასმით დაუწყო გასინჯება.

— რა საზიზლრობა! როგორ დაგიღუპავთ ბავშვი... — თვალებზე ხელი აიფარა მედიცინის დამ.

— ნუთუ თქვენს სოფელში ექიმი აღარ იყო. საავადმყოფოში ვერ მიიყვანეთ, ვიღაც დედაბერს რომ დააღუპინეთ ბავშვი... მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ნაწლავებში უჭირს... ნიგვზის კანისაგან სისხლი მოწამვლია და ესაა მთავარი. მოწამლული სისხლი და ჩირქი მთელ სხეულში წასულა. სასწრაფო ოპერაციით ეგებ ვუშველოთ... — ჩაილაპარაკა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ექიმმა და ბავშვს წამოსიებულ მკერდზე ცერი ოდნავ დააჭირა. გოგონას ტკივილები შეაფრინდა, ამღვრეული თვალებით ექიმს შეაშტერდა და წამოიჩურჩულა: — ალ გამჭლა, ბიძიკო... ალ გამჭლა, ბიძიკო... მალიამა ბებიამ თქვა, ალ უნდა გაჭლაო... დედიკო... მარიკო... ბლ გამჭლას... — აზრი დაკარგა და თავი უკან გადაუვარდა.

— ნუ გაჭრით, ექიმო... ვერ გადაიტანს ჩვენი ნათელიკა. წამლებით... უშველოთ... წამლებით, — ხელში შეაფრინდა ექმს შოლია.

— გაჩერდი, ქალო. ექიმმა უფრო იცის რა სჯობია... როგორც სჯობეს, ისე მოიქეცით, ექიმო. ეგება გადაგვირჩინოთ ბალანა... — წინ გადაუდგა ბიძინა ცოლს...

— აბა, ხელს ნუ გვიშლით. ყოველი წუთი ძვირფასია ჩვენთვის. დერეფანში დაგველოდეთ. ბავშვს უთქვენდაც ვეპატრონებით! — წარბი შეირა მედიცინის დამ და მშობლები დერეფანში გაიყვანა.

საოცერაციოში ხელსაწყოები აწერიალდნენ.

— ექიმი, გული გაუჩერდა! — ცოტა ხნის შემდეგ წამოიძახა მედიცინის დამ და ჟანგბადის ბალიშს წაეტანა. ბავშვს ხელოვნური სუნთქვა დაწყებინეს, მაგრამ გულის მუშაობის აღდგენა აღარ მოხერხდა. ვერც კანქვეშ წამლების შეშხაპუნებამ უშველა. ბავშვი ჯერ მთლიანად გალურჯდა, შევდეგ კი გაშავდა და პირსახეზე მუქი შაბიამნისფერი გადაეკრა.

— ვეღარ ვუშველეთ... გულმა ულალატა. ჩირქმა გვაჯობა, ნიგვზის კანით დამწვარი მაინც საშინელებაა. პირდაპირ შლის სახსრებს. სისხლს მაშინვე უწამლავს და იმან მოკლა ბავშვი... ნაწლავებშიც უჭირდა. ნაწლავებს ეშველებოდა, გულს რომ გაეძლო... — მარჯვენა აუკანკალდა ექიმს, ბავშვის ჯერ კიდევ თბალი სხეული ტახტზე გაასწორა და ფრჩხილებჩაშავებული ხელები მკერდზე დაუკრიფა. ჩაფიქრდა და ხმა შეიცვალა: — მოკვდა, მაგრამ მაინც გავკვეთოთ... საინტერესოა, რა გაუჭირდა ნაწლავებში... მშობლებიც გულს შეაჯერებენ.

კარზე მიდარაჯებულ დედას ყველაფერი ესმოდა.

„ალ გამჭლა, ბიძია... ალ გამჭლა, ბიძია...“ „მოკვდა... მაინც გავკვეთოთ, მოკვდა... მაინც გავკვეთოთ...“ — აჭრიალდნენ საავაღმყოფოს კედლები, ჭერი და იატაკი.

დედის გული ჯერ შეიუმშა, შემდეგ საწვიმრად გამზადებული ღრუბელივით გაიშალა და თოფის წამალივით აფეთქდა. გრძნობადაკარგული ქალი საოცერაციოში შეიჭრა, შვილის ცხედარი აიტაცა და დერეფანში გავრდა.

ქალს ჩექმების ბრახუნით ბიძინაც დაედევნა.

ექიმი და მედიცინის და ერთ ადგილზე გაშეშრნენ. როცა გონს მოვიდნენ და დერეფანში გამოცვიდნენ, ქალი უკვე კიბეზე ჩარბოდა. მწუხარებისაგან გაკერპებული დედის გული ინსტინქტურად მოქმედებდა. მას არც უკან ადევნებული ბიძინას ჩექმების ბრახუნი ესმოდა.

ქალი მკერდზე მიკრულ შვილის ცხედარს თავშალში ფუთნიდა, უაჭროდ კოცნიდა და შუა ქუჩში გარბოდა.

— შოლია, შეჩერდი. ბალანა ცოცხალია? — ეძახდა ბიძინა, მაგრამ მეუღლე სისტემის არ სცემდა.

„ალ გამჭლა, ბიძია... ალ გამჭლა, ბიძია...“ „მოკვდა... მაინც გავკვეთოთ... მოკვდა... მაინც გავკვეთოთ...“ — კვნესოდა, ღმუოდა დასავლეთის ძლიერი ქარი დაცარიელებულ ქუჩებში.

— შოლია, შეჩერდი... შეჩერდი, ქალი! ბალანა მოკვდა? მართლა მოკვდა?.. — მისძახოდა ცოლს ქმარი და მისი ხმა ქარს შორს გაჰქონდა, ქალაქის გარეთ. მალე რკინიგზის სადგურიც გამოჩნდა და ქალი მაშინ შეჩერდა.

— მოკვდა ბალანაი. გაცივდა? — მიიჭრა მასთან ბიძინა და ქალმა აცრემლებული თვალები მიანათა. ბავშვის უსიცოცხლო სახეს დააცქერდა, ძირგამჭრილ ხესავით დაბარბაცდა და ჩანამჭრულ საჯდომზე მოწყვეტით დაეშვა.

* * *

ქარის ღმუილში ძლივს გაისმა რაღიორეპროდუქტორის ზმა. მატარებელი ხუთ წუთში გადიოდა.

— შოლია, მატარებელი გადის. — წამობარბაცდა ბიძინა.

— მატარებელი გადის. მერე... — შეირხა სადგურის კედელზე მიყრდნობილი შეფიფქული ქილი.

— ბალანას პატრონობა უნდა. უნდა გავასვენოთ... ბილეთების ყიდვას ვეღარ მოვასწრებთ. სამგზავრო ვაგონში მიცვალებულს არ შეგვატანინებენ... მომეცი ბალანა... ეგება რამე გავასხრხო ვაგონის გამცილებელთან.

— არა... მე... მე თვითონ ვეპატრონები. ჩემი გოგო ჩემთან იყვეს. შენ არაფერი წამოგცდეს... ნათელიყა ცოცხალია და ჩემს ძუძუს წოვს. გესმის? ჩქარა სახლში! — არეულად წარმოთქვა ქალმა, ბავშვის ცხედარი მკერდზე ისე მიიკრა, თითქოს ძუძუს აწოვებსო, სახეზე თავშალი გადააფარა და ბაქანზე გავარდა.

ვაგონის გამცილებლებს უკვე კარები მიეხურათ. ელმავალმა გრძლად დაიკივლა და მატარებელი დაიძრა. ჰერის ცივი ნაკადი და ნამექერი მთიან დაქანებულ ნიაღვარივით მიაწყდათ სახეში შოლიას და ბიძინას. ქალს თითქოს ფრთები შეესხაო, გრძელი ნახტომი გააკეთა და ბოლო ვაგონზე შეხტომა მოსაწრო. ვაგონის სახელურს მამაკაციც ჩამოეკიდა. წონასწორობა ძლივს შეინარჩუნეს.

* * *

ით, თოვს ნაჯიხურალში. ისე ბარაქიანად ბარდნის, რომ რამდენიმე საათში გადასწორა ღობე-ყორე. ყველას უხარია საახალწლოდ ახალი თოვლის მოსვლა. განსაკუთრებით კი ბავშვებს. ოდა-სახლებიდან სიხარულით გამოფრინდნენ და ფიფქში აკოტრიალებდნენ ერთმაშეთს. ყველაზე მეტად

ენატიქტიკა ნათელიყა დარბის. გრძელ თმებზე გადაფურჩქნული ფენორებული ბაფითა გარდივით შევნის ლოკატითელ ბავშვს.

ახალაგებულ ოდა-სახლში გახურებულ ბუხარს მიჯდომიან შოლია და ბიძინა. შოლია სადილს ამზადებს, ბიძინა კი „ტულკას“ წმენდს იხვებზე სანაღიროდ. იქვე, ბუხართან, ნაცარში ჩეცუტებულა მათი ყურისძირის მეზობელი, ექიმბაშობით და მარჩიელობით ცნობილი მარიამა ჯლარკავა-ჯლარკავას დედაბრის სახელი ნაჯიხურალს გარეთაც იყო ცნობილი. ჰერნ-და კიდეხამოქექილი ბანქო, ძველისძველი რალაც ხელნაწერი, რომელსაც სამკურნალო კარაბადინს ეძახდა, და ზოგს „მარჩიელობით“ პტყუებდა და ზოგს თავისი „კარაბადინით“.

იყო დრო, როცა ხალხი უჭეროდა მას, უფრო სწორად, ეშინოდათ მისი „კარაბადინის“. „კარაბადინს არ გადაგვცეს“, გული უსკლებოდათ ჩონჩხადეცეული დედაბრის დანახვაზე.

მაგრამ შეიცვალა ცხოვრება. გავიდა დრო. ჯლარკავას დედაბერმა საუკუნეს გადააბიჯა. გიდლის ლალვირივით მოიხარა. პირისახე დაუავადდა და დაედმიჭა. ახალგაზრდებმა სასაცილოდაც აიგდეს იგი. „თავისი თავისთვის ვერ უმკურნალებია და უმარჩიელებია, სხვას რა უნდა უშველოს მისმა კარაბადინმაო“.

დედაბერმა იყადრა ყავლგასული „კარაბადინის“ სკივრში ჩაკეტვა: მაგრამ ექიმბაშობას მაინც არ იშლიდა. თუ სადმე შეესწრებოდა მშობიარეს, შეუკითხავად დაეხმარებოდა, ანდა ვინმეს ხანშიშესულს გააბრიყვებდა, რაიმე ბალახის წვენს დაალევინებდა, ორ გროშს აართმევდა და იმით ვაპქონდა თავი.

ენა კვიმატი და მოშხამული ჰქონდა. „ეს ადამიანი მალე მოკვდებაო“, უწინასწარმეტყველებდა ვინმეს და ასეც მოხდებოდა. „კარაბადინი“ თანდათანობით სასაცილო გახდა, ჯლარკავას მკურნალობის ბევრს აღარ სჯერდა, მაგრამ მისი კვიმატი ენის ჭოტის კივილივით ეშინოდათ.

უშვილო და უძირო მარიამა ჯლარკავა თავის წაფერდებულ ქოხში ველარ ჩერდებოდა. ეზო-ეზო დახეტიალობდა. საუზმეს ერთი მეზობლისას ჭამდა, სადილს მეორისას და ასე აღამებდა დღეებს.

იმ დილითაც სისხამზე ჩამობორიალდა იგი ბიძინასას თავისი სრული. ქოჭებამდე დაშვებული გახუნებული კაბით, „ვაიმე, გულოს“ ძახილით თოვლის მოსვლა მიახარა, ვინ მოსთვლის მერამდენედ, ახალი სახლი დაულოცა, ნაცარში ჩაჯდა და შაშხსა და მჭადს მაღიანად შეექცა.

— ვაიმე, გულო, პირდაპირ სარკესავით მომანათა თვალებში ამ თვეენში ახალმა სახლმა. გადასარევად ბრწყინვას თოვლში მაგი დაკარსალებული წაბლის მასალა. ვარგებულები ხართ, ვარგებულები და კაი ბალნებიც გყავთ. აგი გოგო მაინც კალმით დახატულია, გულო, მარგალიტივითაა.

ჯვარი გიწერია ჩემი დასაფსები თვალებიდან და ამნაირ აშინდში არ გაგრ-
ცივდეთ ბალანა, გულო. — წამოისისინა ბუხრის პირში ჯლარკავას დედა-
ბერმა და გუნდაობით გართულ ბავშვს ჩაცვენილი თვალები მიაშტერა.

შოლიას ტანში გააურეოლა, ამ დედაბრის სიტყვა არ ამისრულდესო.
ამის გაფიქრება კი მოასწრო ქალმა, რომ სირბილით დაღლილი ნათელიყა
წყალს დაეწავა და მკერდზე ხელი მიიჭირა:

— დედიკო, გული მეტკინა, მომხედე, დედიკო!.. — წამოიძახა და თო-
ვლში ჩაიყეცა.

მისი სულის ჩადგმა აღარ მოხერხდა.

— ნენავ, გულო, მაგი ბალანა გაცივებულია. გაოფლიანებულზე წყა-
ლი დალია, ღვიძლში სიგრილე გაუჯდა. ჭვალებმა შეაფრინდა. მაგის პირ-
ველი წამალი ნიგვზის კანია. ასე წერია ჩემს „კარაბადინში“. მასეთი ავად-
მყოფი ერთი მომირჩენია, გულო, თუ ორი. ნიგვზის კანი ღვიძლის ტკა-
ვილს მაშინვე დამლის.

სანამ მშობლები გონს მოვიდოდნენ და ბიძინა ექიმის მოსაყვანად
წასვლას მოიფიქრებდა, ჯლარკავას დედაბერმა არც აცივა, არც აცხელა,
თავსი საძირკველდაბრალი ქოხიდან გატვარტლული თიხის კოჭობი გა-
მოიტანა, ნიგვზის კანის სქელი ნაჭერი კარგად გაფხიკა, შიგ ამორეცხა და
ბავშვს ღვიძლთან დააკრა. მაგრამ ნათელა ვერ გამომჯობინდა. მაშინ ბიძი-
ნა სოფლის საექიმო პუნქტში გაიქცა და ფერშალი გერმანე მოიყვანა. გე-
რმანემ ბავშვს დახედა თუ არა, ტალ-კვესივით დაკვესა:

— აგი რა გიქნია, მარიამა... რაფერ დაგიღუპავს ბალანა. რაის ღვიძ-
ლის ტკივილი, რაის ნიგვზის კანიო. ვერ ხედავთ, ბალანა რაფერ გასივებუ-
ლია? ახლავე რაიონის საავადმყოფოში გაქროლეთ. ნაწლავებში უჭირს
რაღაც. ოპერაცია დასჭირდება. მალე, თორემ დაგვიანდება და ბალანა და-
იღუპება. მარიამას „კარაბადინს“ რომ ჭკუა ჰქონდეს, მაგას ნაგიხურალში
ვინ გააჩერებდა!

ჯლარკავას დედაბერი ბრაზისაგან წელში გაიმართა.

— რაიო, გულო?! აგრ გუშინ გვიმრა-გვიმრა დარბოდა ფეხშიშველა
და მაგან უნდა შემისწოროს მე? გერმანავ, შენზე მომშობიარებას კინაღაშ
გადაყვა დედაშენი. მე რომ არ დავხმარებოლი, გულო, დღეს მისი ძელე-
ბიც აღარ იქნებოდა... ჰოდა, შენ გაიძახი, „მარიამას არ დაუგეროთოთ“. ვა-
იმე, გულო! რა ყოფილა მაგი ერთი მტკაველა გერმანიე. რამხელა გული
ჰქონია მაგას... ხედავთ თქვენ?!

გერმანემ აღარ დაუგდო ყური დედაბრის ჩხავილს და ბავშვს ნიგვზის
კანი შემოაგლიდა.

ნიგვზის კანს დაეშვებინა და დაეხეთქა ბავშვის ჩვილი სხეული. და-
ხეთქილი კანიდან ჩირქი და სითხე გადმოსკდა.

დაცდის დრო აღარ იყო.

— არიქა, რაიონის საავადმყოფოში გავაფრინოთ... ფეხით უნდა ჩაიყვანოთ. წელამდე თოვლი დაყარა და მანქანები აღარ მუშაობენ... მალე... მალე... — აფუცხუნდნენ უკვე შემოკრებილი მეზობლები.

მაგრამ რაიონის საავადმყოფოში ბავშვის წაყვანა თვით. მშობლებმა იყისრეს. ჯლარჯვას დედაბერმა სკურდუმის პირამდე მისდია მათ.

— ვაიმე, გულო. რა ლმერთი გავიწყრათ, გამიგონეთ, გულო. ერთი პერანგი მაინც მაქვს თქვენზე მეტი დაგლეჭილი და ერთი ჭკუა მაინც დამიჭერეთ, გულო! მეცოდება თქვენი ბალანა. აქაური ექიმები, გულო, ქათამივით აჩეხავენ მაგ თოთო ბალანს და დაგილუბავენ. ღვიძლის ტკივილს რა გაჭრა უნდა, გულო. ისეც ადვილად მორჩება... ჰოდა, თბილისში გააფრინეთ, იქინე პროფესორები უფრო მიხვდებიან. დეინახავთ მე თუ არ გამამართლებენ. იქინე არ გაჭრიან, გულო. დამიჭერეთ, გულო. აქანა ლუკმალუკმად აკეფავენ მაგ ოქროსავით ბალანს. მატარებელიც ახლა გადის. ხომ არ გინდა, ბებია, გაჭრა? — ჩასძახა მან ბალანს.

— ალ მინდა გაჭრა... ალ მინდა გაჭრა. — წამოიჩურჩულა ბავშვმაც.

დედის გულმა ვეღარ გაუძლო ბავშვის ტკიტიკს, თვალწინ მუცელ-გაფატრული შვილი წამოუდგა და ქმარს რკინიგზის სადგურისავენ ანიშნა.

— ჴო, მასე, გულო... თბილისში გაიგებთ, რომ მე ცაში მართალი ვარ. იგენიც ნიგვზის კანით უწამლებენ მაგას. გერმანამ და მისფერმა ბალნებმა რა იციან წამლობა! — ზურგში მოესმათ ჯლარჯვას დედაბრის უკანასკნელი სიტყვები.

რა იცოდა დედის გულმა, რომ საბედისწერო ნაბიჯს დგამდა, ყველა-ფერი დაგვიანებული იქნებოდა.

* * *

შოლიას სულთქმა შეეკრა და თვალი გაახილა. თვალწინ გაუელვა ჯლარჯვას დედაბრის გიდლის ღალვირივით მოხრილმა, სახედაღმეჭილმა კაბაფურფაშა ლანდმა.

შეშფოთებული ქალი ფეხზე წამოჭრა და შვილის ცხედარი მაგრად ჩაკოცნა.

— რა იყო, შვილო? ბალანამ ხომ არ გამოგალვიძათ? ავად ხიამ არ გაგიძათ? — შეეკითხა მას მეზობელი ნარიდან უკვე გამოლვიძებული ვიღაც მოხუცი ქალი.

— არა... არა... ჩემი გოგო ავად არ გამხდარა... კარგადაა... — არეულად უპასუხა შოლიამ და ისევ ჩაიკეცა.

ბიძინა ცოლს ახლოს ვეღარ ეკარებოდა. ეშინოდა, გული ვეღარ მომითების, ხმამაღლა ავტორდებით და კუპედან კუპეში დახეტიალობდა. თანაც

უკვირდა: ეს რა ტალკვესა ცოლი მყოლია, დღემდე არ მცოდნია, მკვირდება
შეილი მკერძოება მიუკრავს და ცრემლებს ითმენსო.

გვიპორიშვილი

ფანგარაში, შორს, გურიის მთებზე გარიყრაჟმა გაღიმა.

— ნაჯიხურალში... ნაჯიხურალში შევდივართ. — ხმას აუმალლა ვაგო-
ნის გამცილებელმა. — ოქვენ ხომ ნაჯიხურალში ჩადიხართ? აბა, მოემზა-
დეთ... რაფერ დაგწითლებია, ბიჭო, თვალები, ავად ხომ არ ხარ? — სახე-
ში შეატყდა იგი ბიძინას.

ბიძინას ყბის ძარღვები აუკანვალდა. ცხვირის ნესტოები დაებერა და
მხრები შეუთამაშდა: ძლიგსლა მოახერხა ვაგონის გამცილებლისათვის ზუ-
რგის შექცევა.

შოლია წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისაკენ გაემართა.

მატარებელი შეჩერდა. ბიძინა საჩქაროდ ჩამოხტა. შოლის გაუჭირდა
ჩასვლა. ცხედარი ტყვიასავით დამძიმებულიყო. ვაგონის გამცილებელმა
სცადა ტვირთის შემსუბუქება და ხელში გათოშილი ძვლები მოყვა. ვაგო-
ნებს ადევნებულმა ცივი ჰაერის ძლიერმა ნაკადმა ბავშვს თავშალი გადა-
აგლიჭა და გარიყრაჟის მკრთალ შუქზე გოგონას უსიცოცხლო სახე გამო-
რჩეთა.

— მკვდარი ყოფილა?! — ელდა ეცა ვაგონის გამცილებელს და რამ-
დენიმე წუთს გაოცებული გასცემროდა ნაჯიხურალის ჩამოთოვილ შძრა-
გზაზე მიმავალ ორ მგზავრს,

— მკვდარი ყოფილა. — დაიკივლა ელმავალმა.

— მკვდარი ყოფილა. — გაიმეორეს ვაგონებმა და მატარებელი თვალს
შეიფარა.

* * *

ნაჯიხურალში ისევ შეუჩერებლად ბარდნიდა. ტოლების მთებს სქელი
ღრუბელი უძრავად დასწოლოდა. ნატანების ჭალაში ძლიერი ქარი ნამქერს
დააპარპაშებდა.

„რა უბედურებამ მოათრია იმ დილით ჯლარკავას დედაბერი, — ფა-
ქრობდა ქალი და ქმრის გაკვალულ გზას უაზროდ მიყვებოდა. — ვინ იცის,
რამდენი ცოდვა ადევს კისერზე და მაინც არ იქმარა. ჩემი სამი წლის გო-
გოც დამითუოქა ნიგვზის კანით. ყვავივით მომაჩხავლა: „თბილისში გააფ-
რინე, გულო, თვარა აქანა ქათამივით აგიჩხავენო“. მეც შემეშინდა მისი
ჩხავილის და ანკესზე წამოვევე.

ვერმანე მართალი ყოფილა, თავის ღროზე რაიონის საავადმყოფოში
შალანა გადაგვირჩებოდა“.

შოლიას მოცვისფერი, ეშხიანი თვალები ჩაეფერდლა. სქელი ბაგები
გაუთხელდა. თეორი პირისახე გაუყვითლდა. მის გმხდარ მკერდს ბავშვის
ცხელრის სიცივეც გადაედო და დედის გული ველარაფერს გრძნობდა, ერ-

თის გარდა: ოღონდ ეზოში ჩასვლამდე არ წასკდომოდა ტირილი და ფეხზ
არ გამოშლოდა, თოვლში არ ჩაკეცილიყო. ოღონდ ეზოს ჭიშკარში შეეტა
ნა შვილის ცხედარი. ქმრის იმედი აღარ ჰქონდა. ბიძინას უკვე ცოემლები
ღვარად მოსდიოდა.

დედის გული ორმაგ ცეცხლზე იხარშებოდა: შვილი შვილად დაღუპა
და ვარამის შესამსუბუქებლად ხმამაღლა „ვაი, შვილოს“ შეძახებაც კი არ
შეეძლო.

სკურდუმის ღელე თოვლისაგან გადასწორებულ ჩაის პლანტაციებში
ძლიეს მიჩხრიალებდა. ცხენის ზურგაზე გაკაკადებული ოდა-სახლების
ბუხრებიდან ამოჭრილი კვამლი ძლიერ ქვენა ქარს ბახმაროს მოებისაკენ
მიჰქონდა.

დედამ შვილის ცხედარს თავშალს ზევიდან პალტოს კალთაც გადაა-
ფარა, თითქოს შეეშინდა არ შეცივდესო.

სოფლის ცენტრი ხმის გაუღებლად გაიარეს.

გაუარეს ბავშვთა ბაღის შენობას, საღაც ზაფხულობით მეზობლის ბა-
ვშვებთან ერთად თამაშობდა ნათელიყა. აი, სკოლაც, საღაც უნდა ესწავ-
ლა მას. უფრო შორს კი, თვალისაწიერზე, თეთრად ქათქათებდა მათი ახა-
ლი ორსართულიანი ოდა-სახლი. ეზოში ხალხი შეყრილა. ნამქერში ჩაფ-
ლულ წაფერდებულ ქოხთან, შექრის ღობის ძირში გიდლის ღალვირივით
მოხრილი ჯღარკავას დედაბერი მიყუჟულა.

შოლია შეჩერდა.

მეზობლებმაც შეამჩნიეს ისინი და შესახვედრად გამოიქცნენ.

— ბიძინა, ბიძინა-მეთქი! — აუკანკალდა ხმა ქალს.

— შოლია! — დაიბლავლა კაცმაც.

— გამომართვი... მეტი აღარ შემიძლია!

ბიძინამ ხელების კანკალით გამოართვა ცოლს შვილის ცხედარი. გა-
მოართვა და დაბარბაცდა.

— შვილო, ჩემო გვრიტო! ჩემო მარგალიტო შვილო! მე დაგლუპე...
ჩემმა გულმა დაგლუპა. მე დაგუჭერე ჯღარკავას დედაბერს და მის კარაბა-
დინს. დედის გულმა ვერ გაგიმეტა გასაჭრელად, შვილო! თხოვნა მაინც
შეგისრულე. შენი გაციებული სხეული ექიმს არ გავაჭრევინე. მარიმავ,
ჩემი შვილის მაგიერ შენ უნდა მომქვდარიყავი... შენ... შენ... ჩემი გოგოს
დამღუპველო! გერმანემ მართალი თქვა! ნიგვზის კანი წამალი კი არა, სა-
წამლავი ყოფილა. თავის ღროზე, აქანა, რაიონის საავალმყოფოში თურმე
ყველაფერი ეშველებოდა. იტირეთ ჩემი ნათელიყა, ჩემი გულით და მა-
რიამა ჯღარკავას დასწვავი კარაბადინით დათუზჭული ბაღანა! — შესა-
ზარი ხმით შეიცხადა შოლიამ და თოვლში ჩაიკეცა.

შექრის ღობის ძირში მიყუჟულ ჯღარკავას დედაბერს ზიზლით აღსავ-

სე თვალებით მიაჩერდნენ. თითქოს ახლა დაინახეს გიდლის ღაღვირდვის მოხრილი და წყლულებისაგან ლოყებდაჭმული დედაბერი. იგი გატურდლა ბაგეებში რაღაცას ჩურჩულებდა და ლობის ძირ-ძირ თავისი ქოხისაკენ მიფახუნობდა. ხალხის პირდაპირ შეხედვისა ეშინოდა.

ფერშალმა გერმანემ დედაბერს გაასწორ, ქოხის კარები გამოფეთა, ნიგვზის კანით, მრავალძარღვის და ჯაჭლამურას წვენით სავსე ცეცხლზე გარუჯული თიხის კოჭობები გარეთ გამოიტანა და თოვლში გადაყარა. მერე სკივრიდან ყდამომძვრალი ხელნაწერი ამოათორია და ეზოში გაიქნია. ქარაბადინის გახუნებულ ფურცლებს ძლიერი ქარი დაეძგერა, ნაფლეთებად დაგლიჯა და სკურდუმის ხეობაში გაფანტა.

— ახია, გერმანა, მაგაზე. მაგ კარაბადინმა დამინგრია ოჯახი. ჩემი ერთადერთი შვილი ჯაჭლამურას წვენით მომიკლა მარიამამ! — ამოიგმინა მოხუცმა სოლომონმა.

— მაგი... მაგი კარაბადინი აქამდე უნდა მოგვეპო. მაგ დედაბერი აქამდე უნდა გაგვეციმბირებია, სანამლი ამ მარგალიტივით ბალანსაც შეიწირავდა. ათი წლის უკან მარცხენა გვერდზე ბაია დამაკრა და იმის მერე სულის მოთქმა აღარ შემიძლია. წელშიც ვეღარ ვიმართები. — დაიღრიალა დათიკო შეწირულმა.

— მაგას თვითონ უნდა დავაკრათ ნიგვზის კანი და დავალევინოთ ჯაჭლამურას წვენი! ნამდვილად კიბო აქვს. ცხვირ-პირი ამოჭამა! — შხამს ანთხევდნენ ნაჯიხურელები.

— ვაიმე, გულო, რამ გადაგრიათ? ბალანსიზა კაი მინდოდა, გულო. ალბათ, რაღაც იქნე შეეშალათ ხელი... რა გინდათ ჩემგან... — ჩითქიფებდა შეშინებული ჯლარკავას დედაბერი და ლაფაროში დამალვას ცდილობდა. შემდეგ უკანა კარიდან ქოხში შეძვრა და კარები მაგრად ჩაიკეტა.

თითქოს ხალხის წყრომამ გააცოფაო, ქარი ქარბუქად გადაიქცა. ნამჭერი სკურდუმის ხეობაში ძაბრივით დაიგრაგნა, ნატანების ჭალისაკენ გაიქროლა და თან გაიყოლია გამწარებული დედის კივილი.

ბავშვის ცხედარი ახალ სახლში დაასვენეს. შოლიას მოსულიერება კი აღარ იქნა, ვეღარ ჩაუდგეს სული.

ბოლოს, დედამისმა ხუთიოდე თვის ბუთხუზა შვილიშვილი, მეზობლისას რომ ჰყავდა დატოვებული, აკვნიდან ამოგლიჯა და შოლიასთან მიარბენინა, მკერდი გაუხსნა და მწუხარებისაგან გამომშრალი ძუძუ ცირემლებულ ჩვილს პირში ჩაუდო.


ბაჭმა ტირილი შეწყვიტა, ძუძუს ფუნთუშა ხელები მაგრად მოუჭირა და სულის მოუთქმელად დაეწაფა. ბავშვის გახურებული ტუჩების შეხებამ დედის გული გამოაფხიზლა.

შოლია ფეხზე წამოვარდა და ჩვილი მკერდში ჩაიკრა. მეორუნდებული კალთაზე ჩამოკიდებული ხუთი წლის პირმშოც აიტაცა.

— შვილებო, შვილებო, ჩემო ვაჟკაცებო! მოგვიყვდა ნათელიკა. ობილისმაც ველარ უშველა. ჯღარკავას დედაბერმა და მისმა კარაბალინმა მოგვიყლა. ჩემმა გულმა მოკლა: რალად მინდა თავი ცოცხალი. მარა არა... უნდა ვიცოცხლო. ოქვენოვის უნდა ვიცოცხლო, ჩემო შვილებო. ნათელიკას დანაკლისი დღეები თქვენ შეგემატოთ... — და აცრემლებულ მეზობლებს ამღვრეული თვალები მოავლო.

დედის გულს მარად წარუშლელი ჩრდილი გადაბეჭდოდა, მაგრამ მაიც ახალიმოხეთქილ ვულკანივით გუგუნებდა. იგი ბახმაროს ზვიად მთებსაც კი დაანგრევდა, უძირო შავ ზღვასაც კი ამოაშრობდა, ოღონდ ამ ორ ბავშვს არაფერი გაჭირვებოდა.

მწუხარებისაგან გაროკებულმა შოლიამ მკერდზე მიკრულ ბავშვებთან ერთად ახალი სახლის კიბეზე ააბიგა, შუა ბოძზე მიყრდნობილ აქვითინებულ ბიძინას გვერდი აუარა და გაშლილ დარბაზში დასვენებულ ცხედარს ზიუახლოვდა.



ირნე უცვერი

ე ა რ ო !

იყავი მარად შეუბრალები,
 მთაში მრისხანე, ბარში — მკივარი.
 შე გამიწეწე ეს დალალები,
 არ აგრძნობინო ვარდს სატკივარი.
 არ შეურხიო კოკობ-ლილები,
 მისი გათელვა გულს არ გაივლო.
 არ დამიფურცლო ეს ყვავილები,
 ჩემს სავარდეში დღეს რომ ყვავილობს.
 როცა გრიგალად გარდაიქმნები
 და გადაუვლი გუგუნით ტყე-ველს,
 ჩემს სავარდეში ნუ შეიჭრები,
 ეკვეთე სულის ჩემს სასუფეველს.
 მოხვალ, მოგყვება სიცივე, წვიმა,
 ელვის შოლტები შენი მხლებელი...
 ჩემში მრისხანე ქარიშხალს სძინავს, —
 დაცხრები მარად შეუდრეველი.

* * *

ლურჯ ღამებში, ჩამქრალი სიზმრის
 დალარულ აჩრდილს ეტყოდა სული:
 შენს არსებობას ნათელი ცისქრის
 მოსკლასთან ერთად აქვს დასასრული.

შენთვის ეს ზეცა არ არის ვრცელი,
შენ იფერფლები რაც მაღლა იწევ...
...მე უსასრულო მგზავრობა მელის
და შუქთა ეტლით გავიჩერენ სივრცეს.

ს ა ღ ა მ ო

ფოთლების ნელი შრიალით
თვალი მიღულეს ვარდებმა.
ააზე ვარსკვლავი აენოო,
დღე მიიწურა, ღამდება...
გლეხი ყანიდან ბრუნდება, —
შეხედავ, გაგიხარდება.

* * *

მე ჩავიძირე ლამაზ ღამეში,
უღერდნენ უხილავ ჩანგთა ლარები:
არ მასვენებდა სულის თარეში,
მარად მშფოთვარე, დაუწყნარები.
შეფოთლილ ხეებს, მთვარით ნაშუქარს
ანანავებდა ნიავი გრილი.
სურნელს მაფრქვევდა ქორფა ალუჩა, —
ეს გაზაფხულის პირველი წილი.
მქონდა წუთები უნეტარესი
ჯანსაღ ბუნების სიკამამეში,
მაგრამ მშფოთვარე სულის თარეში,
სულს რომ ეძებდა ლამაზ ღამეში...
არ მასვენებდა.



ქრისტე ქაშია

მ ო ლ ო დ ო ნ ი

ისინი დილიდანვე ისხდნენ ჭიშკართან, უწესრიგოდ დაყრილ საბურავებზე და უხმოდ ადევნებდნენ თვალს მანქანებს, რომლებიც განუწყვეტლივ უვლიდნენ გვერდს მათს ჭიშკარს. გზა იმ ადგილას უხვევდა და შემდეგ ზანტად მიიკლაკნებოდა ზევით, გადასასვლელისკენ, რომლის წვერიდან მოჩანდა ძირს გაშლილი ფართო ხეობა სოფლებით. შორს ქალაქის გრძალი სილუეტი ამთავრებდა ხეობას.

მოხუცს ეცვა შავი, უხეში ნაჭრის კაბა და ჰქონდა ჩაცვენილი, დაწითლებული უპეები. მის გვერდით იჯდა პატარა თხელი გოგონა, წვრილი სახით და თაფლისფერი თვალებით. ის არ უყურებდა ბებიას და ნაღვლიანად აყოლებდა თვალს მანქანებს...

ეზოში ეყარა მანქანის დამტვრეული ნაწილები, ხოლო სიღრმეში ერთ-სართულიანი ხის სახლი მოჩანდა, და იყო სიჩუმე.

— რაო, — თქვა მოხუცმა, — როდის ამოვალო? ..

— მალე, ამ დღეებშიო. ასე დაიბარა. — თქვა გოგონამ.

— შეღამებამდე ამოვა აბა. — თქვა მოხუცმა.

— ჰო.

მოსახვევიდან მანქანა გამოვიდა და იღმართს შეუყვა.

გოგონა იჯდა ჩუმად და თავის ფიქრებში გართული უყურებდა გზას, რომელზეც ხალხით დატვირთული მანქანების განუწყვეტილი ნაკადი მიედინებოდა.

— ამ კვირას ქალაქში წახვალთ... მეც კი წამოვიდოდი, მარა... — თქვა მოხუცმა.

— ჰო, ვიცი...

ის თავის ფიქრებში იყო ისევ გართული და წამით დაცარიელებულ

გზას უყურებდა. გზის გადაღმა ზანტად იცოხნიდა ძროხა და კულტიტ
იგერიებდა ბუზებს. რომლებიც ბზუილით ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით. მა-
ხუცი ახლა თავისთვის ფიქრობდა რაღაცას და თავს აქნევდა. მზე ცკვე გა-
დაიწვერა და ეზოში გრძელი ჩრდილები გაიშალა. შორიდან მანქანის ხმა-
ური ახლოვდებოდა. მოხუცმა ინსტინქტით მიაპყრო ყური გზას. გოგონა
კი იჯდა თავისთვის და ისევ ნაღვლიანად გასცემოდა გზას სწორედ იმ ად-
გილას, სადაც მანქანის უნდა გაევლო.

— შემცივდა რაღაც, — თქვა მოხუცმა.

გოგონა წამოდგა და მოხუცი სახლში შეიყვანა.

— ძალიან კი შეაგვიანდა. — უფრო თავისთვის თქვა მოხუცმა.

გოგონას თვალზე ცრემლი მოადგა.

— მამა ოღარ მოვა!

მოხუცს არაფერი ესმოდა. უსინათლო თვალები ერთი წერტილისათ-
ვის მიეცყრო და ის, რასაც თავის წინ ხდავდა, იყო მისი დიდი საიდუმლო,
რომელსაც ინახავდა, როგორც ერთადერთ ხატი...

მზე კიდევ უფრო ჩამოწვა და ეზოს მთლიანი ჩრდილი გადაეფარა.

სახლს გზის პირიდან ეზო ჰყოფდა და ეზო მანქანების ნამტკრევებით
იყო სავსე. სახლიდან გამოვიდა გოგონა, ეზო გადაჭრა, ჭიშკართან დაყრილ
საბურავებზე დაჭდა და გზას დაუცქერდა, რომელზეც დრო და დრო შეგ-
ვიანებული მგზავრებით გატენილი მანქანები მიქროდნენ.

ხმაურით მიქროდნენ...

ლ ე 3 ა 6

ლევანი ალაყაფის დიდ რკინის ჭიშკართან იდგა, ქვიტკირის კედელს
მიყრდნობილი, და მზეს უყურებდა. მზემ თვალები აუწევა. ლევანმა თვა-
ლები დახუჭა, ისე უყურებდა მზეს. ახლა სახეზე იგრძნო სიმწვავე. ესია-
მოვნა. იდგა და იღიმებოდა. მის გვერდით, ჭიშკრის გარეთ, გოგოები თა-
მაშობდნენ; ლევანი მათ არც უყურებდა. ანდა რა ესაქმებოდა ვიღაც გო-
გოებთან... თუმცა ნანა მისი დაა — მაინც ხომ გოგოა... ის იდგა და მზეს
უღიმოდა.

მერე მოვიდა ნოდარი.

ნოდარი ბევრად უფრო დიდი იყო. ლევანი მკერდამდე ძლივს წვდე-
ბოდა. ცალი თვალის მოჭუტვა იცოდა ნოდარმა ლაპარაკის დროს და ყვე-
ლა „კასოლ“ ეძახდა.

ის მოვიდა და გოგოებთან დადგა. ლევანი თვალის კიდეებში ხედავდა
ყველაფერს. ნოდარი ერთხანს იდგა, ჩუმად. მერე სათამაშოები აანგრია

და ვიღაცას თავში წაარტყა. გოგო ატირდა, ჩუმად. ნოდარი ახარხაოდა:
— ნოდარ! ნახე, რა მზეა! — უცებ თქვა ლევანმა.

ნოდარმა მოიხედა. მერე მზეს შეხედა. ცალი თვალი მოჭუტა და ლე-
ვანს თავში ხელი ჩაარტყა.

— იიი, დაგარტყეს!?

— დაარტყეს! — მიუბრუნდა ის გოგოებს.

ლევანი გაბრაზდა. ახლა ისინი პირდაპირ უყურებდნენ ერთმანეთს.
ნოდარი ხარხარებდა. მერე დაიხარა და ნანას ცხენი წაართვა. ნანამ შიშით
შეხედა. ნოდარმა ცხენს კუდი მოაგლიჭა და ფეხებს მისდგა.

— ჩე-ე-მი ცხე-ე-ნი-ნი! — ატირდა ნანა.

ნოდარმა კბილები გამოაჩინა. ზიზღით დაიჭყანა. ატირდა დოდოც.
ლევანი წყლიანი თვალებით უყურებდა ნოდარს. ყელში რაღაც მოაწვა.
ნოდარი იკრიჭებოდა და ამტკრევდა ცხენს.

უცებ ლევანმა გრძელი რკინა დაინახა. მერე ნოდარის თავს შეხედა.

„რა უშნო თავი აქვს“, გაიფიქრა და ეზოში შევიდა. რკინა აიღო, ჭიშ-
კარს მიაყუდა და ისევ გარეთ გამოვიდა. ნოდარი ცხენის თავს ეწვალე-
ბოდა. ნანა ტიროდა, დოდოც. კიდევ ვიღაც ტიროდა.

„მთელი ეზო ტირს...“ გაიფიქრა ლევანმა და ჭიშკარზე აძვრა.

ახლა ნოდარი წელამდე წვდებოდა. „რა უშნო თავი აქვს“, ისევ გაი-
ფიქრა ლევანმა და რკინა აიტანა. ნოდარმა ცხენს თავი მოამტვრია და მე-
ზობელ ეზოში ისროლა.

— ნოდარ! — თქვა ლევანმა. ნოდარმა შეხედა. ლევანმა მთელი ძალით
მოიქნია რკინა.

— დე-და-აა-აა! — ელვისებური რეაქციით უპასუხა ნოდარმა და თავ-
ში ხელი იტაცა. ხელები სისხლში მოესვარა. მერე სისხლი თანდათან სა-
ხეზე ჩამოაწვა და ასფალტზე დაძრაო წვეთა.

— დე-და-აა-ა! — ღრიალებდა ნოდარი და სახლისაკენ გარბოდა.

„ქალაჩუნა!.. რა ატირებს... ქალაჩუნა!“

ლევანი ისევ იდგა ჭიშკარზე. მერე ძირს ჩამოვიდა. ნანა აღარ ტირო-
და. არც დოდო. ლევანი გაფითრებული იდგა და ცრემლი ახრჩობდა. მერე
წელა შევიდა ეზოში და სახლში ავიდა. შეშინებული, აცახცახებული გო-
გოები სამრეცხაოში ჩაიკეტნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს ლევანს.

მოპირდაპირე ეზოდან წივილით გამოვარდა ნოდარის დედა.



ნაზიმ პიპაშვილი

დამა და თოვლი მოდის

არც შორეული ნაპირების ხმების შეცნობა,
 არც ულაზათო ბწყარებისთვის
 გულის წვალება.
 არც ოქრომჭედლის ძიებისთვის წვა და ოცნება,
 არც ნაზი სიტყვის და ქარაგმის აბრწყინვალება.
 მადლობა ღმერთს, რომ
 დღეს მაღლა ვარ ყველა ამაზე,
 მე ამ საღამოს ქუჩის ჰანგით გული მიღელავ!.
 ჩემი სუსტი ხმა სახელს თუმც ვერ გამიღაბაზებს,
 შენია,
 მაგრამ ვერ მოისმენ შენ ამ სიმღერას.
 ღამე არის და თოვლი მოდის.
 მე თითქოს გიმზერ —
 მადრიდის კართან თოფით ებრძვი იმ უცხო ჯარებს,
 რომ ჰკლავს ჩვენს შვილებს,
 იმედებს და ჩვენს ლამაზ მიზნებს
 და ცეცხლს უკიდებს ყველა იმას, რაც ჩვენ გვახარებს.
 თოვლი მოდის და,
 ვინ იცის ამ თოვლიან ღამეს
 ფეხი სველი გაქვს, მეგობარო, და იქნებ გცივა.
 თოვლი მოდის და,
 ახლა შენზე რომ ვფიქრობ რამეს,
 იქნებ დაგჭრეს და ჭრილობებზე თოვლი გაცვივა.
 ანდა ძმობილო,

შავ სიკვდილის მკლავზე იძინებ,
ეჭ, თუ ასეა, ყველაფერი შენთვის დასრულდა:
ქარი და ღამე, დღე და თოვლი — ხვედრია მძიმე,
მენთვის დასრულდა ყველაფერი — გსურდა, არ გსურდა.
თოვლი მოდის და

„ნო პასარან“* თქვი განრისხებით
და კლდეკარივით დაუდექი მშობლიურ მაღრიდს.
ვინ იყავ და სად დაიბადე? რას აკეთებდი?
საიდან მოდი? არ მასვენებს მე შენი დარდი.
იქნებ ხარ მუშა ასტურის — იქიდან მოხველ,
ან ჩრდილოეთში დაგჭრეს, შენ შუბლს სისხლი ასკდება,
ანდა შენ იყავ ის მებრძოლი, ის მეამბოხე,
ვაროშებში** რომ გაისროლე უკანასკნელად.
„იუნქერსებმა“ ბილბაო რომ დასწვეს მუქარით,
იქნებ იყავი ვინმე გრაფის მოჯამაგირე;
„პლასა და სოლზე“*** გქონდა იქნებ, ძმაო დუქანი,
ჰყიდდი გემრიელ ესპანურ ხილს — ნაირნაირებს.
იქნებ არა გაქვს პროფესია და ეს გაქვს დარდად,
ანდა წკრიალა ლარების ხმის მქონე იქნები.
ან რომელიმე ფაქულტეტის სტუდენტი ხარ და
მტრების ტანკებმა გადაგოლეს შენი წიგნებით.
ან არ გწამს ღმერთი,
ან გყიდია პატარა ჭვარი.
ვინ ხარ, რა გქვია, შეგისრულდა რამდენი წელი.
არ შემხვედრიხარ და ვერც გნახავ,
ამის მკლავს ჭავრი,
ან იმათ ჰეგებარ,
რომ მოტეხეს იქ კოლჩაქს წელი.
ან ჰეგებარ იმათ, იმ ღირსეულ შვილებს მამულის
დულმუფინარის**** შავ მიწაში რომ განისვენეს,
ან რობესპიერს,
და მე შორით მკლავს სინანული.
არ იცი, არა, ვინ ვარ, რა ვარ, ვერც გამიხსენებ.
ჩვენს შორის ბევრი ზღვა და მთაა,

* ნო პასარან — ისინი ვერ შემოღვენ! (მაღრიდელების ლოზუნგი).

** გაროშები — ქალაქის გარეუბნები, მისადგომები.

*** პლასა და სოლი მოედანია მაღრიდში.

**** დულმუფინარი ქალაქის სახელია თურქეთში, სადაც 1919-1922 წლებში მოხდა ხალხის დიდი ხოცვა-ულეტა.

არა ვართ ახლოს,
 ფუ! დაილახვროს უმწეობა, ჩემი სისუსტე,
 „ჩაურევლობის კომიტეტი“ ფუ, დაილახვროს,
 რომ ვერ მოვალ და
 ვერ მოგაწვდი ვაჭნების ყუთებს.
 იქნებ გსურს, — მე კი ვერ გთავაზობ კალათით კვერცხებს,
 შენამდე გზები ოცნებებში წინ ნატვრად მიდევს:
 ღამეა, თოვს და
 სიცივეში თვალებს აცეცებ
 და ფეხზე გცივა,
 ახ, ვერ გაწვდი მატყლის თბილ წინდებს.
 რაც უნდა შექმნას კაცის ხელმა კარგი ყოველი,
 ის სილამაზე
 რომ ინათებს მზესავით მარად,
 ის სიდიადე, რომელსაც მე სევდით მოველი. —
 თვალში გიბრწყინავს და გიელავს
 მაღრიდის დარაჯს.
 ამეღამ შენი სიყვარულით გული მაქვს სავსე.
 გუშინც ეს გული შენ გეძახდა,
 სხვა არა მსურდა,
 ხვალაც და ზეგაც მოგიგონებ
 გულთბილად ასე,
 სულით და გულით მეყვარები,
 ხვალაც და მუდამ.

თურქულიდან თარგმნა მამია ვარშანიძემ.

ალექსი გარი

ეს ქებანი, ანუ არაბულად „ყასიდები“, ძველი არაბული პოეზიის წმიუშებია, დაწერილი X საუკუნეში, ესპანეთში, ოღლესაც იქ არაბები გატონნობდნენ.

„ყასიდები“ ქალაქ ტომბუქტუში, ერთი მიყრუებული მისვათის არქივში აღმოაჩინა ფრანგმა ორიენტალისტმა ფრანც ტუსენა* და მახვე გაღმოაღმო ისანი ფრანგულ ენაზე პროზით.

ფრანგული პროზაული თარგმანიდან ეს ლექსები შემდეგ სხვა ენებზეც ითარგმნა. ქართულ ენაზეც იყო გაღმოღებული ცამეტი ლექსი (დაიბჭვდა „ჩანგში“, ტ. II, გვ. 388-390, 1916 წ., აღმანას „ლეილაში“ 1917 წ.).

„ალექსის ბალი“ ფრანგულ ენაზე აზე შეტ გამოცემას ითვლის. ქვიშის უდაბნოების, ოზისების, ვარდის ბალებისა და შავვერემანი ქალების ენებიანი სუნთქვა მოისმის ამ ლექსებიდან.

აქ წარმოდგენილი რამდენიმე „ყასიდი“ თარგმნილია „ალერსის ბალის“ 91-ე ფრანგული გამოცემიდან.

გამარჯვება

ქალმა მითხრა: „რა გააკეთე ისეთი, რომ ჩემი დაუფლების ღირსი იყო?!“

თმა მხრებზე ხამოშლოდა და ხელის კვრით მიშორებდა.

მან კვლავ მითხრა: „განა არ იცი, რომ სიყვარული ბრძოლაა? ოჰ, შენ, კაცთა შორის უმამაცესო, ნუთუ დასჭერდებოდი გამარჯვებას ბრძოლის გადაუხდელად?!“

ზიზლით გაიღიმა, შემდეგ უკუდგა ჩრდილში. მისი თვალები ჩემს თვალებს შეხვდნენ და გული ამითრთოლდა.

* ეს ის ფრანც ტუსენია, რომელმაც 1942 წელს გამოქვეყნა რუსთველის უცნობი ლექსი, მის მიერ არაბულიდან ნათარგმნი (იხ. გაჭ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., № 1).

ქალმა განაგრძო: „რა გააკეთე ისეთი, რომ ღირსი იყო შენს ხელებზე შეინებდე? განა არ იცი, რომ ღრმშა მუდამ მამაც მეომარს უჭირავს? განა შენ, ვანც უფრო მეტი ჭრილობა მიიღე, ვიდრე დპალმა, მოხიბლულმა ავაზამ, სიყვარულის ტანჯვისა შეეგშინდებოდა?“

მე ნაზად დავუჭირ ხელები და წავჩურჩულე: „შეიძლება...“

დაისი იწყებოდა, — ნუთუ დაიმალა შეპყრობილი მზე, რადგან ქალი დამეთანხმა ტიტველი მჩვენებოდა?

თავისი ხელები ჩემს ხელებში ჩატოვა და გაიმეორა:

„რა გააკეთე ისეთი, რომ ჩემი დაუფლების ღირსი იყო?“

რა შემეძლო მიმეგო? ნუთუ მან არ იცოდა, რომ უკვე გამარჯვებული ვარ?

შორს, მინდორში, დაგვიანებული მწყემსი გამარჯვების მხიარულ სიმღერას მღეროდა.

ქალს ვუთხარ: „უსმინე!“

ჟ ა ზ ა ჩ ი

ერთ დღეს ნაზლიმ მოხუცი კაცი ნახა და ჰკითხა:

— რა არის სიყვარული?

მოხუცმა მიუგო:

— შეხედე ამ ყაყაჩოს... გუშინ ის გაიშალა. დღეს მას ყვავილები და-სცვივდა. ხვალ მისი სიმშვენიერისაგან მხოლოდ შხამიანი მარცვლებით სავსე კოლოფი დარჩება. ასეთია სიყვარული.

ამ პასუხით ფრიად შეშფოთებული ქალიშვილი გაშორდა მოხუცს.

მეორე დღეს ერთ დუქანში შეამჩნა, რომ მედუქნე ყაყაჩოს მარცვლებს სრესდა.

— საძაგლო, — შეპყვირა ნაზლიმ, — რომელი უბედურისათვის ამზადება ამ საშამლავს?

მედუქნემ გადაიხარხარა.

— ეს მარცვლები, ქალიშვილო, მართალია, შხამს შეიცავს, მაგრამ მე მათგან ვხდი სურნელოვან და საამო ზეთს... ამას ცოდნა უნდა.

ნ ე ჯ ე ჰ

სამი ქალიშვილისათვის, რომლებიც ჩემს ბალში დასეირნობდნენ, საში ვარდი მოვწყვიტე.

ცბიერი ნეჯეჭ მოვიდა და მითხრა:

— შენ მოსწყვიტე სამი ვარდი... მაჩვენე, რომელს ირჩევ ამ სამშინეულო
რომელსაც არვის დაუთმობ.
ფარულად, რათა სხვებს არ დაენახათ, სარკე გავუწოდე.

ვ ა რ ს პ ვ ლ ა ვ თ მ რ ი ც ხ ე ლ ი

ბრაჟიმი, ვარსკვლავთმრიცხველი, ფრიად სწავლულია. მან იცის რო-
მელი კუდიანი ვარსკვლავი ცის რომელი წერტილისაკენ მიემართება, მაგ-
რამ მან არ იცის სად ხვდება მისი ცოლი ყოველ საღამოს თავის საყვარელს.

ს ტ ა ნ ს ე ბ ი

ბევრჯერ გულგრილად მომისმენია ისართა და ხმალთა ჯახი ჩემს მუ-
ზარადსა და ჯავშანზე, მაგრამ თრთოლა ამიტანს ხოლმე, ოდეს მომესმის
მისი კაბის შსუბუქი შრიალი.

გაცხარებულ ბრძოლაში ბევრჯერ გულგრილად მომისმენია მტრის ნა-
ღარა, მაგრამ არ ძალის უცრემლოდ მოვისმინო მისი სიმღერა.

ბევრჯერ მტკიცე ხელით გამომიწურავს სისხლი ჩემი იარებიდან, მაგ-
რამ კვანკალებ ხოლმე მისი ტუჩების წითელი ყვავილის დანახვაზე.

ბევრჯერ, პირზე ღიმილით, ხმალში გამომიწვევია საზარელი მებრძო-
ლი, მაგრამ ჩემი გულის ძგერა ჩერდება, როდესაც მრუმეში ის ხელებს
შლის ჩემს მოსახვევნად.

ს უ რ ვ ი ლ ზ ე

ნუ მოსწყვეტ იმ ბროწეულს, რომელიც ყველაზე უფრო ლამაზი გგო-
ნია.

ნუ გეოქმის გული სიმღიდრისათვის, რომლის გამოყენებაც არ შეგიძ-
ლია.

ნუ ეალერსები იმ ქალს, რომელსაც არ ძალუში დაგნებდეს.

ისწრაფე მისკენ, რაც მოჩვენებად მიგანია: შეიძლება სინამდვილეში
იპოვო.

ს უ რ ა თ ე ბ ი

მამალი ყივის, ცხენი ბორგავს, ხვადი კატა შინ ბრუნდება — განთი-
ადია.

შროშანი იხრება, ღიმონი გარდება, ხე ჭრიალებს — შუადღეა.

ქვიშა ლურჯდება, ცეცხლიდან ბოლი ადის, საყვარლები ერთმანეთს
ეხვევიან — ღამეა.

ქალი მუხლებზე მეჭდა. ხელი შევაპარე კაბის ქვეშ. გულგრილად ვესა-
უბრებოდი ცხვრის ფარებზე, მკვირცხლ ძალებზე, საძოვრებზე.

მისი წვივები გლუვი და მკვრივი იყო.

ბოლოს, ოთხოს შეამჩნია. რომ ვეალერსებოდი:

— ჩემი კაბის ქვეშ გველია!.. — თქვა მან სიცილით.

— დიახ, — მივუგი, — მეც იმას ვეძებ.

გ ა ნ ა თ გ ა

ჭარბებაშეული, პირგალებული მიშტერებოდი კაბას, რომელიც წყალ-
ში ჩაგვარდნოდა და მდინარეს მიჰქონდა..

ნაპირზე მივდიოდი და გადმოგძახე:

— სალამი, ბაკილის ქალო! ბეღნიერება იყოს შენთანა!

შენ მიპასუხე:

— როგორ ვიქნები ბეღნიერი? შეხედე ჩემს კაბას მდინარეში.

პოეტმა იცის გარემოების გამოყენება, და გითხარ:

— ბაკილის ქალო, შენი ახალგაზრდობა ჭააგავს შენს კაბას, რომე-
ლიც მდინარეს მიაქვს. იგი დლითიდლე გშორდება შენ და არ ძალიდის მისი
ზაჟერა. ნუ უცქერ მას, მიმავალს. მოდი ამ ჩრდილში... მე შეგიცერავ ალე-
რსის კაბას.

გ ო ნ ა

ათგერ მივატოვე ის ქალი. ათგერვე დავუბრუნდი. ახლა მან იცის, რომ
აღარ წავალ.

მაგრამ მაინც არ მიყვარს იგი. ხვალვე რომ მოკვდებოდეს, ბეღნიერი
ვიქნები, განთავისუფლებული.

განგიცდიათ თქვენ ტანგვა-ქვითინი ქალის სხეულზე, რომელიც სხვა
მამაკაცთა ალერსით არის შებილწული? განგიცდიათ თქვენ ის სირცხვი-
ლი, როცა ვერ ძალვით ჩამოშორდეთ ქალს, რაღან მისი სხეული მშვე-
ნიერაა და მომხიბლავი?

დღესაც, როცა იგი გამირბოდა, კერპობდა, თავს იყატუნებდა და მის
თვალებში ჭარმტაცი შუქი ციმციმებდა, მე თავგანწირულივით მივასკდი
მის ტუჩებს, და არასდროს არ ყოფილა კოცნა ამაზე უფრო სამური.

როდესაც ვემუქრები, იგი ზარმაცად იზმორება. როდესაც მის საყვარ-
ლებს ვემუქრები, იგი დამინავ სიმღერას იწყებს. როდესაც ვეუბნები,
თავს მოვიკლავ-მეოქი, გულგრილად მეტყვის:

„ვინ მოუვლის შენს გარდებს?“

ასე ვცხოვრობ, სირცხვილეული, და ველოზები როდის დაჭკრების შემთხვევაში უებრო სხეული, როგორც ჩემი ვარდები.

გ ა ი ლ ა

შეილა უცქეროდა მიმავალ ქარავანს, რომელსაც თან მიჰყავდა სამე-
ულების გამყიდველებიც. მისი თვალები ცრემლებით ივსილიყო.

— ქარავანი კვლავაც მოვა, — ვუთხარი მას. — მაშინ უეჭველად მდი-
დარი იქნები; ყელსაკიდები და სამაჯურები კი ვაჭრებს მუდამ აქვთ...

— არც სამაჯურები და არც ყელსაკიდები არ მაღარდებს, — მომიგო
შეილამ, — მე ვფიქრობ იმ კოცნაზე, რომელიც ქარავანის ერთშა ახალგა-
ზრდამ ჩემს ბაგეზე აღეცდა.

— როდესაც ქარავანი დაბრუნდება, — კვლავ ვუთხარი მას, — სხვა
ახალგაზრდა კაცები დაგიკოცნიან მაგ ტუჩებს და ისევ წავლენ. შუ მოსო-
ხოვ სიყვარულს, რომ იგი უფრო მეტხანს გაგრძელდეს, ვიღრე სიცმოვნე-
ბა. გიყვარდეს და ხვალეზე არ ფიქრობდე, ვინაიდან ხვალე იმაღლება იმ
ფარდის უკან, რომლის მხოლოდ აისის ელვარებას ხედავენ ბედნიერი შე-
ყვარებული.

— მაშ, — თქვა შეილამ, — მართალია? მართალია, რომ ქალმა მიგა-
ტოვა? ასე ლაპარაკობენ... გავიგონე...

გ ა ს ი ს ხ ლ ი ა ნ ე ბ უ ლ ი გ უ ლ ი

შენ დასცინოდი ჩემს ცრემლებს! მაშ, იცოდე: შენ პირველი ქალი
იყავ, ვის წინაშეც მე ვტიროდი.

დასტები შენი გამარჯვებით, და ერთ წამსაც ნუ დაპკარგავ! ამაღამ
შემოვიპარები შენს ოთაში, რომელსაც ჩემი სატევრის ელვარება გაანა-
თებს, და ალიონზე შენს გულს ყორნებს გადავუგდებ.

იგი აფართხალდება ჩემს ხელში: ჩემი შადრევნის წყალი მას განბანს.
იგი წაბილწავს ქვიშას: ქარი წაშლის ქვიშაზე მის ანაბეჭდს.

შავო ყორნებო, მოფრინდით ცისყიდურიდან ქალის გულის დასაფ-
ლეთად! მე მას გაღმოგიგდებთ, როდესაც ჩემს გულს შიგ ჩავკეტავ.

გ ა დ ი

ქალის სიყვარული პალმის ჩრდილია ქვიშაზე.

მამაკაცის სიყვარული ერთადერთი გრიგალია, რომელსაც შეუძლია ამ
პალმის მოტეხა და ამგვარად თავისი ჩრდილის განვენა.

მესაუდავ, მოიგონე შენი აკლდამის ღამეში ის განმარტოებული შალა
სადაც ერთ დღეს მიგიყვანე!

ეს იყო ბალი ისეთი მაღალი გალავნით გარშემორტყმული, რომ მის
ხეთა მწვერვალები გარედან სრულიად არ ჩანდა.

ეს იყო ბალი, ოეთორი გალავნით გარშემორტყმული ისე, როგორც ზურ-
შუხტი, მაგნოლიის თეთრ ყვავილში ჩამაღლული.

მესაუდავ, მოიგონე ის მშვიდი დილა, ოდეს შენ ჩემი სიყვარულისაგან-
მოიხარე, როგორც პალმა გრიგალისაგან.

მაგრამ გრიგალი ქვიშით ფარავს მოტეხილ ტოტს.

ოჰ, ჩემო მაღალო პალმავ, დაე, სასაფლაოს ქვიშა მსუბუქი ყოფილი-
ყოს შენს აკლდამაზე!

ს ი ბ რ ძ ნ ა

ქალის ჩრდილი ქვიშას ეფინებოდა, როგორც ისფერი აბრეშუმი.


ქალს ვთხოვე შეჩერებულიყო, რათა დამეკოცნა ეს აბრეშუმი; მან
მომიგო: „ეს მხოლოდ ჩრდილია ქალის“.

შე ვუთხარი: ეს არის ჩრდილი იმ ქალის, რომელიც მიყვარს და როშ-
ლის ტუჩებს ვერ ძალმის ვაკოცო. მიმიშვი, რათა ვეამბორო მათ ჩრდილს-
ამ ქვიშაზე, რომელიც მათებრ მხურვალეა.

ქალმა გვლავ მომიგო: „ეს ქვიშა უფრო ნაკლებ მხურვალეა, ვიდრე
ჩემი ტუჩები, და შენ მხოლოდ ქვიშას აკოცებ. აკოცე ჩემს ტუჩებს, ჩემო
გიჯნურო!“

უკოცნელად გავშორდი, ვინაიდან მისი ტუჩები უკვე აღარ მიზიდავ-
დნენ.

ფრანგულიდან თარგმნა ჭ. ხუნდაძემ.



კურსები რეკლამი ნოგათად ჩვენს ილიას

როდესაც მოვკვდე, სამარადუამოდ
 წუთისოფლიდან გადავიბარვო,
 ამას გთხოვ მხოლოდ — ეს მცირე შრომა:
 შემინახო და არ დამიტარვო.
 რა მაბადია, რომ გიანდერძო,
 მე სხვა სიმდიდრე ამ წიგნის მეტი;
 ნუ დამიტოვებ მას უთვისტომოდ,
 გებარებოდეს იმისი ბეჭი.
 არ დამებინდოს ლექსი ნათელი,
 სიტყვა უბრალო, წმინდა და თეთრი,
 აბჯარზე დაკრულ ბასრი ხმალივით
 დე წერიალებოდეს რითმები მკვეთრი.
 გზა არ აებნეს ლაბირინთებში,
 სწორად მიჰქროდეს, როგორც ისარი,
 მისთვისაც, ალბათ, ამობრწყინდება
 დანისლულ ცაზე დილის ცისკარი.
 ღუმილის ზღვაში ვერვინ ჩაძირავს
 წრფელ აზრებს, გრძნობებს — მსუბუქფრთიანებს,
 თავისუფლება უყვარდათ მუდამ
 და ეყვარებათ ადამიანებს...
 ეცადე, ახსნა შავი ბეჭედი
 ამ სიმღერათა უცნობ სამყაროს,
 რომ ჩემი ლექსის მიმცხრალი შუქი
 შენმა ხელებშა შორს გადაღვაროს!*

ՅՈՒՍՏՈՒԹՅԱՆ ԵԱՑՑԱՅՑԱՅՑՈՒԹՅԱՆ



Հռոմիս Տարգալու Քարմռոմարո
ԵՇՎՈՅ յողեցու, զոտ մեցօծարո, —
Ծպնցօթ հարհի, լքոյրո լոկյ...
Աէցրու յշորյին գուցեան զեր օբնյը մցըլ,
զերացո ոյս ձա սածացըլո,
ծնելեցելուկըն ցածրա ու կոծը.
Այ, սածայոնո, մշխացրեծ մարլուզդա.
ցայսամժրոնաթ ոցո և աշացը էցազդա,
ամայ յողեցին արմարտա ելու,
եալու մալուզոնաթ ցուլս լինարազդա,
եցոնա, սուսելու կալու ճագարազդա,
հայո մծրմանեցլու յրկյա սաելո...
Արածո ցեցնաթ աղմա մազալո,
ոյս մրտացեծլու մտամոմազալո,
որորեցո ար յետա, յորորոնա մալլա;
յշեմժրոմո, արմուց զոտ ցավութոլո?!

Այս մշորուցեամ մոշոլոն ծոլոն
ձա սամշուամու այ ճամարեա.

* * *

ցածրացելու պայլա ցրտոսան եցացնա
սամո սրբանու, ալուացեծլո,
մացրամ արացոն ար ոենծլուց
մուսո մշցենցնաթ, հոգորու ծուլծուլո.
ծուլծուլո ուսու պայլան մերագ
սուսարլու ու սուսութելու ցասո,
մուտոմաց արու, հոմ մասն ոյն ծյծոլուց
յշեպնաց զեր մլուրու զերու յրտո արսո.

ԵՑԱԼՈՒԾԵԼ ԹԽՈՒՆ ՇԼԱ

ՎԵՄԻԱԺՈՒ պայլացաց եցալուտցու,
գլու զուրոյ թարսուլու ար ծարցենա,
նշեցեցնա թիու ամուսլուս եալուսու,
որցուզ եռմ սուսութելու մուրցենա!
հմթենա ցուլս սոմթյուու պայլենս,
թոնսցու ու մենցու ցուրցենա,
աեալու պայլացու մայլսա մլուց,
եցալունցել միուն դլուս դուրցենա!

* * *

ვუმზერ მთას და ველებს,
ვეღარ ძეგბა ოვალი,
სადღაც მოწყდა ფოთოლს
მოკიანთე ცვარი.

დაიჭერა თოვება,
შეფრთხიალდა ჩიტი,
შეიღება სისხლით
მდელოს მწვანე ჩითი.

ორი გრძნობა

სიყვარულის, თანაგრძნობის
ნიჭი მეტად დიდია.
ამ წრფელ გრძნობებს შეეწირა
მსხვერპლად ვაჟას მინდია.
გულქვაობა მოიცავდა
ჩვენს სულს, როგორც ქასი,

არ გვფარვიდეს ჯავშანივით
სიყვარულის სამოსი.
სიყვარული, თანაგრძნობა
ყველაფერზე დიდია,
მათ წინაშე ოვითონ მხეციც
ქედს იხრის და მშვიდია!

ცოტა რამ მარაჩებელი

„აგელა, ღმერთს როდი გეფიცები
არამედ მამაჩემის ტკივილებს“.
ჰომეროსი.

მას უყვარდა ამ სიტყვების გამეორება. ალბათ, იმიტომ, რომ ცხოვრებამ მრავალი ტკივილი არგუნა. ცამეტი წლისა, როცა ადამიანის სული, ჩვეულებრივ, სიჭაბუკის პირველი ხილვებით იგსება, იგი მან-თაშვების ქარხანაში ნავთის ბიჯონებს ეჭილებოდა.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უძრტვინველად ეწიდებოდა შრომის ჭაპანს, ჭერ ძალიან მძიმეს, შემდეგ რამდენადმე შემსუბუქებულს, მაგრამ მაინც მომქანცველს. შრომა მას მთელი არსებითად უეგნებით მიაჩნდა უდიდეს სიკეთედ; ამაღლებულ და სულის გამწმენდ საქმედ.

ოცდაათან წლებში ჩენი ვიწრო ბინა გენზინის მათგრი სუნით იყო გაუღენილი. მამა პათუმის ნავთობგადასამზავებელ ქარხანაში მუშაობდა ოპრატორად. ერთხელ, ჩვენს დასანახა, ჯიბეში ახალ-მოჭრილი ვერცხლის აბაზიანი ჩიაღი და, ცვლილ რომ დაბრუნდა, უსიტყვოდ

გვიჩვენა. აბაზიანი ნახშირივით გაშავებულიყო. იმ დღიდან ჩვენ უკვე ვიცოდით, თუ ას ნიშანვადა შრომით მომოვო ჰური არსებისა.

იმ ვერცხლის მონეტისაგან განსხვავებით, მამაჩემის: სპეტაკ ადამიანურ სულს არსოდეს მოჭიდებია ჟანგი და ცხოვრების ჭუჭყა. გასაოცარი კი იყო:

ბაშვობა და სიჭაბუკე ფატიურად არ ჰქონია. როგორც თვითონ იტყოდა ხალმე — დანტეს გოგოსეთი ჰქინდა განვლილი, მაგრამ ბოლომდე ბაშვურად ცელწრფელი და უშუალო, ნედლი ბუნებისა დარჩა:

ათეული წლების მანძილზე სიტლანქებადა უხეშობას აწყდებოდა ყოველ ნაბიჭებე, მაგრამ მისი ბაგოდან ერთი უქმება სიტყა არავან გაუგონია, უმშიველ და შეუბლალები სულით იცოცხლა ბოლომდე,

სკოლაში ერთი დღეც არ უსწავლია, მაგრამ მისი გონება გასაოცარი ილლოთი და

ჰალტმით ითვისებდა ყველაფერს, რითაც
უნდა ეცხოვდა ჩვენი ეპოქის ადამიანს.

იგი ერთბაშად ინალირებდა ადამიანის
გვლს მოკრძალებულობითა და კეთილშო-
ბალური სისადავით, სულის მთლიანობითა
და ზა შინაგანად გაწონასწორებული პარ-
შინით, გულწრფელობითა და სისპეტი-
კათ.

ყოველ შემთხვევაში, ორმოცი წელი
შედგა თავზე, მაგრამ არ მახსოვს, ერთ-
ხელ მაინც ეკადრებინოს ტყუილი სიტყვა.

ეს ყველამ კარგად იცოდა და იცის, გა-
ნსაკუთრებით მის მშობლიურ და საყვა-
რელ ბათუმში, სადაც მთელი თავისი სი-
ცოცხლე გაატარა. ომის ყველზე მძიმე-
წელს, მახსოვს, პურის წიგნაები დაეკარ-
გა. როგორი საქმია დაეარგო ექვენი საარ-
სებო წიგნაი, ისიც ყუებით! აღელვებუ-
ლი და დაბრული მამა პირზაბირ ქალა-
ქის ხაჭკოში მისულა, თავმჯდომარესთან: და
რა გვირნიათ, მმისათვის ახანა-განმარ-
ტების დაწერაც არ უკადრებიათ, ისე
აღუდგინს წიგნაები.

მოუსყიდველი პატიოსნების კაცი სულ-
გრძელობაც ამშვენებდა. ოცდათიან
წლებში თახი და მთელი ქონება გაუყი-
დეს. მერედა ვინ? იმან, ვისაც შვილივით
ზრდილა წლების მანძილზე.

მამას საჩივრის აღდრაც არ უკადრე-
ბია. უღირს კაცს თავი არ უნდა გაუყა-
რო. თანაც საკუთარ თავთან აღოქმა
ჰქინდა დადებული: ისე ეცხოვდა, სასა-
მართლოში მისვლა არასოდეს დაკირვე-
ბოდა.

მამაჩემის განაწყენებული კაცი არავის
უნახავს, თუმცა სიმართლის თქმას, როცა
საჭირო იყო, არ დაერიდებოდა. მის ა-
სებაში ბედნიერად იყო შერწყმული რო-
მანტიკული სილბო და ვაჟყაცური ფოლა-
დინობა.

პირველი თვისება, ჩანს, დედისაგან
ჰქინდა მომადლებული. დედამისს — ირა-
ნე პატარიას ქალს პირზაბირ აღმერთებ-
და, სინდისს უზენაეს მსაჯულად მიიჩ-
ნევდა და მიტომ მის აჩრდილსაც ყო-
ველთვის პირათლად ესაუბრებოდა. ჩში-

რად იტყოდა ხოლმე, ჩვენში ცურაულ-
ბი, საზოგადოდ, კეთილი დაწერულებული
ხალხია. შემდეგ კი მისებური ნაღვლია-
ნი ღიმილით დაუმატებდა — სამაგიე-
როდ ჩვენი გვარის ხალხია კერპი და გი-
შტოი. ერთყობოდა, რათაც საფუძველი
ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ბაბუაჩე-
მის იონასა და მისი ძმების ხასიათის სიმ-
ტკიცესა და ბუნტარობაზე ბევრი რამ
გვიმენია.

მამის ხასიათში ეს თვისება ფარუ-
ლად ცოცხლობდა. გაჭირულება და გაცა-
რება ათასში ერთხელ იცოდა, თუ აშერა
უსამართლობს ან უმსგაბოებს შეეგა-
ხებოდა. ასეთ დროს, როგორც მისი ბა-
თუმელი თანამოკალმები იტყოდნენ ხო-
ლმე, ასი ზარბაზანიც რომ მიგაშეირაო,
ნათვამს ეკრ შეაცვლევინებით.

რწმენისა და პრინციპის კაცი რომ იყო,
ძირდანაც ჩანდა — ანგარებისათვის ერთი
სტრიქონიც არ დაუშერია. სხვებსაც ჩაგო-
ნებდა შემოქმედებით სინდისთან პირნა-
თელი ყოფილიყო. როგორც თავისი ქვე-
ყინის ნამდვილი პატრიოტი, განსაკუთრე-
ბით შეურიგებელი იყო კუთხურობის გა-
მოვლინებისაუმი. კუთხურ სიტყვებს ყო-
ველდღიურ სისაუბრო ენაშიც არ ითმენ-
და, მშობლიური ენის სიშინდის ფანტა-
კური დამცველი იყო.

ოჯახურ ურთიერთობაშიც, საერთოდ,
ეზარებოდა ლაქუცი და ზედმეტი, პირ-
ფერის მისული აღერის. შედებს
ათასში ერთხელ თუ მოგვესიყვარულვ-
ბოდა, ისიც, თუ დიდი ხნის უნახაები
ვიყავით. სამაგიეროდ შვილიშვილებთან
და საერთოდ პატარებთან უსაზღვროდ
აღერსანი და გულგასხილი იყო. ერთ
ჟვილიშვილს, ენის ამოდგმის პერიოდში,
პატარა ლექსტრკონიც კი გაუჩინა — „მე-
დეას სიტყვის კონა“.

აც დარიგებებით იცოდა თავის მო-
ბეზრება. ერთ-ერთ შეგონებას მისი სიკვ-
ილის შემდეგ წავაწყდით უბის წიგნა-
ში. ჩემის ღრმა რწმენითო, წერს მამა,
ნამდვილი მშობელი ის არის, ვისაც აქეს
მორალური უფლება თქვას: „შვილო ჩე-

მო, მე შენ გზრდიდი არა წვრილმანქაცობისათვის, არამედ დიდებისათვის, მიტომ ვებობდა: გზაც იქეთვენ გქონიაო!“

მაგა არასოდეს გაჟყრია პოეზიას, ყოველთვის მისი პაკრია სუნთქვაზე. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე საყვარელ ლექსებს იმეორებდა. სიკვდილის წინაღლით ვიხსენა სოფლიდან ბათუმში უკანასკნელი გამოგზავრება და აჩქარებული ხმით რამდენჯერმე გამოეორა:

„სახლიდან გაფიდა და ოდარ
დაბრუნდა!“

აღსასრულის წინ ვაუკაცობის ნამდვილი მაგლოთი მოგვეცა: ვაუშეობებს შეჩერებული მოგვეცია ხელები და შემდეგ თავად იწყო გასწორება სასიკვდილო სარეცელზე.

...მკითხველი, ალბათ, გამიგებს და მომიტევებს ასეთ სითამამეებს. მაგრამ დუმილს მამახმეშე ძალიან დიდხანს ვინახავდი გულშ. მისი სიკვდილის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევ დავარღვიო ეს დუმილი. კარგადა აქვს ნათქვამი სალვატორე ქვაზიმოდოს:

„მსურს გაგვინო, მამაჩემ, ორიოდ
სიტყვა,
აღრე ამისთვის არ მყოფნიდა
გამბეჭაობა...“

გარემოებას ხელი რომ შეეწყო, პარმენ რურუა პოეზიაში მართლაც თვალსაჩინო რამეს გააკეთებდა. ამას მაფიქრებინებს ის, რომ პოტენციურად, თავის არსებაში იგი საყუთარი ადამიანური ღირსებების ტოლი პოეტი იყო. როგორც მას ღია სამარესთან თქვა პედაგოგმა ბ. გოგოტიშვილმა: „პარმენ რურუა წერა-კითხვის უცოდინარადაც რომ დარჩენილიყო და უბინ მეწისქვილედ, თავისი შინაგანი ბუნების გამოსახატავად გაცემილ დოლაბებსა და კედლიდან მონარღვევ ლოდებს „გატეიფრავდა და სულს შთაბერავდა“.“

ვინც მამაჩემს ახლოს იცნობდა, მას ეს სიტყვები, შესაძლოა, გადამეტებულად არ მოეჩენოს.

მამას ისიც არაერთხელ უთქვასს: სწავლის საშუალება რომ მქონდა, ამასთ, ასტრონომი გამოვიდოდი. ეს საუარი მრავალი პირი პირი სულის მოწოდება რომ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ საოცრად ეადვილებოდა ცის რევის კითხვა, ასტრონომიული კალენდრებისა და თავსატეხების გამოყვანა.

მისი მთავარი გატაცება მაინც მშობლიური ხალხის ისტორია და ლიტერატურა იყო. იშვიათად შემხედვრია ადამიანი, რომელსაც შეძლებოდა ასე ტკიფილებამდე განეცადა გარდასულ დროთა ამბები და პოეზია, პერნოლა ისეთი უტყუარ გემოვნება და ალონ ნაწარმოების შეფასებისა, როგორც მას. როგორც კარგ იუვალის, ყალბ იქრის ვერავინ შეატყუებდა. მთელ თავისუფალ დროს კითხვასა და პოეზიას ანდომებდა. ზედმიშევნით ზუსტად გეტყულათ, რომელ ქართველ პოეტს რამდენნაირი მეტრი პერნდა გამოყენებული, რა რითმა პერნდა შემოტანილი.

მისი სათაყვანებელი პოეტები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა და გალაკტიონი. ბარათაშვილი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა, გალაკტიონიც თოქმის.

ახლაც ჩამესმის ყურში მამის იდნავ წამდერებული, გულის სიღრმიდან ამოსული მთრთოლევი ხმა:

„იგრიხება ბაწარი, —
ვიწრო ტოტი ქარისა...“

რატომ მაინც და მაინც ამ სტრიქონებს ვისენები? იმიტომ, რომ პირველად მშემცით შემიყვანა გალაკტიონისა და საზოგადო პოეზიის სამყაროში. თანაც მმ ასაკში ვიყავი, როცა ბავშვს ცირკი ყველაზე დიდებულ სანახობად მიაჩნია. ჭ, ალბით, ტარტისა და მიგნების ამბავიც იყო. ყოველ შემთხვევაში, მოხდა გასაოცარი რამ: იმ წუთებში ჩვენი ვიწრო და ნესტიანი ბინა იუპიტერების ჯაღისნური შუქით გაჩირალდებულ გუმბათად მომეჩვნა და ვახილე სულ სხვა სანახაობა.

„ია გესროლე, მოხუცო,
შენი ვირიმე, მიმაო...“

— მამას კირიმე!.. მამას კირიმე! —
იმეორებდა ჩულჩულით, მისთვის ესოდეს
დამახასიათებელ ად სიტყვებს და ჩემთვის
გასაგები იყო, რომ იგი — თვალ ღინძ-
რი და, მიზრდებულა პოეტი — ამ წუთე-
ბში, მშობელი მამასავით ეალერსებოდა
სცენებშიარებული გენიოსი პოეტის აჩრ-
დოლს.

ଦୋଷ, ଏହି ଗ୍ରାସାଙ୍କ୍ରାନ୍ତ ଶ୍ଵେତରାତ୍ରା ମହା-
ଶ୍ଵେତ ତ୍ରୈଶାହୀ, ଅସୁମ୍ଭା ମଦେତ୍ପାଳି ମହାପଲିଙ୍କ ବେ-
ଶ୍ଵେତାଲ୍ପରୀତା ପ୍ରେତକ୍ରେତାବାଦ ଏହି ମହିନାରେ ମଧ୍ୟାହ୍ନର
ଶ୍ଵେତପ୍ରକଳ୍ପିତ ଦୋଷାଲ୍ପିତରେ ଉଦ୍‌ଦିତ ଉତ୍ତରାତ୍ମକ
ମଦେତ୍ପାଳିରେବେଳୁ ଏହା ନିର୍ମାଣିତ ପ୍ରେତକ୍ରେତାବାଦୀ.

სიცოცხლის უკანასკნელი თოხი-ხუთა
ჭრის პრინციპზე, მშობლიური კერის სიმ-
ყუდროებში, თავისი ბავშვობის სავანეში
მარჩენიშვილის თანამდებობაში და

ଏହି କ୍ରମଗଠନ ଅଜ୍ଞାନୀୟ କାହାର ଦେଖିଲୁ
ନାହିଁ, ଶ୍ରୀରାଧାରୀଙ୍କ ମନ୍ଦିରମାଲେପତ୍ରରୁ ଆଜ୍ଞାନୀୟ
ଏହାଙ୍କ ପରିଚାଳନାକୁ — “ଶ୍ରୀରାଧାରୀ ଶ୍ରଦ୍ଧାରୀ” ହାବୁ, ଏହି
ଲୋକେସବରେ ଶ୍ରୀରାଧାରୀଙ୍କ ସାନ୍ଦର୍ଭରେକୁଣ୍ଠା
ନାହିଁ, କିନ୍ତୁ ଏହାଙ୍କ ଲକ୍ଷମାଣ ମନ୍ଦିରପତ୍ରରୁ
ମାତ୍ରରେ ଦେଖିଲୁଛାନ୍ତି ଏହାଙ୍କ ଶ୍ରଦ୍ଧାରୀଙ୍କ ପରିଚାଳନାକୁ
କିମ୍ବା ଏହାଙ୍କ ଶ୍ରଦ୍ଧାରୀଙ୍କ ପରିଚାଳନାକୁ

ეს მოხდა სამიცდასამი წლის დამლევს,
საქართველოს მშერალთა კავშირის გამგე-
ობის კანკელიულ პლენუმზე ბათუმში.
ერთ-ერთ სხდომაზე ისევგ ნონეშვილი
ამჩენდა პოზიციას „ლიტერატურული აქა-
რის“ გვერდებზე. მან განსაკუთრებულა
გულთბილობით მოიხსენია უურნალის
ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი ლექსიგი
ახლად გარდაცვლილი მამაქემისა, განსა-
კუთრებით „ლრუბელი ლურჯ ცახე“ და
როცა პლენუმის მონაწილეთა თხოვნით
ისევგ ნონეშვილმა ლექსი მთლიანად წა-
ციოთხა, აღყდა ერთსულოვანი და გულ-
ძალი ტაში.

გულდასწყვეტი იყო, რომ ამ ტაშის ას
ისტორია მამაჩემი — პოეზიის ერთი უჩი-
ნარი და პატიონსანი ჯარისკაცი.

ମାନ୍ୟମି — କାଳମେ ରୁହରୁବା କୌଣସିବା
ପ୍ରକ୍ରିଯାବଳୀ ଦା ଶ୍ଵାଲପିତ୍ତଲାବଳୀ, ମିଳ
ବ୍ୟାପକରୁଣ୍ଟା ଦା ଉର୍ତ୍ତଗୁଣ୍ୟବାଚି ଦାଙ୍ଗ୍ୟରୁ-
ଜୁଲା, ମିଳି ଫ୍ରାନ୍ସ, ତାଙ୍କିଲୋ ଫ୍ରାନ୍ସରୁ
ଦେଖିଲୁ କେମନ୍‌ଡର୍ବାରା ଦା ଅଧିକାରୀଙ୍କରିବାଲମ୍ବି କ୍ଷେ-
ତିଲ ଶରୀରକୁ ନିର୍ବାଚନ ଦାଖଲାରୁ କାହାର
ଦାଖଲାକି ପାଇଁ କାହାରକିମ୍ବା କେବଳ
କାହାରକିମ୍ବା କାହାରକିମ୍ବା କାହାରକିମ୍ବା

ଅଳ୍ପାତ, ଯେ ଯୁଗ ମିଳା ଯୁଦ୍ଧରେ କୌଣସି ହେଲା,
ତୁମେ ଏହାରେ, ଅଳ୍ପାତ, ଆମା ତଥୀ ଯୁଦ୍ଧରେ କୌଣସି
ହେଲା ଏହାରେ କୌଣସି ହେଲା ଏହାରେ କୌଣସି ହେଲା,
ଏହାରେ କୌଣସି ହେଲା.

უფროუფრო კალედარი

აღ. ჩავლეიშვილი

ნიკო ღომოსახი

გარდაცვალების ორმოცდაათი ზლისთავის გამო

შემდინარე წლის პრილში სრულდება ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კლასეკოსის ნიკო ლომოურის გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავი. 1915 წლის 30 პრილს (ახალი სტილით) მწერლის ნეშთი პირველად გორծის სამების ეკლესიის ეშვიში დასაფლავებ, ხოლო შემდეგ, 1935 წელს, გორის ბაში გაჯასვენეს. „ამ დღის თავი მოყვარეს სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებმა, — იგონებს მწერლის შეილი პროფ. ი. ლომოური, — თბილისიგანაც ჩამოვიზნენ მწერალთა ორგანიზაციის წარმომაზებელები, გაჯმოსვენებას მიეცა საზეიმო-სამგლოვარო ხასიათი“.¹ დამსწრენი მწუხარებებს გამოთქვამდნენ ხალხის დილიქონის, სახელმოვანი მწერლის ფიზიკურად დაკარგვის გამო, მიგრმ მასევ დროს ისიც აღინიშნებოდა, რომ სამშობლოსათვის თავდაჯებული პირები არასოდეს არ-

ქრებან ხალხს მეხსიერებიდან, და მათი ხსოვნა და ღირსეული დაფასება ჩვენი მუდმივი მოვალეობაა. სწორედ ასეთი სახალხო მწერალია ნიკო ლომოური.

მწერლის შემოქმედების ხალხურობა კლინდება სამი ძირითადი ნიშნით: თემატიკის აქტუალობით, ხალხის ინტერესების გამოხატვით და გამომსახველობითი საშუალებების, მისი მხატვრული ენის სისაუკითა და ღმოყრატაულობით. სამივე ეს ნიშნი მთლიანად არის განხორციელებული. 6. ლომოურის შემოქმედებაში. 6. ლომოურის შემოქმედების თემატიკას წარმადგენს ხალხის აუტანელი ეკონომიტანი გაჭირვება, განათლებლობა და კულტორული მწერლების მშენებელი, სახელმწიფო მოხელეების თავაშვებული თარეში, წინაპართა გმირული თავდაჯება სამშობლოს თავსუფლებისა და უამოუკიდებლობისათვის, უანგარო მეგობრობის სიღიაჟე და სხვ.

6. ლომოურმა თავისი შემოქმედების მთავარ თემად გაიხადა ტანგული მშრომელი ინამინები და მათი სოციალური ხევდრი გადმოსცა ტიპურ გარემოებაში.

¹ პროფ. ი. ლომოურის მოგონება მთლიანად ქვეყნდება უზრნალის ამავე ნომერში.

მისი ხასიათები ტიპიური არიან ტიპიურ
ვითარებაში. გამოხატვის მხატვრულ სი-
მართლეულ მწერალი, მით აღწევს, რომ
გვიჩვენებს ამ მიზეზებს, რომლებიც იწვე-
ვენ მშრომელების ტანგვას. ნ. ლომოური
თანმიმდევრულად აწოდილებს მოვლე-
ნათა მიზეზ-შედევრობრივი ურთიერთობის
პრინციპს. ეს მიზეზები ყოველ მოთხრო-
ბაში კონკრეტულად, მაგრამ ზოგადად აღ-
ბული იყო ორი რიგისაა: ბუნების მოვ-
ლები და სოციალური ფაქტორები. პირ-
ველს განეკუთხება, მაგალითად, გვალვა
და სეტყვა. იმათი შეჩერება, რასაკორ-
ველად, ლოცვა-ურთხევით არ შეიძლე-
ბოდა, ხოლო სხვა რეალური საშუალება
მაშინ არ აჩვებოდა.

სოფელ გორიძირში გლეხები ძალებ
გაჭირვებულად ცხოვრობდნენ და მათი
გაჭირვების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო,
რომ განუწყვეტილი გვალვები იჯგა, მდი-
ნარები შეებოდა და მიწები მოურწყავი
რჩებოდა: „ეს სიმინდ-ვენისები დავითმენ ა-
მონდნა გვალვისაგან“, ამბობს გიგ ს-
სასვეილი მოთხრობაში „ბედი უბედურ-
თა“. უფრო მძიმე სურათია დახატული
მოთხრობაში „ყოველის მხრიზან“. თით-
ქოს მოსავალს კარგი პირი უჩანს, გლეხი
ანდრია გახარებულია, მაგრამ მოულოდ-
ნელად ცაშ დაქუხა და დედამიწას ძლი-
ერი სეტყვა დაატენს, ამაგრ სულ ერთი-
ანდ მოსპო კირნახული. ანდრიას თბი-
მისტური ფიქრები ერთბაშად გაქრა.

ხან სეტყვას, ხან გვალვას, ზოგჯერ ნი-
აღვარს — ბუნების ამ მოვლენებს აუნაზ-
ლაურებელი ზიანი მოაქვთ მშრომელი
გლეხობისათვის, მაგრამ ნ. ლომოური
ფაზელა რეალისტია და ნათლად გვიჩვე-
ნებს, რომ ბუნების მოვლენები არ წარ-
მოდგენ მშრომელთა გაჭირვების მთა-
ვარ მიზეზს. ისინი მხოლოდ მაშინ ხები-
ან გამანადგურებელნი, როცა გამტვავე-
ბულ სოციალურ-კლასობრივ პროცესში
ჩაერთვიან ხოლმე. მაგალითად, გორი-
ძირებებს შეეძლოთ რამდენიმე მოეთო-

კათ, შეესუსტებინათ ბუნების მრავალნე-
ბა, რომ შეძლებოდათ პატარა ჯუცე გვო-
ყენება, მაგრამ სწორედ ეს ამ მოქმედ-
და, ასადან სოფლის მემატულებს ხმა-
მიაღალაშეიღება და ყლაპაშვილებს მი-
უსაკუთრებით ეს არ და მხოლოდ თა-
ვის მამულზე მიუშვიათ. უწყლოდ დაჩჩე-
ნილი გლეხები განიცდიან გვალვის მთელ
სისასტრიეს. ბუნების ეს მონაცემი — წყა-
ლი მხოლოდ ერთი წილების წარმომად-
გენლებს მიუთვისებიათ, ხოლო მშრო-
მელი გლეხები უწყლოდ დატოვე-
ბიათ. ამ ნიაღაგზე მძიმელება კლასობრი-
ვი ბრძოლა და ამ პროცესის მართლად და-
ხატვით ვლინდება ნიკი ლომოურის ფხი-
ზელი, ქრიტიკული რეალიზმი.

ონორე ბალზაკი ამბობს: „ხელოვნების
მისია ის კი არა, რომ სინამდვილე გადა-
ხატოს, არამედ ის, რომ ის გამოხატოს“.
გამოხატვის საიდუმლოება კი ის არის,
რომ მწერალმა შეამნიოს მთავარი, წამყ-
ვანი, პირველარისისხვანი და მათი მხატვ-
რული სინოზირებით გახსნას ცხოვრების
კანინზომიერებანი. მაშინდედა ცხოვრება-
ში წაყვანი და განმასაზღვრელი იყო არა
გეოგრაფიული გარემო, კლიმატური პა-
რობები და მეტეოროლოგიური მოვლენე-
ბი, არამედ ის საწარმოო ურთიერთობა,
რომელიც ხასიათდებოდა მშრომელთა ექ-
ალობატაციით. მშრომელ აღმანებს ჩაგ-
რავდნენ და ყველოდნენ მემატულები, ვა-
ჟრები, მოხელეები და მღვდლები. „ქრის-
ტიანი ლეკერიდან“ ცნობილია, რომ მამა-
სახლისმა ბეჭო გუბაშვილმა უსამართლოდ
დასაჭა ღარიბი გლეხი სეიმონა ლეკა-
შვილი, რომელმაც ვერ შეძლო უკანონოდ
შეწერილი გადასახადის გადახდა. ბორო-
ტი მამასახლისი მხეცურად ეპყრობა უწ-
ყანარ სეიმონას: „თავი ძირს აქვს დაღუ-
სტული მცდ ღორჩა, ბრძანა მამასახლის-
მა, — აუკარით თავიც მიღლა: მე მინდა,
რომ ჩემ წინ გამოვიმული იდგეს სალდა-
თივითა. ეს ბრძანებაც საქართველო აღს-
რულეს ჩაფრებმა: სეიმონას გადაცვეს

თავზე გამოყურობია გებული თოკი, რომელიც მის დასახურს მის ნიკაბს და შემზევე ამ თოკის, ძალზე გამიტული, მეორე წევრი მაღლა ბოძის თავზე გამონასცეს. საშანელი, საზარელი სანახავი იყო ამ დროს სკომონა! ფრემინდილი, უძრავად გაშეშებული ის უფრო ბოძზე ყრულ უსულებულო ცერეზარსა ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს... ამგვარ მდგომარეობაში გაატარა სკომონა თრი-სამი საათი".

ნ. ლომოურის სიმპათიები ლუკაშვილია და მისი ბერდის ადამიანების მხარეზეა. ამგვარი დასკრნა გამომზინარეობს მოთხრობის მთელი იდეური შენარჩუნდა, რაც ჩაქასოვილია სახეთა სისტემაში, მაგრამ ზოგჯერ იგი უშუალოდაც არის გამოთქმული. მაგალითად, ავტორი ერთ ადგილის ამბობს: „თქვენ არ ვიცი, მეოთხეულო, მე კი, როცა სკომონა ლუკაშვილს წარმოვიდგენ ხოლო, მაშინთვე თვლწინ ამეყუფება უზარმაზარი სურათი ასთავიანი ზევისა, რომლის ტლანტ წიხლებ ქვეშ მიწაზე განართხული გდია სკომონა... ღია-ალ. ჩემ ბატონი, გაქელილია სკომონა, სულიო-ხორცით გაქელილი ... და რაც უღმერთო, უსამართლო წუთისოფელს დაუკლია მისთვის, იმას გოგონეთურის სიუხვით უსრულებენ კანონსა და სინაზისზე ხელალებული ადამიანები; მაგრამ რაც ვამბობ, განა ადამიანები ეთქმით იმ ორუება ნადირებს, რომლებიც უამითოდაც ღვარდლით სახეს, წუთისოფლის ველ-მინდოორზე ბოროტებასა სთესენ და ტანკა-მწუხარება მოჰყვათ?" აქ აშეარა ჩანს მწერლის უსაზღვრო სიძულვილი მშრომელი ხალხის კლასობრივი მტრები-სასამი. სწორედ ამაში მდგომარეობს ნ. ლომოურის შემოქმედების სიძულვირე-ივი თავიდან ბოლომდე გაუღენთილია ბოროტების სიძულვილით.

როგორც უკვე ვთქვით, მთავრ ბოროტებაზ ავტორს მიაჩნია არა ბუნების მომღერები, რომელიც გულგრილა ადამიანის უპერურებისადმი, არამედ მემამუ-

ლეები, სახელმწიფო მოხელეები, ჩანს მწერები, მღვდელ-დიაკნები. მწერალი მათ ადამიანის სახელწოდების ღირსადაც კი არ სთვლის და ორეული ცხვველებს უწოდებს, ზოგჯერ ოთხფეხა ცხოველებსაც ადარებს. მოთხრობა „გიგო ლრუბელ-შვილი“ ამის საუკეთესო დოკუმენტია. ამ მოთხრობაში ყველა ბოროტი ძალა სამბოლურად ღორის სახეშია განზოგადებული. სოფლის დასათვალიერებლად წასულ გიგო ლრუბელ-შვილს და მის მხლობელს გზაზე შემოყრებთ ღორი.

„— თქვენ აქ რას აეთებთ? — დაუჭვირა ღორმა ჩემის ახალგაზრდებს.

— ხალხის საშველად მოვედით, — მიუგო გიგომ.

— ხალხის საშველად... ტრუს... ტრუს... მერე ვინ მოვცათ ნება?

— კეთილი საქმის ჩაღენას რა ნება უნდა!

ღორი იმუქრება, რომ ყველაფერს მოსპობს და გაანაგურებს თავისი მტრელია ეშვებით. გიგო დაუნდობლად ამხილაბს ღორის ვერაგობას და აფრთხილებს მას, რომ აწმყოც მთლიანად შენ არ გვეთვნის და მომავალი ხომ მთლიანად ჩვენით: შუქით განათლება ეს ქვეყანა.

„— შუქით? — შეძყვირა ღორმა, — რა შუქი!.. მალე მოვუვლი მე იმათ თავ-სა...

— შენ იმას ვერ დაინახავ, ღორო! — უთხრა გიგომ, — რომ იმათ დანახევა შეგვეძლოს, მაშინ ხომ ღორიც აღარ იქნები!"

აშეარად ჩანს, ნ. ლომოურს სკერა მშრომელი ხალხის გამარჯვება, რომ ბოროტება მოისპობა და სიკეთე იზეიმებს. რა მოსპობს ამ ბოროტებას? როგორც ცნობილია, ხალხოსნებს ამის ერთ-ერთ მთავარ საშუალებაზ მიაჩნდათ სწავლა-განათლება, ცოდნის გავრცელება. ამ ღონისძიების პრატიკულად განხორციელებისათვის დიაწყეს ხალხში ჩასახლება და სხვადასხვა საქმიანობის შესრულება: მა-წავლებლობა, ექიმობა, ვექილობა და სხვ.

განსაკუთრებით დაუნდობელი პრძოლა
გამოუცხადეს ცრუმორშმუნებას, შეც-
ნიერებამ უნდა დაამარტინო იგი. ამის
საუკეთესო მაგალითია ნ. ლომოურის
მოსახრობები „ალი“, „ქაჯანა“, „პაწია შე-
გობრები“ და სხვ.

ნ. ლომოურის სასახელოდ უნდა ითქ-
ვას, რომ იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ
შევიდობიანი საგანმანათლებლო საშუა-
ლებებით. მართალია, ეს ლონისძიებანი
ერთობ დაიდი დოზით შეინიშნება ნ. ლო-
მოურის შემოქმედებაში, მაგრამ იგი, რაც
მთავარია, ამით არ კმაყოფილდება და სა-
ჭიროდ მიაჩინა რადიკალური ლონისძიე-
ბებიც. ავტორს სწამს, „ორფესა ცხოველე-
ბი“ — ხალის მტრები არ მოისპონა მხო-
ლოდ აგიტაცია-პროპაგანდით, განათლების
გავრცელებით. საჭიროა ძალის გამოყე-
ნებაც: ძალას ძალა უნდა დაუპირისპირ-
დეს და სისხლიც უნდა დაიღვაროს. ეს
აზრი ნათლად ჩანს მოთხრობაში „ქრის-
ტიანი ლექცია“. უსამართლობით შევიწ-
როებული მშრომელი გლეხები გადაწყვე-
ტენ საჩივარი შეიტანონ მამასახლისსა და
მის ჩაფიქრებზე. ამ დაზვენილებას არ ეთან-
ხმებოდა გიორგი დალაქი, რომელმაც შე-
კრებილ გლეხებს ასე მიმართა: „რამ და-
გაქალაჩუნათ ასე, თქვე საცოდავებო?
რომ იძახით ვიჩივლოთ, მერე, რას მო-
ელით მაგ საჩივრისავგა?.. შარზან არ იყო.
რომ იჩივლეთ, რა ხეირს შეეყარენით?
ტურა მთიშორეთ და მის სამაგიროზ
მგელს ჩაჩუცვიდით პირშია... ამა ამ
მგელსაც უნდა უჩივლოთ?.. აი ეს დღე
ნეშანი იყვეს და დაინახოთ, რაც მოგა-
ვთ მეტმისა! ამა წმინდა გიორგის მაღლ-
მა, რომ მგლის ნაცვლად ახლა დათუნიას
წამოისვამთ კისერზედა... ბიჭო, თქვე
უცუნურებო, როგორ ვერ შეიტყვეთ, რომ
ტურებსა და მგლებს კბილების ჩიმტვრუ-
ვა უნდათ და არა საჩივრების გა-
ბმა“ წუხელი რომ ეს მარტოხელი ბიჭი
ბოძე მიაბა და კინალამ კიასავით გას-

რისა ფეხითა, სად იყავით თქვენი ჩიტონა
არ მიცვინდით და თავი და პირი ზედ
დააჩინებეთ იმ ავაზაკსა, იმასა“. თუ კი
თავს გაუჩინებენავდნენ, ეს იქნებოდა მტრის
მოსპობა, და აი ცწორებ მიგვარი ბრძო-
ლისავენ მოწოდებად გაისმის ნ. ლო-
მოურის შემოქმედება.

ეს მოქალაქეობრივი შემართება წითე-
ლი ზოლივით გასდევს ნ. ლომოურის
მთელ შემოქმედებას, მაგრამ, რაც მთა-
ვარია, ეს ჯანსალი მებრძოლო სულისკვე-
თება, გამოთქმულია არა მშრალი ლოგო-
კური კატეგორიებით, არამედ ემოციურა
მხატვრული სახეებით, მაღალი მხატვრუ-
ლი ოსტატობით. ნ. ლომოურს ენერება
ხსიათების გამოვეთა, ტიპიური ნიშნე-
ბის კონდენსირება, ღრმა ფსიქოლოგიუ-
რი ანალიზი, ფაბულის დამაინტერესებე-
ლი გაშლა, გამინული პეიზაჟები, მოხ-
დენილი ტროპები და საერთოდ მხატვრუ-
ლი ენა.

ცნობილი მწერალი ია ეკალაძე სწერდა
ნ. ლომოურს „პაწია მეგობრების“ შესა-
ხებ: „კითხვის პროცესში თანათან ჩამო-
თხია, დამამშვიდა, გამამხნევა და ბოლოს
ცრემლიც კი მომწყვიტა პაწია ბაბუცას
ადამიანობამ, გულკეთილობაშ. გასკლნე-
ბულზე მტრავალები და ავაკცები. ქვეყანა
ერთხელაც არის გინხარებს, როდესაც
სოფელს სეუთი ადამიანები ეზრდება, რო-
გორიც არის ბაბუცა და სხვა მისი და-
მანია“!

აღსრულდა მწერლის წინასწარმეტყვე-
ლება! დღეს საბჭოთა ქვეყანა მაღლიერე-
ბის გრძნობით იგონებს ხალხის დიდ მო-
მაგეს, მისი სიკეთისა და ბედნიერებას
უანგარო მომლერალს ნ. ლომოურს და-
ღირსეულად აფასებს მის მარად უკერძ
შემოქმედებას.

1 იბ. პროფ. ს. ხუციშვილის „შენიშვ-
ნები“, რომლებიც თან ახლავს ნ. ლომოუ-
რის თხზულებათა I ტომს, გვ. 503.

აოგონებაი ნიკო ლომიურზე

სირთულე
ვიზუალური

1964 წლის წიაფებულს ქვიშებრში მწერალთა შემოქმედებით ხახლში ყოფნის ღრუს ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიმპათიური გარეგნობის ხნიერმა ვაცმა, რომელიც ღრმად დაფიქტებული ნელა დალი-ოდა დასასვენებელი სახლის უზოში. გავიგვე, რომ იგი არის პროფესორი იულინ ლომიური — შვილი ჩვენი ლიტერატურის სახელმოვანი კლასიკის ნიკო ლომიურისა. იმამიდ მუშაობს საქართველოს სასოფლო სამეცნიერო ინსტიტუტში. 1941 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. არის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვწე.

გავეცანი და ვთხოვე დაწერა მოვნონა თავის მამაზე. გან მიპასუხა:

— ოთხმოც წელი მიღწეული ვარ და წერა მექანიუმი. შე გია მბობით ცოტა რამეს, თქვენ ჩინწერეთ და ბოლოს ხელს მოკიწერთ.

მირთლაც ასე მოხდა. ჩანაწერები, მართალია, მოკლე და ფრაგმენტულია, მაგრამ მათი გამოიჭვეყნება, ცხადია, მაინც ხელს შეუწყიბოს ნ. ლომიურის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

აღ. ჩავლიშვილი.

1

„სავშვობის ხანიდან გამოყოლილ მოვნებებში ხშირად ბევრია ისეთიც, რომ შეილიც თავისტავად თითქოს არაფრით არ არას შთამშეჭდავი, მაგრამ რაღაც შეუცნობი ფარგებური ზემოქმედების გამო წარუშლელ გავლენას ახდენს ადამიანის უსულერ ყოფაზე და, რამდენი ხანიც არ უნდა იცოცხლოს შან, მისი კვალი ჯიუტად რჩება წარმოდგენაში.

მამაჩემი ყოველთვის იყო დატერიტული სხვადასხვა საქმით: პედაგოგური, საზოგადოებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ლიტერატურული მუშაობა, გორის საზოგადოებაში ყოველ ახალ და სასარგებლო წმოწყებაში აქტიური მონაწილეობა და სხვ. ასეთი ყოველდღიური და მრავალმხრივი დატევითების მიუხედავად, იგი ყოველთვის პოულობდა იმის დროს, რომ ყოფილიყო შეილებთან და ეზრუნა მათი აღზრდისათვის. საამონ ხანს, სანამ ძილის დრო დაღვებიდა, ან კვირა-უძმე დღეებში მამა გვესუბრებოდა, გვიამბობდა ზღაპრებს, სათავეგადასავლო ამბებს, ხშირად მის მიერვე შეთხულს, გვაწვიალიდა პატარ-პატარა ლექსებს. ნელ-ნელა გვაჩვევდა

რუსულ ენასაც, თუმცა ეს ხდებოდა ჩვენი, ბავშვების, მხრივ ერთგარი წინააღმდეგობის პირობებში. „რად გვინდა ეს რუსული?! განა „ჯეგილში“ დაბეჭდილზე უკეთესი რა უნდა წავიყითხოთ რუსულად?“

საიდან წარმოიშვა შვილი-რვა წლის ასაკის ბავშვებში ასეთი „ულტრანაციონალისტური“ განწყობილება, ეს ჩემთვის დღესაც გაუგებარის. ყოველ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება მიეწეროს დედ-მამის გავლენას, რომლებიც, პირქით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ რუსული ენა ბავშვებისათვის ახლობელი და მიმზიდველი ყოფილიყო, თუმცა ამავე ღრის შშობლიური ენის სიყარული საფუძვლად ეღო სკოლამდელ აზრდა-სწავლებას.

მაგონება ერთი პატარა, მაგრა საკმაოდ დამახასიათებელი ეპიზოდი. როდესაც მოახლოვდა საშუალო საწარმოებელში ჩემი შესელის დრო, გორიდან თბილიში ჩამომიყვანეს და საცხოვრებლად დამტკიცეს ბიძაზემის (დედის მხრივ) ნ. ხუდალივების ოჯაში. დაღამებისას, როდესაც ძილის დრო მოახლოვდა, გამიმართეს საწილი, რომელიც წინათ ჩემს ბიძაშვილს

ეპთვნოდა, მაგრამ მე, ცხრა წლის ბიჭვა, სასტკი პროტესტი განვაცხადე: „ამ საწოლში არ დაუვები, რაფან აქ წინათ რუსს ეძინა (ჩემი ბიძის ოჯახში რუსული ენა იყო გამეცებული) და, ახლა შევ რომ ჩავწევ, მეც გავრცელები-მეტეი“.

კარგად მასხოვეს, მამაჩემმა ეს რომ გაიგო, დაუყოვნებლივ გორიზან გამომიგზავნა აღ. პუშკინის ლექსების პატარა წიგნაკი დავალებით — ზეპირად მეცწავლა

2

„ჩვენი ოჯახი მუზამ მატერიალურ სივწროეს განიცდიდა. ხუთი სულისაგან შემდგარ ოჯახს მხოლოდ მამის ხელფასი ინახვდა. დედა დიასახლისობდა, მის მთავარ საზრუნავს შეიღების აღზრდა შეაღებენდა. ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. ჩემზე უფროსი იყო და ნინო, ხოლო მასხე უფროსი — თამარი. ორივენი ამჟამად თბილიში ცხოვრობენ. თამარი ცოტა ხნის წინათ, როგორც ღოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პალეოგრაფიის კურსს კითხულობდა, შემდეგ შუშაობდა საქართველოს მუზეუმში. ამჟამად პენსიონერია. ნინომ იურიდიული განათლება მიღოდა და საქართველოს უმაღლეს სასამართლოში მუშაობდა. ერთ დროს ლექსებსაც წერდა და ბეჭდავდა. ამჟამად ისიც პენსიონერია.

როცა წწავლის განგრძობის სურვილი გაგვიჩნდა, მამამ სამიერნი პეტერბურგში გაგვევნა და დედაც თან გავაყოლა. იქ ვწავლობდით: მე პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, თამარი — ქალთა უბალდეს სახწავლებელში ე. წ. ბესტუშევის კურსებზე, ნინო კი იმავე კურსების იურიდიულ ფაკულტეტზე. მამა სისტემატურად გვიგ-

„პეტერბურვის უნივერსიტეტი რომ დაგამთავრე, გორში დავბრუნდი მშობლებთან.“

მამამ მეტანა:

— ახლა რას აპირებ?

რამდენიმე ლექსი და შემესრულებინა ამ ლექსების ქართული (რა თქმა უნდა, მომავალი ზურგი თარგმანი).

რუსულიდან ქართულად თარგმან და პირიქითა ეს იყო ის გზა, რომლითაც მიმაცილობდა ბავშვობიდანეე ესწავლებინა ჩვენთვის ორივე ენა.

ვფერობ, რომ ამის წყალობით მან ცოტად თუ ბევრად მაინც მიაღწია თვის მიზანს“.

ზავნიშა საცხოვრებელ ფულს, თითქმის მთელი თვალ ხელფასს. თავისთვის იტოვებდა მხოლოდ იმ თანხას, რასაც დამატებით იღებდა გორის სემინარიის პანსიონატში მორიგეობის საზღაურად. ამას გარდა, წელიწადში რამდენჯერმე მოვცდიოდა მიანათები, უმთავრესად დღესასწაულებთან დაკავშირებით (საახალწლოდ, სააღვეომოდ და სხვ.).

მამა მუდამ იმაზე იცნებობდა, რომ შეიღებისათვის გზა გაეკვლია, პენსიონ და ნიშვნოდა და სამსახურიდან გამოსულიყო, რათა საშუალება პქონოდა მთელი შესაძლებლობით მისცემოდა თავის საყვარელ სამშერლო შემოქმედებით მუშაობას საშერი კი ბევრი პქონდა, მასალები უნდა გააჩნდა, თვეატიკაც მდიდარი. ჩეეჭლებაზ პქონდა ერთხელ დაწერილის მრავალჯერ გადაკითხვა და გზადაგზა შევსება და შესწორება. როდესაც საბოლოოდ დასრულებულად ჩასთვლიდა, ზოგჯერ ჩენც წაგვიკითხავდა ხოლმე. სამშეხვაროდ, სიკვილმა მამას სწორედ იმ დროს მოუსწრო, როცა შვილები დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დაგვაყენა და შესაძლებელი გახდა მისი სანუქვარი იცნება ასრულებოდა“.

— ან სამსახურს დავიწყებ საღმე ან რომელიმე სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლობას შევუდგები.

ჩემს პასუხზე მამამ შუბლი შეიჭრება,

ერთხანს ღუმდა, შემდეგ წყნარად და, და-
ბეჭითებით მითხრა:

— შეილო, ასეთი სამსახური, რასაკვი-
რელია, კარგია, მაგრამ ჩემი აზრით, უკე-
თესი იქნება უფრო პრეტიცელ საქმიანო-
ბას მიჰყო ხელი. ახლა ხალხს სპეციალი-
სტები სჭირდება, ისეთები, რომლებიც
მშენობელ ადამიანს ხელს შეუწყობს მე-
ურნების მეცნიერულ ნიაღაზე დაეცნე-
ბაში, რათა შრომა უფრო ინტენსური
და ნაყოფიერ გახდეს. ამგვარი დარგი
გარონობიული განათლებაა. სწორედ ასე-
თი ცოდნა მიიღე, განაგრძე სწავლა. შენ
ახლა თავითან დაწყება აღა მოვიხდება,
მეორე ან მესამე კურსზე ჩაგრიცავენ
მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სა-
სოფლო-სამეცნიერო აკადემიაში.

— ეს რჩევა ისე შთამაგრნებული და მშობ-
ლიური იყო, რომ მართლაც ასე მოვიქე-
ცი და იმავე წელს შევეღი ტიმირიაზევას

აკადემიაში, ჩამრიცხეს შესამე კურსზე და
სამი წლის განმავლობაში ვსწავლიობდა
დავამთავრე 1913 წელს და ვგანტო-
რონობი მემონდვრეობის სპეციალობით.

დაგბრუნდი და იმავე წელს სამსახური
დავწევ უფროს აგრონომად. ოვეში მექ-
ლეონა 230 მანეთი: პირველი ხელფასით
სხვადასხვა საინგრევო ნივთი შევიძინე, შშო-
ბლებსა და დებს საჩუქრები მივართვი.
ჩემთვის ნაყიდ ნივთებს შორის იყო ერ-
თი მანეთანახევრიანი ჰალტრუკი. მამავ ნი-
ვთებს დახედა და, პალსტრუკის ფასი რომ
გავგო, უცებ მაგიდაზე ხელი მაგრად და-
ჰკარა. შევართო, უცელავ მას შევხედეთ.

მუდამ ღინჯა და აულელვებელმა მამამ
მრისხანებ მითხრა: ორმოცა წელია პალ-
სტრუკ ვატარებ და ორსოდეს ხუთ შაურ-
ზე მეტი არ მიმიცია. შენ რა, რომ ამდე-
ნი გაგმეტებია. ასე ფულის ფლანგვა არ
შეიძლება“.

„მამას გულწრფელად უყვარდა, დიდად
აფასებდა და პატივს სცემდა აკაკი წერე-
თელს. როგორც ცნობილია, აკაკის რჩე-
ვით, მამამ თავი დაანება ლექსების წე-
რს და ხელი მიჰყო პრიზაულ ნაწარმოე-
ბთა თხზებას.

ერთხელ გორში დიდი ლიტერატურული
სალამი გაიმართა, რომელშიც აკაკი
წერეთელიც მონაწილეობდა. საღმოს
დამთვარების შემდეგ აკაკიმ გორ-
ში დარჩენა მოისურვა, მაგრამ სას-
ტუმროში დამის გათევა არ ინდომა —
სასტუმრო სათანადოდ მოწყობილი არ
იყო. „ისეთი ხერინვა ვიცი ძილის დას,
რწყილები ვერ მომექარებიან და მშივრები
დარჩებიან, მათ ცოდვაში ვერ ჩავდგე-
ბით“, უხუმრია აკაკის.

იქვე მდგომ მააჩემს შეუთავაზებია:

— ჩემთან წამობრძანდით, ბატონო აკა-
კი. მართალია, კარგად მოწყობილი ბინა
არც მე მაქვს, მაგრამ შესაფერ ქვეშავებს
გაგიშლი.

გაშინ გორში სამოთახიანი ბინა გვქონ-

და დაქირავებული. აქედან მამა მხოლოდ
ერთ თახსს იყენებდა, რაღაც მარტო
ცხოვრობდა (ჩვენ პეტერბურგში ვიმყო-
ფებოდით).

მამაჩემმა მიამბო: აკაკი იმ ღამეს ჩემს
ოთახში მოვასვენე. მცორეოდენი ვახშის
შემდეგ მცე იქვე დავწევე. შუალმე იქნე-
ბოდა, რაღაცა გამომაღვინა. მესმის, რომ
აკაკი ძალზე ხერინავს. ვეღარ დავიძინე,
აკაკით ჩემი ვეშავები და მეორე თა-
ხში წასვლა დავაპირე. ნელა და უხმაუ-
როდ მივდიოდი. თახაში ბეჭლოდა. ნამდი-
ნარევმა უცა აკაკის საწილს წამოვკრი
ფეხი და ზემოდან-დავეცი მძინარე აკაკის
ჩემი ბარგი-ბარხანით. ძალზე შევცი, ვა-
ფიქრე, აკაკი გამოიღვიძეს, შემდეგ შე-
იძლება ვეღარ დაიძინოს, ძილი გაურცელს
და ამის მიზეზი მე ვიქნები-მეთქი. ვავი-
ტრუნე. ვგრძნობ, რომ აკაკი არ ინტერესი.
ნელა წამოვდექი, ჩუმად მეორე თახაში
გავედი. იმ ღამეს იქ მეძინა. ღილას აკაკის
ყველაფერი ვუამბე... აკაკის ვაუცინია და
უთვევამს: „სრულებით არაუცრი მიგრძნია.

„სოფელ არბოში მამამ მიწის პატარა
ნაკვეთი შეიძინა. ხანგრძლივი ყოყმანის,
სამზადისისა და დაზოგვა-მომჭირნეობის
შემდეგ გადაწყვდა ამ ნაკვეთში სახლი ჩა-
ვავდგა. შეუ ზაფხული დგა. ხალხი ძა-
რითადად მინდვრად მუშაობდა და ჩვენს
პატარა სოფელში საჭირო მუშახელის შო-
ვნა არც თუ ისე ადვილი იყო. გადაწყვე-
რეთ, მუშები მეზობელი სოფლიდან —
ქორდიდან მოგვეყანა. ეს სოფელი არბოს
ზედ აკრავს და მასთან დაკავშირებულია
ნათესაობით, სახლიერობით, ნათელ-მი-
რობით. ბლომად არიან ჩვენი გვარის
მცხოვრებნიც.

მუშახელის დასაქირავებლად იქ ჩვენ-
გან კაცი მივიდა. სოფლის თავაცებმა, გა-
დეს რა მისი მისელის მიზანი, ერთმანეთ-
ზი მცირე მოლაპარაკების შემდეგ გამო-
უცხადეს: „ოქვენ სახლში წარით, ხეალ
დილით ხალხი კარჩე მოგადგებათ“. მა-
რთლაც, მეორე დღეს, ჯერ კარგად არც
იყო გათენებული, რომ არბოში ქორდიდან
გამოცხადა ორმოცდათ კაცამდე თავისი
ბარ-ნიჩებით და წერაქევებით. როდესაც
გამოირკვა, რომ ურთიერთ მოლაპარაკე-
ბის შედეგად მთელმა ამ ხალხმა უნდა
იმუშაოს უსასყიდლოდ, მამაჩემის პრო-
ცესტის პასუხად ერთმა ხანში შესულმა
ქორდელმა მიმართა მოსულებას: „ხალხო,
როდელ თქვენგანს გასჭირებდი და მიუ-
მართოს ნიკოსათვის?“ — „ყველას!“ — იგ-
რიალი ხალხმა. „ამ დახმარებისათვის ვის-
თვის გამოურთმევია რამე?“ — „არავის-
თვის, არაუერი“, — კვლავ ერთხმად უპა-
სუხა ხალხმა.

— ჩვენო ნიკო! — მიმართა ახლა ამ
„ორატორმა“ მამაჩემის. — შენ აქ დაიბადე,
აქ გაიზარდე, აქ შეგერია თმაში ჭაორა,
ისწავლე, მაგრამ ცოლნა არ გამოგიყენე-

ყოფილა. „კოდაური საფუძვლით უკავი
ლმა და ხეავრიელი იცოდა უსაფლო გილმა“, დასძინა მამაჩემია“.

5

ბია გამამდიდრებლად. შენ ცოლნას ისეე
ჩვენ, ლარიბ გლეხობას აწედიდი; როთ
შეგვიძლია ეს შენი ამაგი გადაგიხადოთ
მხოლოდ იმით, რომ აი აქ, შენი სახლი-
სოვის შეჩერებულ ადგილზე ჩვენა მარგვე-
ნით გაეთხაროთ საძირკველი და ჩვენი
ოფლით დავალბოთ ეს მიწა. ნუ შეგვიშ-
ლი ხელს, რომ არბოელ ნიკო ლომოური
კორდელმა სახლიყაცებმა ხელი შეუწყონ
თავის სოფელში გაიჩინოს მკვიდრი ბი-
ნაძრობა.

სამი-ოთხი დღის განმავლობაში ამ საქ-
მეზე მოსულ ქორდელებს ფეხი არ მოუ-
ცვიათ და თავის მინდვრებს დაუბრუნდ-
ნენ მხოლოდ მშინ, როგორც უსამართოს
ლამთავრების შემდეგ არბოული ღვინით
სავსე გამებით დალოცეს ნიკო ლომოუ-
რის სახლის საძირკველი. შემდეგ დაიწ-
ურ სახლის შენება და ძლიერ ერთი ოთა-
ხი დაუმთავრეთ (სულ ორთახინი ბინა
უნდა ყოფილიყო). სახლი დაუმთავრებე-
ლი დარჩია. დღესაც ისე არის ობლად ის
ერთი ოთახი. შეგ არავინ ცხოვრობს.

შეიძლებოდა კი იმ სახლში „ნიკო ლო-
მოურის სახლ-მუზეუმი“ გახსნილიყო...

ის პატარა ქოხი დგას როვორც მშრო-
მელ გლეხობასთან მამაჩემის პუმანრი
დამყიდებულების სიმბოლო.

იქ მია შეიძირად ჩაბითიდა, გლეხებში
ტრიალებდა. ისინი ძლიერ ეცოდებოდა. გლეხთა შეიძლებისათვის სოფელში ახალ-
გახსნილ სკოლას ყურადღებას არ აკლებ-
და. ზოგჯერ სკოლას ამარავებდა სასწავ-
ლო ინვენტარით, სახლმმდვანელებით,
თველსაჩინოების მასალებით, რვეულე-
ბით, კალმითა და კალმისტრებით. გული
წყდებოდა, რომ მატერიალური ხელმო-
ლეობის გამო არ შეეძლო უფრო მეტი
დახმარება გაეწია“.

„მამაჩემი გარდაცვალა 1915 წლის აპრილში დაიცვალა უკანონი გორში, სამებას ეკლესიის ეზოში. შემდეგ გორში ცნობილი მიწისძრის დროს ეკლესიის შენობა ქალაქთან ერთად მოლიანად დანგრა და მიმის საფლავი ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა. რამდენიმე ხნის შემდეგ რევოლუცია მოხდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1935 წელს მივიღე გორში აღმასკომის თავმჯდომარის მომართვა, მამათქენის ცხენარი გორში ბაღში უნდა გადამდევნოთ, გთხოვთ მობრძანდეთ და საფლავის მოქებნაში დაგვეხმაროთ (ამ დროს ჩენი ოჯახი თბილისში იმყოფებოდა). წავედი. ეკლესიის ეზოში რომ შევედით, ვნახეთ, რომ იქ კვალიც არ ჩანდა ეკლესიისა და სასაფლაოსიც. სულ ერთონად მოეწმინდათ რომელიდაც სამეურნეო ორგანიზაციის საჭიროებისათვის: ქალაქის წარმომაზგანელი და ოჯახის წევრებიც იქ ვიყავთ. მოვიზნენ ადგილობრივი მცხოვრებნიც. ზოგიერთი ერთ ადგილს ასახელებდა, ზოგიერთი კი უკვე სხვას! მე დროს მოვიდა ერთი ხანშიშესული გორელი მოქალაქე და ერთ ადგილზე მიგვითითა: ნაკი ლომოური აი აქ ასაფლავია. ეს კარგად

მატელიც, რადგან ჩემი სახლის პირზე მის ადგილი მისანიშნებელია. მითო მოუა აზგილას დაწყეს მიწის მოთხრა და მართლაც მამის ცხენარი იქ აღმოჩნდა. ეს ვენა ივი თუთის კუბოში. თავის მხარეს კუბოს ნახურავი გამოკრილი იყო, რომელშიც მინა იყო ჩასმული. დავინახე მამის სახე. უცელელად შენისულიყო, გაგონებოლათ ახალდამაფლავებულია. (გასული იყო ოცი წელი). შემთხვევით, გაკრილი საფლავის ზევიდან ქვა ჩამოვარდა, მინას დაეცა და გატეხა. რაჯე კუბოში ჰაერი შექტრა, რა წამსვე სახემ ქერი იცვალა: უმაღლ გაშვედა.

ლაინიშნა გადმოსცევნების დღე. ამ დღეს გორში თავი შოიყარეს სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებმა, თბილისიშნაც, ჩამოვიზნენ მშერალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. გაღმოსცევნების მცეცა საზემო-სამეცლოვიარო ხასიათი. ნეშთი და-საფლავებულ იქნა გორში ბაღში. ქალაქის აღმასკომის დადგენილებით, საფლავს გაუკეთდა შესაფერისი. გალავანი და დაედო ქვა სათანადო წარწერით. მამაჩემის ცხადარი ამჟამადც ამ ბაღში ასაფლავია“.

CPUACE CATH

33532050 863

ଓঁ, কোর্কাৰে প্ৰিয়-কুমুদী
সেৱাৰূপত খুলি গৈৰ,
মই পুৱাইলি পি আৰা দা
গুণী হাৰতেজেলি ঘুলি গৈৰ.
৬. গুৱাহীৰামেলি.

როცა თავისი პირველი დაბეჭიდილი ლექსი იხილა, ნანა გვარიშვილი თეთრ-ბაფთიანი და გრძელნაშავანი გოგონა იყო. არც კი იცოდა, საიდან და როგორ გაჩნდა „საბჭოთა აქარჩი“ მისი „სიმღერა“. უკვირდა ნორჩ პოეტს, მაგრამ მე-გობრების მხურგალე მილოცვას ლიმილო უჰასქებდა. მერე გამოიჩინა, რომ ნანას ლექსი რედაქტიას თურმე ახალგაზრდა პოეტმა შალვა იოსელიანმა მიაწოდა. იგი ერთხელ სრუმრად ყოფილა მემეშ გვარიშვილთან და მასინძელს უთქვამს, ჩემს გოგოს შევნიშვნე, ჩემ-ჩუმად რალაცას წერდა და საიდუმლოდ ინახავდა. მეგონა შეუვარებული იყო და სამიჯნურო ბარა-თებს თხზავდა, თურმე ლექსებს წერს და ნახე ერთი თუ ვარგაო. შალვა იოსელიანს ლექსები მოსწონებია და ერთი მათგანი („სიმღერა“) რედაქტირისათვის გადაუცილი ისე, რომ ავტორმა არაფერი იცოდა. ასე

დაიბეჭდა „საბჭოთა აქარის“ 1940 წლის
8 მარტის ნომერში ნანა გვარიშვილის
პირველი ლექსი.

დღეს, რა თქმა უნდა, ნანა გვარიშვილი აღარ იყო თეთრ ბატონს ატარებს და აღარ ც ნაწილი მის გველი დაბეჭდილი ლექსის სისახულით თითქმის დაკიტყვას მიეცა, მაგრამ მის პოზიის მაინც შემორჩა აალგაზრდული მგზებარება, ახალგაზრდული ცეცხლი. ეს კი არის — მისი გრძნობა შეკავებული, უფრო მშეინი გახდა, დაინიჭდა ისე, რომ მხრულება არ მოკლებდა. მევობარმა პოლიმა ქალებმა ეს უფრო დღრე შენიშვნეს, ვიდრე სხევებმა. „შენს ყოველ სტრიქონში, — წერდა ნანა გვარიშვილს ერთ-ერთ პირად გარათში მაყვალა მრევლიშვილი, — არის გულწრფელობა და სათუთა გრძნობიერება. ამ ჩემი დამი მოწერილ წერილში კი ქალის სიხრული და სიმშვიდე გამოსკვიდის, — ეს

ყოველისე ერთად იქნება თქვენი ბეღნიერების და თქვენი წინამდინარი”.

გაყვალა მრეველიშვილს ალლომ არ უდალატია. გულშრფელობა, სათუთი გრძნობიერება, რომელსაც ბოლო წლებში ქალის სიხარული და სიმზიდე დამატა, მართლაც განდა ნანა გვარიშვილის პოეტური წინამდინარი, ახალი შემოქმედებითი წარმატების საფუძველი. მისი ლირიკული გმრის, სულიერი სამყარო უფრო მეაფიოდ გამოიკვეთა, ახალი ფერებით გამდიღრა და გალმაზდა, უფრო თვითმყოფა, თავისთვის განდა. ახლა იგი გვიჩიდავს არა მარტო გრძნობის სიწრფელით, არამედ სიღრმითაც.

ერთი შეხედვით, ნანა გვარიშვილის პოეზიას ლირიკული გმრის სურთვეა, როგორც სხვა ქართველი საბჭოთა პოეტებისა — ისიც ხომ სამშობლოს მცხნებარე პატრიოტია, კომიტუნისტური შრომის მოწინავე. მორალურად სპეციალისტამიანი! მაგრამ ამ ზოგადი ინშებთან ერთად მას გააჩნია თავისებურებაც, მკაფიო ინდივიდუალობა, რომელიც მკვეთრად განასხვავებს სხვებისაგან. არ უნდა დავიღიშვილი, რომ აჭარა საკუნძულო მნიშვნელოვანი უდელვეშ იმყოფებოდა და ძალით დაწერებილმა მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ დამცირა და შეურაცხო ქალი, როგორც ადამიანი. მდევნად ნანა გვარიშვილის ლირიკული გმრი — თანამედროვე აჭარელი ქალი არა მარტო სოციალური და ეროვნული ჩაგრისაგან, არამედ მუსლიმიანური რელიგიის ბორკილებიდანაც თავისებული ქართველი ქალია. სწორედ ამით, აგრეთვე თვითონ პოეტის ინდივიდუალობით აიხსნება, რომ ნანა გვარიშვილის პოეზიაში ვევდებით სპეციფიკურ ხაკითხებსა და თემებს, რომლებიც ამაო ვეძებოთ სხვა ქართველი პოეტი ქალების შემოქმედებში. შემთხვევით როდი იყო, რომ მაყვალა მრევლიშვილმა ნ. გვარიშვილის ლექსთა კრებულის რეცენზიაში „შირინ-ალას საათი და ვარსკვლივება“¹.

1. „ლიტერატურული გაზეთი“, № 28, 1953 წ.

სწორედ ამ მომენტს გაუსა ხაზი ფართული ნა პლანზე გამოიტანა.

ნანა გვარიშვილი ორგანულად განვიდის თანამედროვეობას, მისი პოეტია თანამედროვეობით სუნთქვას და ცოტბლობს, მაგრამ ბერ ლექსში შეგუძლავ შეაქცეს წარსულის მოგონება, გარდასულ დროთა სურათები. ამ მოგონებასა და შურათებს პოეტი გარკვეულ იღეურ-მხატვრულ ფუნქციას აკირქებს. მათ ხაზი უნდა გაუსვან ჩვენი დღევანდელობის სიღრადეს, ახლის განუზომელ უპირატესობას დევლზე, და აა შწორედ აქ იღებს სათავეების თავისებურება, თემებისა და პროპლემათა სპეციფიკა, რომელიც ასე განსხვავებს ნანა გვარიშვილის პოეზიას სხვა ქართველი პოეტი ქალების პოეზიისაგან. სრულიად უზაოა, რომ მისი ლექსების რამდენიმე ციკლი „აჭარელი ქალიშვილები“, „უჩაზურონი“, „ჩაღრების ჭიათურინა“ შეეძლო დაეჭირა მხოლოდ აჭარის მკვიდრს, წარმოშეა მხოლოდ აჭარის სინამდევილებს. ისინი დიდ სიხარულოან ერთად შეიცავენ მწვავე ტკიფილებსაც, რასაც პოეტში იშვევს ან წარსულის გასხვება, ან კიდევ წარსულის რომელიმე მაგნე გაზმონაშითის გამძლეობა ახალ ისტორიულ ვითარებაში.

პოეტი ქალი მაყვალა მრეველიშვილი ამ ციკლის ლექსებიდან საგანგებოდ გამოიყოს „სანიშნო საათს“. და სამართლიანად დაც მასში ძლიერ რელიეფურად ჩანს ნანა გვარიშვილის პოეტური „ხელშერა“, წუხილისა და სიხარულის თავისებური შერწყმა, როცა წუხილი დამოუკიდებელ ნეადს კი არ ქმნის, არამედ აღლიერებს, უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ხალისით საჭა სიმფონიის ძირითად მოტივებს. ერთი გაბმული კვნესა იყო წინათ აჭარელი ქალის ცხოვრება. ქალიშვილს ისე ათხოებდნენ, არც კი ენახა საქმრო, არ იცოდა, ახალგაზრდა იყო იგი თუ მოხუცი, ლამაზი თუ გონიერი, კეთილი თუ ბორტი. შეაწარებდი გულზე ჩამოკიდებდნენ შირინ-ალასაგან ერთი დღით ნაქირავებ იქროსეწვიან საათს და, როცა სხვები ლხა-

ნობდნენ, მას ცრემლი სჭიოდა. გათავდებოდა ქოჩწილი, ბედშავ კოვნიას მაშინვე ჩამოხსნილენ, ნაეირავებ საშაულს და სამაგიროდ ჩადრში მშიდროდ გახვევდნენ. ასე იყო წინათ. მაგრამ დღეს? ახლა აქატელ ქალიშველებს მცერდს უმშვენებს შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ისინი თვითონ ირჩევენ საპედოს და ქორწილის დღეს მგლოვარედ კა არ სხვან ჩადრში გახვეულნი, არამედ განუჭომელი სიხარულით უცემთ გული და მთელი არსებით შესცინიან თავის ბეჭინერებას. ერთი სიტყვით, „ვის არა უნდა მაჟანკალი, შიჩინ-აღას საათი!“

ასე გებითად ასეთივე ხასიათისაა ნანა გვარშვილის ბეგრი სხვა ლექსიც, მათ შორის „ახლა“, „წნააზრულად წინ ნუ უსწრებ“, „უკრანენელი სტუმრები“. ისინი ცხადყოფენ, თუ როგორ შეიცვალა აქატელი ქალს ხევდრი სოცალიზმის გამარჯვების შედეგად, როგორი ლალი და ბეჭინერი გახდა მისი ცხოვრება. წინათ ქალს უფლება არ ჰქონდა არათუ საქმრო ამორქის, არამედ ეკრძალებოდა თავისი ტანსაცმლის ან რაიმე ნივთის ყიდვა. მაგრამ ახლა სხვა დროა, ახლა მთიელი ქალები თავისუფლად ჩამოლან ქალაქში და თვითონ ირჩევენ ყოველგვარ საქმრელს — საკაპე იქნება იგი თუ რაიმე საოჯახო ნივთი („ახლა“). პოეტ ქალს უხარის, რომ შორეული მეგობრები, რომლებიც აქარს ეწვეონენ, გაოცემული დანარჩენ, როცა ერსადა დალანდნება ჩადრიანი ქალი. მათ განუშმარტებ, რომ ჩადრი მხოლოდ მუზეუმშა შემოინახა, როგორც „ქალის სამასი წლის მწერება შევის“ („უკრანენელი სტუმრები“).

ძირეულმა ცვლილებებმა, რომლებიც აქატელი ქალის ყოფაში მოხდა, განაპირობებს მისი გამოსკვლა ცხოვრების ფართო გზაზე და, ბუნებრივია, ნანა გვარშვილის პოეტური ჩანგი მთელი გატაცებით უმღერის მშიბლიური კუთხის ქალებს, რომლებმაც შრომითი თავდადებით თუ საბრძოლო შემართებით ასახლეს არა მარტო აქატა, არამედ მთელი საქართვე-

ლო. უაღრესად გულწრფელი სტრიქონები უძღვნა გან სოციალისტური მუსიკის გმირებს ასათ ჭიჭავადებს, ნათელა ჩილვაბაძეს, ბედრიე მახადეს, სამამულო ომის ტრის ლევაბრის გადალაპიას, გმირულად დალუბულ ჰუსი ანანიძეს, სხვებს და მათი სახით თვალსაჩინოდ გვიჩვენა „უჩა-დროთა“ სულიერი სიმღილე და სილამაზე, მაღალი მორალური თვისებები და ზნეობრივი სიცეტეავე. პოეტი გულწრფელად ახარებს მათი ყოველი წარმატება, გული სიამაყით ეცსება, რომ დღეს აქატელმა ქალმა მხარი გაუსწორა საქართველოს სხვა კუთხის ქალებს, ხოლო მეორე მხრივ, განგრძეს თავის სახელოვან წინაპართა, სამშობლოს თვალისუფლების, ქართველობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ქალთა გმირული ტრალიცები. თავის დროზე ეს შწორად შენიშვნა დოც. ნების დამბაძებ, რომელმაც ნანა გვარშვილის წიგნის „ზღვა და სიყარული“ რეცენზიაში „პატრიოტული პოეზია“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თუ აქატელმა დედი მშობლიური ენა და ჩვეულებები გადაუჩრჩინა შთამომავლობას, ჩეენი ეპოქის ბეჭინერი ქალები შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე უბალლ გმირობით უპასუხებენ წინაართა ლოაწლს“!¹ პოეტს მიაჩნია (და სამართლიანადაც), რომ აქატელი ქალის ყოველი წარმატება შრომისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სარგებელზე ორმაგად სასიხარულო, რადგან იგი მოიპოვა იმ მრავალტანჯული კუთხის მკეიდრმა, სადაც საუკუნეთა მანძილზე მდეინვარებდა მუსლიმანური რელიგია, რომელიც საშუალებას იმ აძლევდა ქალს გამოემულავნებინა თავისი ნიჭი და უნარი, ლაფში სერიდა მის აღმიანურ ლირებას.

როდესაც განახლებულ აქატას და თავისუფალ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწინაურებულ აქატელ ქალს ხედის, ნანა გვარშვილი მთთ უფრო მწვავდ განიცდის, რომ ჩეენს ყოფას ჭერ კიდევ შე-

1 „საბჭოთა აქატა“, № 173, 1955 წ.

მოსჩა წარსულის ზოგიერთი მავნე გად-
მონაშოთ. პოეტი გადაჭრით იღა შექრებს
ქალის დამცირების, მისი აღამიანური ღრ-
ასების შელახების სულ უმცირესი გამოვ-
ლინების წინააღმდეგაც კი. ამ მხრივ გან-
საკუთრებით საფულისმნა დადი საჩო-
გადოებრივი ყდერაზობის ლექსების ცი-
კლი „ჩაღრების კიაკოკონა“. ეს არის ცა-
ლკეული მღლელვარე ლირიკული მონოლო-
გები, რომლებიც ამხილებენ და გმობენ
წარსულის მავნე აღათ-ჩეულებებს, ქე-
ლი ყოფის გამომართლებელ გაღმინაშ-
თებს. კერძოდ, პოეტი ქალის სამართლიან
გაკვრებებასა და სინაზულს იწვევს, რომ
ჩვენს დროში, მართალია, აქა-იქ, მაგრამ
მაიც ვეხვდებიან ჩაღრიანი ქალები.

„შორეულ სოფელში კელა რატომ შე-
ეცვია ჩაღრიანს?“ — ასეთი ეპიგრაფით
იწყებს ნანა გვარიშვილი ლექსს „ჩამოვი-
ცილოთ ადამი რევლი“ და ჩაღრიან ქალს
მოუწილებს დაგმოს ძველი ჩევლებს,
დაგმოს ბრჩა მორჩილება. ასე იყო სამას
წელიწადს, მაგრამ არ უნდა იყოს ახლა,
ჩვენს დროში, როცა ყოველი დღე გვაა-
ლოებს კაცობრიობის საწუკვრ მიზან-
თან — კომუნიზმთან. დღეს შერმაში მო-
წინავე ყოფაშიც მოწინავე უნდა იყოს.
თვესუფალ საბჭოთა ქალს არ შეშვენის
ჩაღრი, დრომიკმული და მავნე აღათის
ერთგულება. ძველი, არაგანსალი აღათ-
ჩეულებების წინააღმდეგ რომ იღა შექ-
რებს, პოეტს, ბუნებრივია, ანტიერესებს
ვისი მიზეზითაა, რომ დღემდე შემოვვრა
ისინი, ვინ არის ამაში დამაზავე? ჩევ-
ლებრივ აბბობენ, თითქოს ქალებს თვა-
თონ სურთ ატარონ ჩაღრი, თითქოს მათ
არ უნდათ გამოჩენენ სტუმართან სუფ-
რაზე, ლეინში თუ კირში. ზოგ შემთხვე-
ვაში შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ განა
ყოველთვის ასეა? განა არ არაან მამაკა-
ცები, რომლებიც აიძულებენ ქალებს ატა-
რონ ჩაღრი, მტკიცებენ დაიცვან გარდასუ-
ლი მავნე აღათები? ანუ რატომ გდაუ-
რით არ სტხოცენ ისინი თავის დეჯებს,
დეჭე, ცოლებს, შეილებს უარყონ მცელი
ყოფის გამომანაშები?

ლექსში „საყვედლი სახლიუაცებს“ წე-
ნა გვარიშვილი იღონებს ლეინში, რომელი
ლიც მოყვარებს გაუმართა, თა ლილი ცე-
ლისტურივილით წერს, მასპინძელი ვაპ-
კაცი არავთარ უხერხულობას არ გრძნის.
ბდა, თვითონ რომ ემსახურებოდა სუფ-
რას, გაქვინდა თევზები, ზემოპქონდა აზ-
ლი კერძები, მისი მეუღლე კი არსად ჩან-
და, სტუმრებთან არ გამოლილი. ივა-
ვერ გრძნობდა, „რომ მას სუფრაზე ყვე-
ლავერია, აკლია ცოლი, კას უკან მდგა-
რის“. მხოლოდ მაშინ, გვეუბნება პოეტი,
როცა თვითოული ქმარი, მამა, მმა თუ
შეილი ამას იგრძნობს, როცა არა მარტო
ყველა ქალი, არამედ უკლებლივ ყველა
მამაკაცი დაგმობს ჩაღრისა და წარსულის
სხვა გამომანაშებს, საბოლოოდ გაქრე-
ბა ძველი აღათ-ჩეულებები. ასეთია ნა-
ნა გვარიშვილის რწმენა და, ვციქმობთ,
იგი საცხებით მართალია. ქალთა შეგნების
სრული გათავსულება წარსულის და-
ნალებებისაგან მარტო მათი პირადი საქ-
მე კი არ არის, არამედ მთელი ჩევნი სა-
ზოგადოებრიობის ლეინში საქმეცა.

დილი აღგილი უკავია ნანა გვარიშვი-
ლის პოეზიაში ისეთ „ქალურ“ თემისაც,
როგორიცაა შვილისა და ოვაბის სიყვა-
რული, ჟაზისა და მეუღლის განცდები,
მისი ფურქები და გრძნობები. ლექსშის
ცაკლში „მეტრცელების ქლურტულზე“ იგი
თოქოს ხელშესახებად გვიჩვენებს, თუ
რა განუზიმელი სიხარული შეიქვეს საბ-
ჭოთა აღამიანის ცხოვრებაში ბარშეს, რა
სიმღიზრე, რა საამაყო გუაგლეს შეიღე-
ბი და ზედიდე მათ, უნერგვალე მაღალ
ზნეობრივ თვისებებს. ლექსების მ ცილ-
შ: ბევრი კარგი ლექსია, მათ შორის „პი-
რევლ პარილს დაიბაზე“, „სიმღილრე არ
არის განა?“. „მეტე როლის, პატარაო!“,
„ჩემთ ბიჭო“ და სხვ. მაგრამ ნანა გვარი-
შვილის პოეზიის ნამდვილ შედეგრად უნ-
და ჩაითვალოს „მაყრის მოლოდინში“,
რომელიც პოეტმა ლექსების უკანასკნელ
კრებულში „ღილინებს ერთი ღიღილო“
გამოქვეყნა. ეს ორსტორფიანი ლექსი
ორიგინალურია თავისი ჩანაფიქრათ და

ვამოირჩევა განცდის სიახლით. აბა, ვინ
არ იცის, რომ ქალიშვილის გათხოვება,
ქარჩევლი — ეს ნამდგილი სხიარული და
პეტრიონებაა, მაგრამ პოეტმა — დედამ
მას სხვა კუთხით შეხედა და სიხარულს
ცეკვლი შეურიც, იმ ოჯახის ცრემლი, რო-
მიცილაც საშუალო ტოვებს დედოფალი.
„გოგონ მართმევენ მაშხალის სროლით“,
ამბობს ოვალცრემლანი დედა: რა თქმა
უნდა, აან მშენიერად იცის, რომ ექ-
ცერმლი უაღვილოა, მაყრიონს ღიმილით
უნდა შეხვდეს, როგორც მას „წესი მო-
ძიოთხვეს“, მაგრამ რა უყოს მშობლის
გულს, რომელსაც ემძიმება და ვერ შე-
რიცხებია შეილთან განშორებას? იგი იძუ-
ლებულია გულშივე ჩიკლას სიმძიმილის
გრძნობა, სტუმრებს მხარული ეჩვენოს.
თუ არ ცდებით, ქართულ საპერთა პო-
ეზიაში დედის განცდის ასეთი გორება,
სიხარულისა და ნაღველის ასეთი თავი-
სებური შეტყუა პირველად ნანა გვარი-
შვილმა გაამოგვცა და გაზმობვცა გულ-
წრფელად, შინაგანი სითბოთი და ადამი-
ანური უბრალოებით.

შულწრფელობა, შინაგანი სითბო და
საუთო მგრძნობელობა ჩანს ნანა გვარი-
შვილის სატრუიალო-სამიგნურო ლირა-
კაშიც. პოეტი ქალის ინტიმი სპეტაკია და
ამ პოლო დროს როგორლაც სევდიანი,
ნაღველნარევი. მაგრამ ამ სევდის, ამ ნა-
ღველს იწვევს არა სატრუოს ღალატი,
არა ეპერი ან სიმორი, როგორც ჩვეულე-
ბრივ ხდება ხოლო, არამედ გარდასული
ახალგაზრდობა. ნანა გვარიშვილის სატ-
რუიალო პოეზიის ლირიკული გმირი უფ-
რო შარქულონ და მოგონებით ცხოვ-
რიბს, ვიღრე აწყოთი. იგი შიშით შეც-
ქერის თვითეულ ახალ ნაოჭს სახეზე, თე-
თრი თმის თვითეულ დროს. რა არის ეს? ი?
სიბერე? „ვერ რა დროსია, დიდება შენ-
და? აღრე არ არის განა?“ თითქოს ად-
რეა, მაგრამ სიბერის გარდუვალი მოახ-
ლოება იგრძნობა არა მარტო სახის ახალ
ნაოჭსა და „თმებში თეთრი ზამბაზის“
ბრწყინვაში, არამედ ყოველ ნაბიჭე, ერ-
თი შეხედვით, უბრალო შვრილმანშიც კა.

დრო იყო, ნაღვლიანად იხსენებს ცნობილი
რიშვილის ლირიკული გმირის წრცილი გე-
ტრიფ მარტო არსად ტოვებდა, არაერთ
წარმტაცოსო, ხელა კი? „ახლა ჰლგის პი-
რას ლურჯი ნისლივით დავეხეტები მარ-
ტო“. აბა, ვინ დაიცაჭი იმსა, ვის დასა-
კუთრებასაც არაერთ არ ცდება? „სი-
ცოცხლე კენციც არა ყოფილოა“, დარღუ-
ნად დასჭვენის ლირიკული გმირი და
ჩერებ თანავუგარძნობთ მას, ადამიანს,
ოდესლაც ყველას თვალს რომ სტაცებ-
და, დღეს კი თითქოს ცერავინ ელარ ამჩ-
ნებს. ეს გულახდილი აღსარება, ეს წეხა-
ლი და „უფოთლობის“ მოლლინი მშვა-
ვეა, ტკივილების შემცელი, მაგრამ უაუ-
რესად აღმიანური და იგი გვხიბლავს თა-
ვისი სიმართლით, თავისი პირდაპირიბით.

და მანც, ხდება თურმე, რომ სიყვა-
რული „წელთა თვედაღმართშიც“ წამო-
ეწევა აღმიანს. ნანა გვარიშვილის ლი-
რიკულ ვრჩესაც გაძკრა თავისი ურთა
მშრამა წწორედ მაშინ, როცა ეგონა, ყვე-
ლაფერი წარსულშიაო. სიყვარულის ნი-
შვანდ მას მიართევს წითელი ვარგა, მავ-
რა ამ ნაგვიანებამ ყურადღებამ როდი
ათაფრთოვანა, მხოლოდ შეაქრთო იგა.
„რომ მოსულიყავ ათი წლის წინათ, და-
გვიკცინილ თოთებს და ყვავლება“, გულ-
წრფელად ალიარებს ის და უარყოფს შე-
თავაზებულ გრძნობას, რადგან სიყვარუ-
ლისათვის ასკვადაცილებულ მანდილო-
სნედ (ბანვანად, როგორც პოეტი წერს) მიაჩინა თავის: „მე ბანვანი გახლვართ
ახლა და თმებში თეთრი ზამბაზი ბრწყი-
ნავს“. როგორც ვხედავთ, პოეტი არ ეთა-
ნხება დიდ პუშტინი! — სიყვარულს ყვე-
ლა ასაკი ემონებაო და ფიქრობს, რომ
ყველა ხილს თავისი დრო იქნებს. აქ იგრძ-
ნობა ერთგვარი შეხვედრა გალაკტიონთან,
მისი ცნობილი ლექსის რემინისცენცია,
თუმცა პოეტი ქალი სხვა ასპექტში ცდი-
ლობს გადაწყვიტოს მისი თქმა.

თუ ქალ-ცაჯის ტრფალუ თავისი დრო
აქვს, სიყვარული, როგორც აღმიანური
გრძნობა საერთოდ, როგორც სიძღვა-
ლის ანტიპოდი და სიკეთის კონკრეტულ

